# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 სექტემბერი ორშაბათი 2011
№208 (13505) ფასი 80 თეთრი



2

## სიჭინავასთვის ქეცბაია უალტერნატივოა

პრეზიდენტი ნაკრების მწვრთნელს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# უკრაინას მოვუგეთ, ბულგარეთი მოსაგებია

არითმეტიკას თვალი დაუდგეს, გაუმარჯოს გამარჯვებას!

ვაჟა სიმონიშვილი კლაიპედიდან

## 69:53



8-9

## 25:15-დან 75:87-მდე...

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარი ყოველთვის არ არის




საქართველო-სლოვენია 75:87

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# ბოლოსწინა კუნძულია

## მალტაზე, ტა ქალზე



ზვიად სიჭინავა (მარცხნივ) და თემურ ქეცბაია

ლატვიელებთან მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრები ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" ვარჯიშობდა, დღეს, დილის 7:30-ზე კი მალტაზე გაემგზავრა, სადაც 6 სექტემბერს ევროშესარჩევის ბოლოსწინა შეხვედრა აქვს გასამართი მალტის ეროვნულ გუნდთან.

თემურ ქეცბაიამ მალტაში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა:

მეკარეები: გიორგი ლორია („დინამო", თბილისი), ნუკრი რევიშვილი („ანჟი", რუსეთი), როინ კვასხვაძე („ზესტაფონი")

მცველები: კახა კალაძე („ჯენოა", იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი („ქაისერისპორი", თურქეთი), უჩა ლობჟანიძე („კრივბასი", უკრაინა), ალექსანდრე ამისულაშვილი („კრასნოდარი", რუსეთი), გურამ კაშია („ვიტესი", ჰოლანდია), გია გრიგალავა („ვოლგა", რუსეთი)

ნახევარმცველები: დავით თარგამაძე („ოლექსანდრია", უკრაინა), მურთაზ დაუშვილი („ზესტაფონი"), ჯაბა კანკავა („კრივბასი", უკრაინა), ირაკლი მაისურაძე („მეტალურგი", რუსთავი), შოთა გრიგალაშვილი („ზესტაფონი"), ლევან კობიაშვილი („ჰერტა", გერმანია), დავით კვირკველია („პანიონიოსი", საბერძნეთი), ჯანო ანანიძე („სპარტაკი", მოსკოვი, რუსეთი), ალექსანდრე გურული („კარპატი", უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე („არსენალი", უკრაინა).

თავდამსხმელები: დავით სირაძე („სპარტაკი", ნალჩიკი, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი („კარლსრუე", გერმანია), ლადო დვალიშვილი („მაქაბი", ჰაიფა, ისრაელი), ოთარ მარცვალაძე („კრასნოდარი", რუსეთი),

მალტა-საქართველო „ტა ქალის" სტადიონზე თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება. მატჩს გაუძღვება ჰოლანდიელ მსაჯთა ბრიგადა პოლ ვან ბუკელის თავკაცობით

მერაბ მამულაშვილი

U21

# დღეს ესპანელები მეორედ გვიმასპინძლებენ

## აქაც ხომ თამაშის მასპინძლები ისინი იყვნენ

ქუთაისში ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან 2:7 წაგების შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გაემგზავრა ესპანეთში, სადაც დღეს, 5 სექტემბერს, უკვე პირენეელები გვიმასპინძლებენ.

გუნდის მენეჯერ **ლევან რამიშვილის** თქმით, მთავარ მწვრთნელ **ოთარ გაბელიას** შემადგენლობაში ცვლილებები არ განუხორციელებია და იმავე ფეხბურთელებს დაეყრდნობა.

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე („ლე მანი", საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა („სპარტაკი", ცხინვალი)**

მცველები: **ნიკოლოზ აფაქიძე („ბაია", ზუგდიდი), ლევან კაკუბავა („დინამო", თბილისი), სოლომონ კვერკველია („რუბინი", რუსეთი), ნიკოლოზ ჯიშკარიანი („გაგრა"), ივანე კანდელაკი („სკონტო", ლატვია), ლაშა კალანდაძე („გაგრა"), ავთანდილ ბრაჭული („რუბინი", რუსეთი)**

ნახევარმცველები: **გივი იოსელიანი („ტორპედო", ქუთაისი), ვალერი ყაზაიშვილი („ვიტესი", ჰოლანდია), თორნიკე თარხნიშვილი („ტორპედო", ქუთაისი), ნიკა კვეკვესკირი („დინამო", თბილისი), ზაქარია ბეგლარიშვილი („ფლორა", ესტონეთი), ნიკა ძალამიძე („ვიძევი", პოლონეთი), თორნიკე ოქრიაშვილი („ილიჩოვეცი", უკრაინა)**

თავდამსხმელები: **ირაკლი შეყილაძე („ემპოლი", იტალია), გიორგი ჭანტურია („ვიტესი", ჰოლანდია), ლევან მჭედლიძე („ემპოლი", იტალია), ირაკლი ქობალია („ბაია", ზუგდიდი).**

მატჩი ქალაქ ლუგოს სტადიონ „უგო კაროზე" 22:45 საათზე დაიწყება. საქართველოს ნაკრები 2 სექტემბრიდან ესპანეთშია და განმეორებითი მატჩისთვის ემზადება. გაბელიამ ფეხბურთელები ჯერ ლუგოს ერთ-ერთ სტადიონზე ავარჯიშა, გუშინ კი — „უგო კაროზე".

მატჩს რუმინელი მსაჯები მოემსახურებიან, არბიტრი **იშტვან კოვაჩი** იქნება.

მერაბ მამულაშვილი

# სიჭინავა ქეცბაიას ახალ კონტრაქტს სთავაზობს

ლატვიასთან მატჩის შემდეგ ერთმა ჩვენმა კოლეგამ საქართველოს ნაკრების თავკაც **თემურ ქეცბაიას** ჰკითხა, გადადგომას ხომ არ აპირებთო.

*"ჩემი გადადგომა თუ ქართულ ფეხბურთს უშველის, დღესვე წავალ. თქვენ ისე მკითხეთ, „დიახ" რომ გიპასუხოთ, დღეს, ალბათ, დიდ ქეიფს გამართავთ"*,– ემოციური პასუხი დაუბრუნა შემკითხველს ქეცბაიამ, რაც იმ წუთებში გასაკვირი არ იყო, თუმცა მის გადადგომას ზარზეიმით რომ არავინ შეხვდება, ესეც ბუნებრივია.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** კი მატჩის შემდეგ ხაზგასმით განაცხადა, ქეცბაიას გაშვებაზე ლაპარაკი აბსურდიაო.

*"თემურის ხელმძღვანელობით ნაკრებმა პროგრესი განიცადა, მართალია, ბოლო შეხვედრები წავაგეთ, მაგრამ მის გაშვებას არ ვაპირებთ. მეტიც, მსურს შევხვდე ქეცბაიას და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ველაპარაკო,"* – თქვა სიჭინავამ.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

# ხუბუტიას დრო არ დაუკარგავს

## ნაკრების მცველი თურქეთში წავიდა



საქართველოს ნაკრებისა და რუმინეთის "გაზმეთანის" ცენტრალური მცველი, 24 წლის **აკაკი ხუბუტია** კარიერას თურქეთის სუპერლიგის "სამსუნსფორში" განაგრძობს.

ეს ამბავი გუშინ შევიტყვეთ – მართალია, ხუბუტია დაშავებული იყო და ამის გამო საქართველოს ნაკრების შეკრებაზე ვერ გამოცხადდა, მაგრამ ტრავმა მოლაპარაკებაში ხელს არ უშლიდა, სამი დღის წინ თურქეთში გაემგზავრა და სუპერლიგის დაწყებამდე (პირველი ტური 10 სექტემბერს გაიმართება) "სამსუნსფორს" მოელაპარაკა.

ქართველ მცველს რუმინულ კლუბთან კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში უმთავრდებოდა, მაგრამ რუმინელები აკაკის იჯარით გაშვებას დათანხმდნენ, ხელშეკრულება კი გუშინ ოფიციალურად გაფორმდა.

ტრანსფერი ცნობილმა ჩეხმა მენეჯერმა **დალიბორ ლასინამ** და მისმა ქართველმა პარტნიორმა **სერგო ქუთათელაძემ** განახორციელეს.

იჯარა ერთწლიანია, ამასთან, "სამსუნსფორს" ხუბუტიას ტრანსფერის გამოსყიდვის უფლებაც აქვს. ახალ კლუბში რა ნომრით ითამაშებს, მალე გაირკვევა – ეს ჯერ არ გადაუწყვეტია.

რაც შეეხება ტრავმას: ხუბუტიას კუნთი ჰქონდა დაჭიმული, სერიოზული არაფერია და უკვე მსუბუქადაც ივარჯიშობს, თუმცა ჯერ გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობს.

მერაბ მამუალშვილი

საკონტროლო მატჩი

# ძველები და ახლები

საქართველოს ჩემპიონატში (უმაღლეს ლიგას ვგულისხმობთ) შესვენებაა და გუნდებიც, შეძლებისდაგვარად, საკონტროლო მატჩებს ატარებენ. ერთ-ერთი ასეთი სპარინგშეხვედრა გუშინ თბილისში, „ოლიმპიკის" სტადიონზე ჩატარდა: ერთმანეთს ბოლნისის „სიონი" და ცხინვალის „სპარტაკი" დაუპირისპირდნენ. შეგახსენებთ, რომ ორივე გუნდმა სეზონი წარუმატებლად დაიწყო: „სიონიც" და „სპარტაკიც" 2-2 ქულით სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფებიან. რაც შეეხება გუშინდელ საკონტროლო მატჩს, „სპარტაკმა" მეტოქეს 3:1 მოუგო; პირველ ტაიმში ანგარიში **თემურ შონიამ** გახსნა, მეორე ტაიმში კი სპარტაკელთა ახალგაზრდა ფორვარდებმა **ზვიად ქანთარიამ** და **დავით გელაშვილმა** კიდევ თითო გოლი გაიტანეს. ერთადერთი, „სიონმა" რაც მოახერხა, პრესტიჟის ბურთი იყო, — შეხვედრის მიწურულს გუნდის ახალწვეულმა, **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ** რომ გაიტანა.

„სპარტაკმა" ამ მატჩში ორი შემადგენლობით ითამაშა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ბადრი კვარაცხელიამ** პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობა თუ გამოიყვანა, შესვენების შემდეგ დუბლშემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელსაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება.

სპარტაკი (I ტ.): **ძაგანია-ციმაკურიძე, ბოიომო, დ. ლომაია, ხუბუა-თიბილაშვილი, თ. შონია, სამხარაძე-შალამბერიძე, ჯიქია, მეტრეველი**

II ტაიმში: **დაუშვილი, ბურძენაძე, ტაბატაძე, რუხაძე, სეფიაშვილი, კაკაშვილი, ნარიმანიძე, ნ. მაისურაძე, მაჭუტაძე, ქანთარია, დ. გელაშვილი**

I ტაიმში „სპარტაკის" შემადგენლობაში გუნდის ახალწვეულმა, 26 წლის ნახევარმცველმა **გიგა თიბილაშვილმა** ითამაშა, ბოლო წლები სომხეთის ჩემპიონატში რომ ასპარეზობდა. რამდენიმე ახალწვეული ჰყავდა ბოლნისის „სიონსაც": გუნდში დაბრუნებულმა მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** ამ საკონტროლო მატჩში ზემოთ ნახსენები გიორგი ჭელიძის გარდა, **გიორგი ფეიქრიშვილი, ჯაბა უგულავა** და **გიორგი ხატიაშვილი** ათამაშა.

„სიონის" შემადგენლობა ასეთი იყო: **ზუხბაია-კობაური, ხატიაშვილი, თარგამაძე, ლ. ჩხეტიანი-უგრეხელიძე, გ. ოქროპირიძე, ვ. ბოლქვაძე, გ. ჭელიძე, ფეიქრიშვილი-უგულავა.**

შეცვლაზე შემოვიდნენ: **ვ. ლობჟანიძე, მ. ოქროპირიძე, ადამაშვილი.**

გია ტუხაშვილი



გიორგი ჭელიძე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საკონტროლო მატჩი

# ორმხრივად სასარგებლო სპარინგი

სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზა ნაყოფიერად გამოიყენა ბაქოს „ინტერმა“ — აზერბაიჯანის ექსჩემპიონსა და დსთ-ს თასის წლევანდელ გამარჯვებულს ათდღიანი შეკრება... საქართველოში ჰქონდა. აზერბაიჯანის ყველაზე „ქართული“ გუნდი ამ ხნის განმავლობაში თბილისის კომფორტულ სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ იყო დაბინავებული, ვარჯიშებს მცხეთის განახლებულ „მცხეთა-პარკის“ სტადიონზე ატარებდა და ამის გარდა, **კახა ცხადაძისა და გიორგი ჩიხრაძის** დამოძღვრილმა „ინტერმა“ ქართულ კლუბებთან ორი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. პირველი სპარინგმატჩი „ინტერმა“ გორის „დილასთან“ ჩაატარა და შეგახსენებთ, რომ ის მართლაც საინტერესო ამხანაგური შეხვედრა ქართული გუნდის გამარჯვებით (3:2) დამთავრდა. არანაკლებ საინტერესო გამოდგა „ინტერის“ მომდევნო საკონტროლო მატჩიც, ასევე მცხეთაში რომ ჩატარდა, ოღონდ აზერბაიჯანის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის მეტოქე ამჯერად „ვიტ ჯორჯია“ იყო.

მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **ზურაბ ბერიძემ** „ინტერის“ წინააღმდეგ პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობა დააყენა: **ძაძამია-ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი-ჯანელიძე, მაისაშვილი-კორიფაძე, გიორგი გურეშიძე, ზაქრაძე-ჩიმაკაძე**; რაც შეეხება მის კოლეგას, წინა საკონტროლო მატჩისაგან განსხვავებით კახა ცხადაძემ ძირითად შემადგენლობაშიც რამდენიმე ცვლილება განახორციელა და „ინტერის“ ტაქტიკური განლაგებაც შეცვალა (სტუმრები პირველ ტაიმში 4-1-4-1 სქემით ასპარეზობდნენ): **კრამარენკო-დაშდემიროვი, აბრამიძე, ასიოლი, კანდელაკი-მირილი-გაჯიევი, ჩერვენკა, ზლატინოვი, მამედოვი-კარლსონსი.** ტრავმების გამო სტუმართა გუნდში არ უთამაშიათ **ვლადიმერ ლევინსა და ენიო კრასტოვჩევს,** ასევე ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს შეხვედრას „ინტერის“ ახალწვეულები — **ხრაპანი** (სლოვაკეთი), **და როშა და მარიო სოუზა** (ორივე ბრაზილია). ამ საკონტროლო მატჩში მონაწილეობა არ მიუღია სტუმართა გუნდის კიდევ ერთ ლეგიონერს — საქართველოს ნაკრების ყოფილ მეკარეს, 32 წლის **გიორგი ლომაიას** „ინტერის“ ქართველმა მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს.

ფიფას არბიტრის, **გიორგი ვადაჭკორიას** სასტვენისთანავე, ერთობ სწრაფი და საინტერესო მატჩის მომსწრე გავხდით; თანაც, ამ საკონტროლო შეხვედრაში პირველი სახიფათო მომენტი მე-2 წუთზევე შეიქმნა: სტუმართა მცველთა პოზიციური შეცდომის შემდეგ **ბესიკ ჩიმაკაძე** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ მასპინძელთა 23 წლის ცენტრფორვარდისა და „ინტერის“ 37 წლის მეკარის, **დიმიტრი კარამარენკოს** „დუელი“ ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა მთლიანად სტუმართა მხარეს გადავიდა და დაახლოებით მეათე წუთი იქნებოდა, რამდენიმეწამიან ინტერვალში მასპინძლები ზედიზედ ორჯერ რომ გადარჩნენ: 23 წლის **ნიზამი გაჯიევის** დარტყმული ბურთი „ვეტერინართა“ კარის ძელს მოხვდა, შემდეგ კი 30 წლის **პეტარ ზლატნოვის** შორეულ დარტყმა და **გიორგი ძაძამიას** ჩინებული რეაქცია ვიხილეთ. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ „ვიტ ჯორჯიას“ 22 წლის მეკარემ მართლაც კარგი მატჩი ჩაატარა: პირველი ტაიმის შუაწელს ძაძამიამ კიდევ ერთხელ გადაარჩინა საკუთარი გუნდი, როცა იმავე ზლატინოვის ძლიერი და „უხერხული“ დარტყმა მოიგერია. ისე, ამ ეპიზოდზე ცალკეც ღირს საუბარი: სტუმართა ამ კომბინაციაში, ლამის იყო ნახევარი გუნდი (ჩერვენკა, კანდელაკი, მამედოვი, კარლსონსი, ზლატინოვი) მონაწილეობდა, მაგრამ „ინტერის“ ბულგარელმა პლეიმეიკერმა ვერც ამ ჯერზე აჯობა გიორგი ძაძამიას. ამის შემდეგ სტუმრებს კიდევ ერთი კარგი შანსი ჰქონდათ — გაჯიევის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ **გირტს კარლსონსი** ბურთს თავით გზავნიდა მასპინძელთა კარისკენ, მაგრამ წინა საკონტროლო მატჩისაგან განსხვავებით, 30 წლის ლატვიელმა ფორვარდმა მოედანი ამჯერად უგოლოდ დატოვა. ტაიმის მიწურულს კი მასპინძლებმა გოლის გატანის რეალური შანსი ხელიდან გაუშვეს: სტუმართა საჯარიმოში შეჭრილი ჩიმაკაძისა და კრამარენკოს ორთაბრძოლა იმით დამთავრდა, რომ არბიტრმა „ინტერის“ კარგი პენალტი დანიშნა! თუმცა, „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანმა, 21 წლის **დავით ჯანელიძემ** ეს შანსი ვერ გამოიყენა — უგამოცდილესმა კრამარენკომ პენალტი მოიგერია! ტაიმის ბოლომდე მეტოქეებმა თითო-თითო დარტყმა გაცვალეს, მაგრამ უშედეგოდ: 21 წლის **ბექა ზაქრაძის** თავურიც არაზუსტი აღმოჩნდა და სტუმართა შორის ყველაზე აქტიურის (მარჯვენა მცველის, 24 წლის არიფ დაშდემიროვის მსგავსად), პეტარ ზლატინოვის მორიგი შორეული დარტყმაც.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდის თავკაცმა - ზურაბ ბერიძემაც და კახა ცხადაძემაც არაერთი ცვლილება განახორციელეს და თავის გამოჩენის საშუალება სხვა ფეხბურთელებსაც მისცეს; „ვიტ ჯორჯიას“ შემადგენლობაში გამოჩნდნენ: **გოგიაშვილი, ვასაძე, გურამ გურეშიძე, კალანდია, ხუმარაშვილი, დავლაშელიძე, ვაშაკიძე, ოთარიშვილი, კუხალეიშვილი, ჯავაშვილი, სიხარულიძე** და **ლობჟანიძე;** თუმცა, გიორგი ძაძამიამ შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა და მასპინძელთა მეკარემ ჯერ 18 წლის **ელნურ აბდულოვის** შორეული დარტყმა მოიგერია, შემდეგ კი 25 წლის **ასიფ მამედოვის** თავურიც! საერთოდ კი, მეორე ტაიმი პირველთან შედარებით, ცოტა არ იყოს, მოსაწყენი გამოდგა და მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზეღა ვიხილეთ ორი სახიფათო მომენტი: ჯერ იყო და 25 წლის **სამირ ზარგაროვს** მართებდა გოლის გატანა; მერე კი „ინტერის“ ქართველი ფეხბურთელების ეფექტური კომბინაციაც ვიხილეთ: 29 წლის **ილია კანდელაკის** ზუსტი პასის შემდეგ 23 წლის **ბაჩანა ცხადაძე** „ერთი შეხებით“ ურტყამდა, მაგრამ ბურთი „ვიტ ჯორჯიას“ კარის ძელს მოხვდა. აი, ასე — უგოლო ფრით დასრულდა ორივე გუნდისათვის მართლაც სასარგებლო სპარინგმატჩი.

**გია ტუხაშვილი**



ინტერის მწვრთნელები: კახა ცხადაძე (მარცხნივ) და გიორგი ჩიხრაძე

● ევრო 2012. F ჯგუფი

# ვიღას ვუქომაგოთ: ბერძნებს თუ ხორვატებს?..

საქართველო-ლატვიის მატჩამდეც ვწერდით, რომ პლეი ოფში მოსახვედრად, შესაძლოა, სამივე დარჩენილი მატჩის მოგება არ გვყოფნოდა — ჯგუფის სხვა შეხვედრებიც ჩვენთვის „მისაღები“ და სასურველი შედეგით უნდა დამთავრებულიყო. ასეთი მატჩთაგან ერთ-ერთი კი ისრაელი-საბერძნეთის დაპირისპირება იყო, სადაც ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელ შედეგს, ფრეს ვნატრობდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა: პორტუგალიელი სპეციალისტის, **ფერნანდუ სანტუშის** დამოძღვრილმა საბერძნეთის ნაკრებმა შესარჩევ ციკლში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, სულ მცირე, პლეი ოფის საგზური გაინაღდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბერძნები კვლავაც დაუმარცხებლად ასპარეზობენ და დარჩენილ სამ შეხვედრაში (ლატვიასთან, ხორვატიასთან, საქართველოსთან) იმასაც შეეცდებიან, რომ ჯგუფში მეწინავეობაც შეინარჩუნონ და „ევრო-2012“-ის საგზურიც ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე მოიპოვონ. ამისათვის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი საბერძნეთის ნაკრებმა ისრაელთან სტუმრად უპრინციპულესი მატჩის მოგებით გადადგა; არადა, გამარჯვების შემთხვევაში **ლუის ფერნანდესის** გუნდსაც მშვენიერი შანსი უჩნდებოდა პლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად, მაგრამ ამ ნერვულ მატჩში ბერძნებს უფრო მეტად გაუმართლათ და თელ-ავივიდან უმნიშვნელოვანესი სამი ქულა წამოიღეს.

მატჩის დასაწყისში მასპინძლები აქტიურობდნენ და ერთ ეპიზოდში ისრაელის ნაკრებისა და ბელგიური „ბრიუგეს“ 25 წლის ნახევარმცველმა **ლიორ რაფაელოვმა** სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთს სტუმართა მცველები გადაეღობნენ. რაფაელოვი ამ მატჩში ბევრს აქტიურობდა, რასაც ვერ ვიტყოდით მასპინძელთა საუკეთესო ფეხბურთელსა და კაპიტანზე, ლონდონის „არსენალის“ 31 წლის ახალწვეულ **იოსი ბენაიუნზე**. ბერძნებმა მალე მოიპოვეს ტერიტორიული უპირატესობა და ისრაელის ნაკრების გამოცდილ მეკარეს, 33 წლის **დუდუ ავატეს** რამდენჯერმე მოუხდა საკუთარი ოსტატობის გამოვლენა — სტუმართაგან გოლის გატანის შანსი ჰქონდათ 30 წლის **დიმიტრის სალპინგიდისს** და „სელტიკის“ 26 წლის თავდამსხმელ **გეორგიოს სამარასს.** ამის შემდეგ მატჩი ორმხრივი იერიშებით წარიმართა და ყველაფერი კი შეხვედრის მე-60 წუთზე საბერძნეთის ნაკრებისა და „პანათინაიკოსის“ 21 წლის ნახევარმცველის **სოტირის ნინისის** ფლანგურმა გარღვევამ და ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა! აღსანიშნავია, რომ მატჩის შოტლანდიელმა არბიტრმა **კრეიგ ტომსონმა** (შოტლანდია) ორივე გუნდის ფეხბურთელებს 10 ყვითელი ბარათი უჩვენა! აქვე, იმასაც დავამატებთ, რომ საბერძნეთის ნაკრებში სადებიუტო მატჩი ჩაატარა 25 წლის **იანის ზარადუკასმა.**

**ისრაელი-საბერძნეთი 0:1**

**02.09. თელ-ავივი. „ბლუმფილდი“**

**0:1 ნინისი (60)**

ისრაელი: **ავატი, შპუნგინი, ბენ-ჰაიმი I, ბენ ჰარუში, გერშონი, კაიალი, რაფაელოვი, ა. კოენი (61. ნათხო), ზახავი (55. ხემადი), ბენაიუნი, შეხტერი (55. დამარი)**

მწვრთნელი: **ლ. ფერნანდესი**

საბერძნეთი: **სიფაკისი, ზარადუკასი, ა. პაპადოპულოსი, კ. პაპადოპულოსი, ტოროსიდისი, კაცურანისი, კაფესი (42. მაკოსი), კარაგუნისი, ნინისი (77. ფეტფაციდისი), სამარასი, სალპინგიდისი (84. მანიატისი)**

მწვრთნელი: **ფ. სანტუში**

გაფრთხილება: **ზახავი (4), კაფესი (35), ა. კოენი (38), კაიალი (44), კაცურანისი (54), ბენ-ჰარუში (61), ნათხო (75), სალპინგიდისი (75), ტოროსიდისი (75), მანიატისი (90)**

არბიტრი: **კ. ტომსონი (შოტლანდია)**

ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა, ხორვატიის ნაკრებმა „დაგეგმილი“ 3 ქულა უპრობლემოდ მოიპოვა; დიდი ალბათობით, ჯგუფში პირველი ადგილის ბედი 7 ოქტომბერს პირეოსში დანიშნულ საბერძნეთისა და ხორვატიის ნაკრებების მატჩში გადაწყდება. მანამდე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **სლავენ ბილიჩის** გუნდმა ჩვენი ჯგუფის უპირობო აუტსაიდერს მალტასთან ორბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ბილიჩმა ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა: ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კარში ადგილი ანდო რუსეთის პრემიერლიგაში მოასპარეზე 32 წლის სტიპე პლეტიკოშას; მეორე გამოცდილი ფეხბურთელის, 31 წლის **ივან კლასნიჩის** („ბოლტონი“) ძირითადში გამოჩენაც გარკვეული სიურპრიზი იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ ორ დებიუტანტზე — 19 წლის **შიმე ვრსალკოსა** და 22 წლის **მილან ბადელიზე**. ეს უკანასკნელი სულაც სადებიუტო გოლითაც გამოირჩა, თუმცა მანამდე ხორვატები კიევის „დინამოს“ 27 წლის ნახევარმცველმა **ოგნიენ ვუკოევიჩმა** დააწინაურა, რომელმაც ასევე უკრაინაში მოასპარეზე, „დნიპროს“ მარცხენა მცველის, 25 წლის **ივან შტრინიჩის** ზუსტი პასი შეიშნო. ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად, მასპინძლებმა რამდენჯერმე შეუტიეს ფავორიტი მეტოქის კარს და 31 წლის **ჯონ ჰათჩისონის** დარტყმა თუ არაზუსტი აღმოჩნდა, სამაგიეროდ, მალტელთა საუკეთესო ფეხბურთელმა, 30 წლის **მაიკლ მიფსუდმა** შესვენებამდე ერთი გოლის გატანა მაინც მოახერხა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე ხორვატები სრულ უპირატესობას დაეუფლენ, მაგრამ 23 წლის **ნიკოლა კალინიჩმა** და 25 წლის **მარიო მანჯუკიჩმა** გუნდის კაპიტნის, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა მცველის 29 წლის **დარიო სრნას** ორი ჩინებული გადაცემა გოლად ვერ აქციეს. ის რაც ხორვატების ფორვარდებმა ვერ მოახერხეს, ამპლუით მცველმა შეძლო: „ლიონის“ 22 წლის უკანახაზელმა **დეიან ლოვრენმა** ზუსტი თავური დარტყმით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**მალტა-ხორვატია 1:3**

02.09. ლა-ვალეტა. „ტაქალი“.

0:1 ვუკოევიჩი (11), 0:2 ბადელი (32), 1:2 მიფსუდი (38), 1:3 ლოვრენი (68)

მალტა: ჰოგი, მუსკატი, შიბერასი, აგიუსი, რ. ფენეკი (88. მამო), ფაილა, მიფსუდი (82. ვუდსი), ბრიფა (74. პეისი), კოენი, ჰათჩისონი, შემბრი

სათადარიგოები: გაუჩი, ბორგი, პ. ფენეკი, ჩილია

მწვრთნელი: ჯ. ბუტიგეგი

ხორვატია: პლეტიკოშა, სრნა, ლოვრენი, ჩორლუკა, შტრინიჩი, ვრსალკო, ვუკოევიჩი, პერიშიჩი (68. დუიმოვიჩი), ბადელი (82. ედუარდო), კლასნიჩი (46. კალინიჩი), მანჯუკიჩი

სათადარიგოები: სუბაშიჩი, შიმუნიჩი, იელავიჩი, მოდრიჩი

მწვრთნელი: ს. ბილიჩი

გაფრთხილება: რ. ფენეკი (25), მანჯუკიჩი (35), ჩორლუკა (51), ფაილა (66).

არბიტრი: ტ. შაპრონი (საფრანგეთი)

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 9-3 | 17 |
| 2. ხორვატია | 7 | 5 | 1 | 1 | 13-4 | 16 |
| 3. ისრაელი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-8 | 13 |
| 4. საქართველო | 8 | 2 | 3 | 3 | 5-6 | 9 |
| 5. ლატვია | 7 | 2 | 1 | 4 | 6-9 | 7 |
| 6. მალტა | 7 | 0 | 0 | 7 | 3-16 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

**6 სექტემბერი**

ხორვატია-ისრაელი
ლატვია-საბერძნეთი
მალტა-საქართველო

**7 ოქტომბერი**

ლატვია-მალტა
საბერძნეთი-ხორვატია

**11 ოქტომბერი**

ხორვატია-ლატვია
საქართველო-საბერძნეთი
მალტა-ისრაელი



ხორვატები (ზედა ფოტოზე) და ბერძნები ერთმანეთს ჯგუფში პირველობას ეცილებიან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრი, ფიქრი გვინდა!

# როგორ უნდა შვას წარსულმა მომავალი?

## ასეთი სექტემბერიც გვახსოვს

სექტემბერი თბილისის "დინამოს" ისტორიაში კარგად გასახსენებელი თვეა: 35 წლის წინათ, 1976 წლის 3 სექტემბერს, თბილისელებმა (ანუ საქართველოს მაშინდელმა ნაკრებმა) საბჭოთა კავშირის თასის ფინალში მოსკოვის "ლუჟნიკზე" ერევნის "არარატი" (მაშინდელი სომხეთის ნაკრები) 3:0 დაამარცხეს და ხუთი წაგებული ფინალის შემდეგ თასს პირველად დაეუფლნენ. გოლები **დავით ყიფიანმა, ფირუზ კანთელაძემ** და **რევაზ ჩელებაძემ** გაიტანეს.

ფინალამდე დინამოელებმა ზაპოროჟიეს "მეტალურგი," ლენინგრადის "ზენიტი," ლვოვის "კარპატი" და დონეცკის "შახტიორი" დაამარცხეს. თასის იმ გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი ხუთი გატანილი გოლით დავით ყიფიანი გახდა.

30 წლის წინ კი, 1981 წლის 31 აგვისტოს, თბილისის „დინამო" მადრიდში, საერთაშორისო ოთხთა ტურნირის პირველ შეხვედრაში მასპინძელ „რეალს" დაუპირისპირდა და 2:4 დამარცხდა. მეორე დღეს, 1-ელ სექტემბერს დინამოელებმა მესამე ადგილისთვის მატჩში მსოფლიო ფეხბურთის გრანდს - მიუნხენის „ბაიერნს" 2:1 აჯობეს დაუსრულებელ შეხვედრაში, რომელშიც ასეთი შემადგენლობით ისპარეზეს: **გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, კაკილაშვილი (ჟვანია), ყიფიანი (ანდღულაძე), გუცაევი, შენგელია.**

მწვრთნელი: **ნოდარ ახალკაცი**

## ძველი სიუჟეტი მომავლისთვის

"იუთუბიზე" ამ ტურნირისადმი მიძღვნილი ძველი სიუჟეტი ვნახე, ჩვენი უფროსი კოლეგა **დავით ქლიბაძე** ისეთ ამბებს იხსენებდა, შეუძლებელია, არ მოგითხროთ.

ეს ტურნირი მადრიდში მესამედ ტარდებოდა (1979 წლიდან). "რეალის" ორგანიზებულ „ბლიცში" მონაწილეობდნენ სახელოვანი და ტიტულოვანი კლუბები, ევროთასების მფლობელები ან ქვეყნის ჩემპიონები. 1981 წელსაც „რეალმა" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული თბილისის "დინამო", მიუნხენის "ბაიერნი" (გერმანიის ჩემპიონი და წინა ორი ტურნირის გამარჯვებული) და ჰოლანდიის ჩემპიონი "ალკმაარი" მიიწვია.

"რეალმა" იმ წელს ჩემპიონთა თასის ფინალში "ლივერპულთან" 0:1 წააგო. გუნდი ვარსკვლავებით იყო სავსე – ესპანეთის ნაკრების წევრები, მეკარე **მიგელ ანხელი, ხოსე ანტონიო კამაჩო, ფრანსისკო პინედა, ანხელი, სანტილიანა, ხუანიტო** (ბოლო ორმა იმ სეზონის პრიმერადივიზიონში 42 გოლი გაიტანა), გერმანის ნაკრების მცველი **ული შტილიკე**, ინგლისის ნაკრების ვარსკვლავი **კანინგემი**, გუნდს კი ცნობილი სერბი სპეციალისტი **ვუიადინ ბოშკოვი** წვრთნიდა.

"ბაიერნში" მაშინ თამაშობდნენ **პაულ ბრაიტნერი, ვოლფგანგ დრემლერი, კარლ ჰაინც რუმენიგე**, რომლებიც დასავლეთ გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში ერთი წლის შემდეგ ესპანეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიცე-ჩემპიონები გახდნენ.

"ალკმაარი" ჰოლანდიის ჩემპიონი ისე გახდა, 34-დან მხოლოდ 1 მატჩი წააგო, 6 ფრედ დაასრულა და უახლოესი მდევარი, ამსტერდამის "აიაქსი" 12 ქულით ჩამოიტოვა.

ოთხგუნდიანი ტურნირის ფინალში პირველ მატჩებში გამარჯვებულები ხვდებოდნენ, დამარცხებულები კი მესამე ადგილისთვის თამაშობდნენ. ორგანიზატორებმა გუნდები ისე დააწყვილეს ("რეალი" — "დინამო" და "ბაიერნი" — „ალკმაარი"), რომ "რეალ" — "ბაიერნის" ფინალის ხილვის მცდელობა აშკარა იყო, თანაც, "რეალს" წინა ორი ტურნირის გამარჯვებული მიუნხენელების ძლევა სურდა.



წარსული სახელოვანი გვქონდა...



...აწმყო?

მადრიდულ სუპერგრანდთან თბილისის "დინამო" 2:1-ს იგებდა. ანგარიში **რამაზ შენგელიამ** გახსნა, პირველ ტაიმში უპირატესობას თბილისელები ფლობდნენ და ტაიმი ასეც დასრულდა. მატჩის მონაწილეები იხსენებენ, რომ მსაჯმა 46-ე წუთზე საეჭვო პენალტი დანიშნა, შტილიკემ კი ანგარიში გაათანაბრა – 1:1. 69-ე წუთზე "რეალის" მეკარე მიგელ ანხელმა **ვლადიმერ გუცაევი** წააქცია და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც შენგელიამ გოლად აქცია – 1:2.

ამის შემდეგ "რეალმა" **ოთარ გაბელიას** კარში სამი გოლი გაიტანა – მონაწილეთა თქმით, მესამე, საეჭვო გოლმა ჩვენები გატეხა. მე-13 წუთზე მადრიდელთა ნახევარმცველმა ანხელმა **დავით ყიფიანს** ფეხი მოსტეხა (ამის გამო საბოლოოდ კარიერაც დაასრულა), მატჩის ბოლოს კი **ნუკრი კაკილაშვილიც** მოედნიდან გაიყვანეს. მოკლედ, მადრიდელები ფინალში გავიდნენ.

მეორე ნახევარფინალში "ალკმაარმა" "ბაიერნი" 1:0 დაამარცხა და "დინამო" მესამე ადგილისთვის "ბაიერნს" შეხვდა.

საწყის 15 წუთში დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო, ჩვენები ამჯერადაც რამაზ შენგელიამ დააწინაურა (**ვიტალი დარასელიას** პასით). მართალია, 24-ე წუთზე პაულ ბრაიტნერმა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ გუცაევის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კვლავ შენგელიამ გამოიყენა და "დინამო" ისევ დაწინაურდა. იყო ასეთი ეპიზოდიც: **ვაჟა ჟვანიამ** მოედნის ცენტრთან ბურთი კისერზე გაიჩერა და ლამის საჯარიმომდე მივიდა, გერმანელებმა კი ბურთი ვერ აართვეს.

"ბაიერნის" მოთამაშეები მსაჯობით უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ, მთავარი არბიტრი **პეს პერესი**, როგორც მაშინდელი ესპანური გაზეთები წერდნენ, მართლაც მომაბეზრებლად მსაჯობდა, შავფორმიანთა კეთილგანწყობას შეჩვეულმა გერმანელებმა კი ემოციები ვერ მოთოკეს. 43-ე წუთზე **გია თავაძესთან** ბრძოლაში გერმანიის ნაკრების კაპიტანმა ბრაიტნერმა ყვითელი ბარათი მიიღო, არ ესიამოვნა, გუნდი მოედნიდან გაიყვანა და თამაში შეწყდა. ორგანიზატორთა თხოვნის მიუხედავად, "ბაიერნი" მოედანზე არ ბრუნდებოდა, დინამოელებმა კი წყალი გადაივლეს და სტადიონის დატოვებას რომ აპირებდნენ, გერმანელებმა თამაშის გაგრძელება მაშინ ინებეს. ახლა უკვე ახალკაცმა არ ისურვა მოთამაშეების მოედანზე დაბრუნება, მადრიდელებმა კი ქართველი ფეხბურთელები ოვაციებით გააცილეს.

## პარსკვლავებში საუკეთესო დინამოელები

მადრიდული ტურნირი დინამოელთა ბენეფისად იქცა. ფინალში "რეალმა" "ალკმაარს" მიგელ ანხელის მოგერიებული ორი პენალტის წყალობით მოუგო, დაჯილდოებისას კი, ვარსკვლავების გარემოცვაში, საუკეთესო ფეხბურთელად "დინამოს" 9 ნომერი გუცაევი დაასახელეს, შენგელია კი 4 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მადრიდელთა მაშინდელი პრეზიდენტი **ლუის დე კარლოს ორტისი** "დინამოს" თავკაცებს, **ნოდარ ახალკაცსა და კახი ასათიანს** სასტუმროში შეხვდა და გუცაევის ტრანსფერის ფასის დასახელება შესთავაზა, ფეხბურთელთან დალაპარაკებას კი ცალკე აპირებდა — გუცაევს ნებისმიერი საკონტრაქტო თანხის დასახელებას სთავაზობდა, ვაჭრობას კი 500 ათასი დოლარიდან იწყებდა, რაც ახლაც მშვენიერ წინადადებად მიიჩნევა, მაშინ კი ზღაპრული პირობა იყო – ფეხბურთი ხომ მხოლოდ 80-იანი წლებიდან გამდიდრდა. ამ დროს დინამოელებს "რეალთან" და "ბაიერნთან" მოგებისთვის 60 დოლარს შეჰპირდნენ.

ბატონი ვოვა იხსენებს, რომ ახალკაცმა ესპანელებს უარი უთხრა, გუცაევს სამშობლოში ყველაფერი აქვს, "ვოლგაც" კი ჰყავსო. ამაზე მადრიდელები გაოცებულან, ეს რა არისო? საბჭოთა "მერსედესიაო".

ამის შემდეგ "რეალის" პრეზიდენტმა "დინამოს" მეორე წინადადებით მიმართა — გუცაევის სანაცვლოდ ესპანეთის ნაკრების ორი ვარსკვლავი, სანტილიანა და ხუანიტო. მაგრამ საბჭოთა კავშირში ეს გამორიცხული იყო და ასე დაიკარგა „რეალში" ჩვენი მოთამაშის მოხვედრის შანსი.

## რეალის მწვრთნელი: დინამო საუკეთესო იყო

*"ესპანეთში გამართულ ტურნირებში მადრიდული ყველაზე პრესტიჟულია. თბილისის "დინამო" ძალიან მომეწონა — ის ტურნირის საუკეთესო გუნდი იყო. თბილისელებმა ითამაშეს თანამედროვე ფეხბურთი, გამოავლინეს საუკეთესო სათამაშო დისციპლინა, სიმშვიდე.*

*შეხვედრამდე "დინამოს" ასეთ კლასს არ ველოდით, გაზაფხულზე მოსკოვის "სპარტაკს" ვეთამაშეთ და რატომღაც თბილისური გუნდიც ისეთივე კლასის გვეგონა. სინამდვილეში, "დინამო" "სპარტაკზე" ერთი თავით მაღლა დგას, ფეხბურთელები უფრო ტექნიკურები და ჭკვიანები არიან. ნებისმიერი გუნდი ინატრებდა ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან 9 (გუცაევი) და 11 (შენგელია) ნომრები. ვფიქრობ, მათთან თამაშს არც ერთი ევროპელი მცველი არ ისურვებდა. დასანანია, რომ მატჩის დასაწყისშივე დაშავდა ყიფიანი. როდესაც მოედანს ასეთი დიდი მოთამაშე ტოვებს, ეს გუნდზე უცებ აისახება. "დინამომ" ნამდვილი ფეხბურთი ითამაშა და ამიტომ მოეწონათ მაყურებლებსა და პრესას. ამით იყო გამოწვეული ის ოვაციაც, რომელიც დინამოელთათვის პრიზების გადაცემას მოჰყვა. ყიფიანი უელსი-საბჭოთა კავშირის მატჩში ვნახე. უდავოდ დიდი ფეხბურთელია და "რეალის" დიდ ვარსკვლავ დი სტეფანოს მაგონებს. გუცაევმა კი სრულიად დამსახურებულად მოიპოვა საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი. მან ორჯერ ითამაშა "სანტიაგო ბერნაბეუზე" და ორივეჯერ საუკეთესო შეფასება დაიმსახურა. მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს – იგი "რეალში" არ თამაშობს. ძალიან საინტერესო თავდამსხმელია შენგელია, თუ საბჭოთა ნაკრები ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს, ის სპეციალისტთა ყურადღებას მიიქცევს",* - განაცხადა ტურნირის შემდეგ "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ვუიადინ ბოშკოვმა.

## მადრიდი ისევ რომ განმეორდეს

ამ ყველაფერს საგანგებოდაც მოგითხრობთ 2 სექტემბერს თბილისში ლატვიის ნაკრებთან ჩვენების წაგების შემდეგ. ასეთი იყო ჩვენი ფეხბურთი, რომელიც დღეს "2 სექტემბრით" და მსგავსებით გულს გვიკლავს. რა თქმა უნდა, იყო გამონათებები, შესარჩევი ციკლის მე-7 ტურამდე საქართველოს არასოდეს ჰქონია ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი, ისეთი, როგორიც ჰქონდა ქეცბაიას გუნდს, მაგრამ ცხოვრებამ რეალობა დაგვანახვა – ჩვენ ჯერ ძალიან შორს ვართ დიდი ფეხბურთისგან.

60-70-80-იანი წლების "დინამო", ანუ საქართველოს ნაკრები მუდმივად იყო საბჭოთა ფეხბურთის ლიდერთა შორის, გუნდის დაღმასვლა კი მაშინ დაიწყო, როდესაც ყველაზე დიდ წარმატებას - ევროპის თასების მფლობელთა თასზე გამარჯვებას მიაღწია და ქართველებსაც მეტი რა გვინდოდა, გავილაღეთ და საქმის კეთების ნაცვლად, სადღეგრძელოებს გადავყევით, თითქოს **ანდრო ჟორდანიას** ქართული ფეხბურთის წარმატებათა საფუძველი არა შრომით, არამედ ღრეობით ჩაეყაროს.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს და დროა, საქმეზე გადავიდეთ და ის საფუძველი ჩავყაროთ, რომელიც, უპირველესად, საფეხბურთო მსოფლმხედველობიდან მომდინარეობს. ესპანელები და ფრანგები ჩვენზე მეტნი არიან და აზრთა სხვადასხვაობაც ექნებოდათ, მაგრამ ერთზე შეჯერდნენ, არჩეულ გზას მისდიეს და ძლიერი ნაკრებებით მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები გახდნენ. ამიტომაც არის, ნაკრების მწვრთნელმა ვინც უნდა მიიწვიოს, მან ბავშვობიდან იცის გუნდში თავისი ადგილი და ფუნქცია. ესპანელებმა და ფრანგებმა ამას მიაღწიეს ფიქრით, ეროვნული ბუნების, მონაცემებისა და არაერთი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ცხადია, ინფრასტრუქტურა და პირობები მათთვის სადარდებელი არ იყო.

ჩვენ კი ვმსჯელობთ, ქეცბაია არის გასაშვები თუ ფეხბურთელები გასაგდები – უფრო სასურველ და საჭირო საქმედ ქართული ფეხბურთის კონცეფციაზე და საფუძვლებზე (ბაზების, სტადიონების კეთილმოწყობაზე, ბავშვთა ფეხბურთზე და უფასო ჯგუფების ამოქმედებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე...) მუშაობა მიგვაჩნია. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება – ასეთ ვითარებაში ვინც უნდა დანიშნონ და ვინც უნდა გააგდონ, დიდი განსხვავება არ იქნება, ქართული ფეხბურთის ოდესღაც სასახელო ისტორიაც მუდამ ისე იქნება შეურაცხყოფილი, როგორც 2 სექტემბერს იყო იმ კაცის სახელობის (**მიხეილ მესხის**) სტადიონზე, რომელმაც ქართველებს ფეხბურთით უდიდესი სიხარული და სიამაყე მიანიჭა.

**მერაბ მამულაშვილი**

## პირველი ლიგა, III ტური

### ა ზონა

| | |
|---|---|
| სტუ-დინამო (ბ) | 4:1 |
| ლოკომოტივი-მერცხალი | 1:1 |
| სამტრედია-ჩხერიმელა | 0:0 |
| კოლხეთი (ხ)-მესხეთი | 2:0 |
| ჭიათურა-მეშახტე | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 2. ს.ტ.უ. | 3 | 1 | 2 | 0 | 9-6 | 5 |
| 3. მერცხალი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 4. კოლხეთი (ხ) | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 5. ჭიათურა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 6. მეშახტე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 7. მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. ჩხერიმელა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 9. ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10. სამტრედია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

### ბ ზონა

| | |
|---|---|
| ჩიხურა-სძური | 4:1 |
| სამგურალი-ზოოვეტი | 1:3 |
| ადელი-სულორი | 4:0 |
| გურია-ნ. დინამო | 2:1 |
| აეტი-იმერეთი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 2. ზოოვეტი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 3. გურია | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 4. ადელი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 5. ნ.დინამოელი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 6. იმერეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7. სძური | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 8. სამგურალი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| 9. სულორი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |
| 10. აეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. იოახიმ ლიოვი



გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი

# ეიფორია არ დამანახოთ!

## რეალისტი ლიოვის ფილოსოფია: პროგრესი მაშინაც, როცა ყველა თამაში მოგებული გაქვს

მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესგუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დღემდე ჩატარებული რვა მატჩიდან რვავე მოიგო და ფინალური ეტაპის საგზური უკვე ოფიციალურად გაინაღდა, მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი ეიფორიაში არ არის და რეალისტად რჩება. „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იოგიმ არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე ძალიან საინტერესოდ ისაუბრა.

**- ჰერ ლიოვ, თქვენმა გუნდმა ავსტრიის ნაკრების განადგურებით (6:2) ევროპის ჩემპიონატის საგზური ოფიციალურად გაინაღდა. 8 თამაში, 8 მოგება – შედეგი იდეალურია, რასაც მთელი საფეხბურთო გერმანია ზეიმობს. საინტერესოა, როგორ ზეიმობს თვითონ ბუნდესმწვრთნელი?**

- ცხადია, კმაყოფილი და ძალიან გახარებული ვარ, მაგრამ ეიფორიაში არ ვვარდები. ზოგადად, რეალისტი ვარ და მარტო იმიტომ, რომ ავსტრია გავანადგურეთ, სიხარულისგან ჭკუიდან ნამდვილად არ შევიშლებოდი. პირველ რიგში იმიტომ, რომ ვიცი: ჩვენ ეს დავიმსახურეთ და თანაც, ეს ყველაფერი შრომის შედეგია.

**- გერმანიის ნაკრების მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა თქვა, ჩვენი მიზანი მხოლოდ ევროპის ჩემპიონობა უნდა იყოს, სხვა შედეგი აქ არავის დააკმაყოფილებსო...**

- ესეც ლოგიკური განცხადებაა: რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონობაზე ვფიქრობთ, მაგრამ ჩემი აზრით, ტიტულზე ლაპარაკი ჯერ მაინც ადრეა.

**- რატომ?**

- იმიტომ რომ ფეხბურთში შეიძლება ყველაფერი ძალიან სწრაფად შეიცვალოს და თანაც, ევროპის ჩემპიონატამდე ათი თვეა დარჩენილი. ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ ვიცი, საუკეთესო გუნდებთან კარგად თამაში შეგვიძლია და აგერ, ბრაზილიასთან ტესტ-მატჩში დომინანტები ვიყავით. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორ გზას ვადგავართ და პრობლემები არ გვაქვს, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ფეხბურთში პრობლემა ხანდახან ციდან ჩამოვარდება ხოლმე და მე იმედი მაქვს, რომ ჩვენს შემთხვევაში ასე არ მოხდება. ჩემთვის მიუღებელი კაცია ყველა, ვინც ჯგუფში ყველა თამაშის მოგებითა და ბრაზილიასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით დაბრმავდება და ეიფორიაში ჩავარდება. ვინც კარგად მიცნობს, ისიც ეცოდინება, რომ მხოლოდ გამარჯვებები არ მაკმაყოფილებს. ჩემთვის ერთ დონეზე გაჩერებაც კი რეგრესს ნიშნავს. პროგრესი, პროგრესი და კიდევ ერთხელ პროგრესი – ეს არის ჩემი ფილოსოფია.

**- გერმანიის ნაკრები თქვენს ხელში ძალიან მსუბუქად თამაშობს, რასაც ბუნდესგუნდის ვერცერთ თაობაზე ვერ იტყოდი...**

- ფეხბურთი შეიცვალა და ჩვენც უნდა შევცვლილიყავით. დღეს ორი-სამი უმაღლესი კლასის ფეხბურთელის ყოლა საკმარისი აღარ არის. ჰო, 30 წლის წინ ეს საკმარისი იყო: დიეგო მარადონა მსოფლიოს ჩემპიონატს მარტო იგებდა და მის გვერდით ყველა ვარსკვლავი ხდებოდა. დღეს კი ყველაფერი სხვანაირადაა, რაც თუნდაც ლიონელ მესისა და არგენტინის ნაკრების მაგალითზეც ჩანს.

**- ჰო, მაგრამ ბევრს არ მოსწონს ის, რომ გერმანიის ნაკრები თავის საკუთარ სტილს კარგავს.**

- გერმანიის ნაკრებმა თავისი სტილი მაქსიმალურად უნდა შეინარჩუნოს, მაგრამ არა შედეგის ხარჯზე! ფეხბურთში მთავარი ხომ შედეგია. ბუნდესგუნდი მხოლოდ ჩვენი სტილითა და ადათ-წესებით რომ თამაშობდეს, დღეს საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების მიღწევის შანსი არ გვექნებოდა. დრო ყველაფერს ცვლის და შენც შეცვლას გაიძულებს – 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გერმანია დღევანდელ ესპანეთს რომ შეახვედრო, მათეუსი, კლინსმანი და კომპანია ჩავის, ინიესტას და სხვებს მხოლოდ ათი წუთი თუ გაუძლებენ. იმიტომ კი არა, რომ ის გუნდი დღევანდელ ესპანეთზე სუსტი იყო – არავითარ შემთხვევაში – უბრალოდ, ყველაფერი შეიცვალა, ფეხბურთი მაშინ სულ სხვანაირი იყო, დღეს კი სხვანაირია.

> „1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გერმანია დღევანდელ ესპანეთს რომ შეახვედრო, მათეუსი, ბრემე და კომპანია ჩავის, ინიესტას და სხვებს მხოლოდ ათი წუთი თუ გაუძლებენ. იმიტომ კი არა, რომ ის გუნდი დღევანდელ ესპანეთზე სუსტი იყო - არავითარ შემთხვევაში - უბრალოდ, ყველაფერი შეიცვალა, ფეხბურთი მაშინ სულ სხვანაირი იყო, დღეს კი სხვანაირია“

**- რატომ არ გაამწესეთ მარიო გიოტცე ავსტრიასთან ძირითად შემადგენლობაში?**

- მარიო შესანიშნავი, შეუდარებელი ტალანტია, მაგრამ მის ნიჭს უნდა გავუფრთხილდეთ. გადამეტებაც არ შეიძლება!

**- რატომ?**

- გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქებით ცაში აყვანა და უდიდესი პასუხისმგებლობების დაკისრება ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვნებთ - მახსენდება ლუკას პოდოლსკისა და ბასტიან შვაინშტაიგერის მაგალითები. მარიო გიოტცე ჯერ 20 წლისაც არაა და ხომ იცით, გერმანიის ნაკრებში უამრავ მატჩს ჩაატარებს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სხვა ფეხბურთელებიც გვყავს, რომლებსაც მეტი გამოცდილება აქვთ და გიოტცეს არ ჩამოუვარდებიან.

**- ტალანტები მართლაც ბევრი გვყავს, რის გამოც თქვენი ძალიან ბევრი ნაკრების მწვრთნელს შურს...**

- ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ გუნდში უდიდესი კონკურენციაა, მაგრამ ეს თავისით არ მოსულა – ძალიან დიდი შრომის შედეგია. თანაც, აშკარაა, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შემდეგ, სადაც ძალიან კარგად ვითამაშეთ, გერმანულმა კლუბებმაც მოგვბაძეს.

**- უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება.**

- გერმანია მუნდიალზე ძალიან ახალგაზრდული გუნდით წარდგა და ჩვენი ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ რაკი წარმატებას მივაღწიეთ, გერმანულმა კლუბებმაც მოგვბაძეს და ახალგაზრდა ტალანტებს თავის გამოჩენის შანსი მისცეს. სწორედ 2010 წლის მუნდიალის შემდეგ გამოჩნდნენ ბუნდესლიგაში გიოტცე, შიურლე, დრაქსლერი. ადრე კი, თუ გახსოვთ, კლუბები უფრო გამოცდილ და ასაკოვან მოთამაშეებს ენდობოდნენ, რომლებსაც უცხოეთიდან ყიდულობდნენ, თავიანთ ტალანტებს კი ნაკლებად აფასებდნენ, რის გამოც გერმანიის ნაკრებიც გადაბერებული იყო. როცა გერმანიის ნაკრების მწვრთნელი გავხდი, მაშინვე ვთქვი, რომ ასე არ შეიძლებოდა. ხომ გახსოვთ, სულ ვამბობდი, ძალიან კარგი ახალგაზრდა ბიჭები გვყავს, რომლებსაც უბრალოდ შანსი უნდა მივცეთ-მეთქი. დღეს ყველა ხედავს, რომ მართალი ვიყავი.

**- ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ეს ყველაფერი ნამდვილი ლიდერის გარეშე მოახერხეთ – ამას ოლივერ კანი ამბობს.**

- ლიდერსაც ვეძებთ და იქნებ ვიპოვოთ... არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ ჩემი აზრით, გერმანიის ნაკრებს ლიდერები ჰყავს. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მე ლიდერს სხვა კრიტერიუმებით ვუწოდებ, კანი და მისი თაობის ფეხბურთელები კი ლიდერში სულ სხვა რამეს გულისხმობენ. მოდით, ფეხბურთს თავი დავანებოთ და ჩვეულებრივ ცხოვრებას დავაკვირდეთ: ადრე ნებისმიერ ოჯახში ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც მამა იტყოდა. დღეს კი, ცოლს და შვილსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი გადაწყვეტილებაში. სპორტშიც იგივე მოხდა – დღეს ყველა ფეხბურთელს სურს თავისი აზრის დაფიქსირება, ადრე კი, მიუნხენის „ბაიერნში“ ოლივერ კანი და შტეფან ეფენბერგი რასაც იტყოდნენ, ყველასათვის კანონი იყო. დღეს კი, ყველა თუ არ ალაპარაკე, გუნდი აირევა, აჯანყდება და მერე მარტო კანს და ეფენბერგს მოუწევთ მოედანზე გასვლა. ადრე ერთმანეთში მხოლოდ გამოცდილი, ასაკოვანი მოთამაშეები ლაპარაკობდნენ ხოლმე, ახალგაზრდებს კი ხმას არ ამოაღებინებდნენ. დღეს, გერმანიის ნაკრების ლიდერები ლამი, შვაინშტაიგერი, კლოზე ან მერტეზაკერი ყველას ალაპარაკებენ, ნებისმიერს უსმენენ. მათ ყოველთვის აინტერესებთ, რითი არიან დაკავებული ახალგაზრდები და ა.შ. ეს კი მთელ გუნდზე დადებითად მოქმედებს.

გერმანიის ნაკრები

# ლიდერები დაისვენებენ

## პოლონეთთან შვაინის, იოზილისა და ნოიერის გარეშე

ავსტრიასთან მოგებული მატჩის შემდეგ, რომლითაც გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური გაინაღდა, ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ლიდერები, **ბასტიან შვაინშტაიგერი, მესუთ იოზილი** და მეკარე **მანუელ ნოიერი** დაითხოვა. ტრიომ გერმანიის ნაკრების ბაზა უკვე დატოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი გუნდს პოლონეთში არ გაჰყვებიან – როგორც იცით, გერმანია ხვალ პოლონეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს.

*„ეს გადაწყვეტილება ჩემი კონცეფციის ნაწილია. ყოველთვის ვამბობდი, რომ როცა შესაძლებლობა მომეცემოდა, აუცილებლად დავასვენებდი იმ მოთამაშეებს, რომლებიც თავიანთ კლუბებში ყველა ტურნირში არიან ჩაბმულები და ისედაც გადატვირთული კალენდარი აქვთ. ახლა სწორედ ასეთი მომენტია, პოლონეთთან კი ახალგაზრდა მოთამაშეებს გამოვცდი,“* - განაცხადა ლიოვმა პრესკონფერენციაზე.

ალსანიშნავია, რომ პოლონეთთან „შალკეს“ მცველის, **ბენედიქტ ჰიოვედესის** თამაშიც საეჭვოა. ეს უკანასკნელი ავსტრიასთან დაშავდა და შესვენებაზე შეცვალეს. მართალია, ბენედიქტმა გუშინ მსუბუქად ივარჯიშა, მაგრამ დიდი შანსია, რომ ლიოვმა პოლონეთთან მისი გამწესება აღარ გარისკოს. სამაგიეროდ, იოგიმ ნაკრებში „ლევერკუზენის“ საყრდენი ნახევარმცველი **ლარს ბენდერი** გამოიძახა. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი დორტმუნდელი **სვენ ბენდერის** ტყუპისცალია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**






ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

● ბოსების დისკუსია

## ჰიონესი: მოვა დრო, გიოტცე ჩვენთან გადმოვა!

### ვატცკეს პასუხი: ბაიერნი მარიოს ვერასდროს მიიღებს!



გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 19 წლის მარიო გიოტცე

**მარიო გიოტცე** გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია – დღეს გერმანიაში ყველა 19 წლის დორტმუნდელზე ლაპარაკობს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის ის, რომ მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** ანკესი უკვე ისროლა და თქვა, მოვა დრო და მარიო ჩვენთან გადმოვაო, რასაც დორტმუნდელთა მხრიდან მაშინვე მწვავე რეაქცია.

„ული ჰიონესის განცხადებამ ოდნავადაც არ ამაღელვა, რადგან ვიცი: შესაძლოა, 15 წლის წინ ულის ასეთი ნაბიჯები ჭრიდა, მაგრამ დღეს ასე ნამდვილად აღარ არის. ჩემთვის აბსოლუტურად ლეგიტიმურია ის, რომ მიუნხენელები მარიოს გადაბირებაზე ოცნებობენ და ამ მხრივ „ბაიერნი" ნამდვილად არ არის ერთადერთი გუნდი. აგერ, ლონდონის „არსენალმა" 40 მილიონი ევრო შემოგვთავაზა, მაგრამ გიოტცე არ გავყიდეთ. ფაქტია, რომ დღეს ჰიონესის პროგნოზები ისე ხშირად აღარ მართლდება, როგორც ადრე მართლდებოდა ხოლმე," - უთხრა „ბორუსიას" მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** „ბილდს".

ჰიონესმა გიოტცეს და არა მარტო გიოტცეს შესახებ, პარასკევს ისაუბრა. აი, რა თქვა რეკორდმაისტერის 59 წლის პრეზიდენტმა: „ადრეც ბევრს უთქვამს, „ბაიერნში" არ გადავალო, მაგრამ უმეტესობა მაინც ჩვენთან გადმოდიოდა. თუკი მარიო გიოტცე პროგრესს განაგრძობს და უმაღლესი დონის ვარსკვლავად ჩამოყალიბდება, ჩვენ აუცილებლად დავინტერესდებით და როცა ეს მოხდება, იმასაც ვნახავ, იტყვის თუ არა უარს მოლაპარაკებებზე. არ ვამბობ, რომ ეს დღეს ან ხვალ მოხდება, მაგრამ ფაქტია, რომ მარიო ძალიან სიმპათიური მოთამაშეა, „ბაიერნში" კი სწორედ ასეთები გვინდა. ჯერ მოახლოვდეს ის დრო, როცა მარიოს „დორტმუნდთან" კონტრაქტი ამოეწურება და ამ თემაზე დაწვრილებით მერე ვილაპარაკოთ! თავის დროზე, ფრანკ რიბერის სანაცვლოდ 80 მილიონ ევროს გვთავაზობდნენ, მაგრამ არ გავყიდეთ, რადგან ჩვენ საფეხბურთო კლუბი ვართ და არა ბანკი. როცა გუნდს ვალები არ აქვს, ფეხბურთელს არავინ გაყიდის და დღეს გიოტცეს მეც არ გავყიდდი. ერთი სიტყვით, ამის დროც მოვა."

ამასთან, „ბაიერნის" მთავარმა ბოსმა ისიც თქვა, რომ უახლოეს მომავალში **არიენ რობენთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს და რომ ჰოლანდიელთან მოლაპარაკებებს მალე დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ რობენს რეკორდმაისტერთან ხელშეკრულება 2013 წლამდე აქვს გაფორმებული. საუბრისას ულიმ ისიც თქვა, ძალიან ვნანობ, რომ თავის დროზე „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელად **იურგენ კლინსმანი** დავნიშნე და არა **იურგენ კლოპი**, რომელიც დღეს ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი სპეციალისტიაო. წესით, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ული კლოპსაც უმიზნებს...

● იტალიის ნაკრები

## პრანდელი: იტალია ბარსელონა არ არის!

### ჩეზარეს კრიტიკა გულზე მოხვდა, მაგრამ აღიარებს, უკეთესი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთო

იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგი „მუშა გამარჯვება" მოიპოვა, მაგრამ ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა „სკუადრა აძურას" თავკაც **ჩეზარე პრანდელის** უსუსურ ფარერებთან მინიმალური ანგარიშით გამარჯვება წარუმატებლობად ჩაუთვალეს და გააკრიტიკეს. მატჩის დასაწყისში **ანტონიო კასანოს** მიერ გატანილი გოლი ფარერის კუნძულებზე იტალიელთა მხრიდან ერთადერთი გამოდგა და მართალია, „აძურიმ" თავისი საყვარელი ანგარიშით მოიგო, მაგრამ მიმომხილველებს სუსტ მეტოქესთან ასეთი მწირი მოგება ეცოტავათ.

უნდა ითქვას, რომ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე დიდი კმაყოფილება არც თავად პრანდელის ეტყობოდა – მწვრთნელმაც აღიარა, რომ შეგირდების თამაშით უკმაყოფილო იყო. თუმცა თამაშის მეორე დღეს „გაძეტა დელო სპორტში" ისეთები დაიწერა, რომ პრანდელი წყობიდან გამოვიდა და მეორე დღეს კიდევ ერთი პრესკონფერენცია გამართა, სადაც ძირითადად იმაზე ისაუბრა, რომ ზუსტად იცის, იტალიის ნაკრები დროთა განმავლობაში თამაშს აუცილებლად გააუმჯობესებს.

როცა 54 წლის პრანდელი „აძურის" თავკაცად დაინიშნა, განაცხადა, აქცენტი სწრაფ ფეხბურთზე და მოკლე პასებზე უნდა გავაკეთოთ და უნდა შევეცადოთ, ისე ვითამაშოთ, როგორც ამას „ბარსელონა" და ესპანეთის ნაკრები აკეთებსო. იტალიელმა ჟურნალისტებმა ჩეზარეს სწორედ ეს სიტყვები გაუხსენეს და ფარერებთან 1:0-ის შემდეგ, პირდაპირ ვთქვათ, მაგრად დასცინეს.

„როცა იტალიის ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე, ნამდვილად ვთქვი, „აძურიში" ტაქტიკა უნდა შევცვალო-მეთქი და ნამდვილად ვამბობდი იმასაც, რომ გაცილებით სწრაფი ფეხბურთი უნდა გვეთამაშა, მაგრამ იტალიის ნაკრები „ბარსელონასთვის" ან ესპანეთისთვის არასდროს შემიდარებია. მაშინ უბრალოდ ვთქვი, რომ ამას ყველაზე კარგად ესპანელები და ბარსელონელები აკეთებენ. იტალია „ბარსელონა" არ არის და ვერც იქნება, რადგან კატალონიაში ფეხბურთელები სწრაფი ფეხბურთის მოკლე პასებით თამაშს ბავშვობიდან სწავლობენ, ჩვენ კი ასეთი ფეხბურთის თამაშს მხოლოდ ახლაღა ვსწავლობთ," - განაცხადა პრანდელიმ.




ჩეზარე პრანდელი

ფარერებთან მატჩში პრანდელიმ თავის შეგირდებს მოტივაციის პრობლემაც შეამჩნია და ზოგადად, გუნდის შემართებით უკმაყოფილოა: „თამაშის შემდეგ მთელი ღამე არ მეძინა და ღამით მატჩს განმეორებით ვუყურე. სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ თამაში კარგად დავიწყეთ, მეორე ტაიმში ჩემს ფეხბურთელებს ბევრი წუნი ჰქონდათ," - დასძინა ჩეზარემ.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრებმა C ჯგუფში შვიდიდან ექვსი თამაში მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა, რაც ნამდვილად არ არის ცუდი შედეგი, ხვალ კი, აპენინელები სლოვენიას ხვდებიან და „აძურის" თავკაცის თქმით თამაშის ხარისხის გაუმჯობესებასაც შეეცდებიან. „ზოგადად სწორ გზას ვადგავართ და ვერავინ იტყვის, რომ ეს ასე არ არის. იტალიის ნაკრები კვლავინდებურად სოლიდური გუნდია, რომელსაც შესარჩევ ციკლში წაგება არ აქვს და მხოლოდ ერთი ფრე ითამაშა. თუმცა ფაქტია, რომ მომდევნო მატჩებში უფრო უკეთესი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, თუმცა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ სლოვენიასთან ძირითად შემადგენლობაში ბევრს არაფერს შევცვლი," - განაცხადა პრანდელიმ.

● ამბები




### ჰელმესი ტყეში

რაკი **პატრიკ ჰელმესი** ვერ გაყიდა, „ვოლფსბურგის" მენეჯერი და მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** ახლა ყველაფერს ილონებს იმისათვის, რომ თავდამსხმელისგან მაქსიმუმი მიიღოს – აბა, ხელფასს ტყუილად ხომ არ გადაუხდის. „დესპოტი ფელიქსი" 27 წლის ფორვარდის ფიზიკური კონდიციით ძალიან უკმაყოფილოა, რის გამოც გასულ უქმეებზე ჰელმესი ფიტნეს მწვრთნელთან ერთად ორი დღე ტყეში არბენინა.

„პატრიკი ფიზიკურად ცუდ ფორმაშია და აუცილებლად უნდა მოუმატოს," - აცხადებს მაგათი და იმასაც არ გამორიცხავს, რომ ჰელმესი დროებით რეზერვისტებში გადაისროლოს.

### დუტმა ბალაკი დაიმედა

„არ არსებობს მიზეზი, რის გამოც უნდა ვთქვა, რომ მიხაელ ბალაკს არ ვათამაშებ. ის ძალიან კარგად ვარჯიშობს და საკმაოდ კარგ ფორმაშია," - ეს „ლევერკუზენის" თავკაც **რობინ დუტის** სიტყვებია. როგორც იცით, ბუნდესლიგის სტარტის შემდეგ, ბალაკმა „ლევერკუზენის" შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, რის გამოც ბევრმა იფიქრა, რომ დუტმა გამოცდილი ნახევარმცველი ჩამოწერა.

### სუბოტიჩი დორტმუნდის ერთგულია

**ნევენ სუბოტიჩი** დორტმუნდის „ბორუსიაში" თავს იდეალურად გრძნობს. 22 წლის მცველმა „ბილდს" უთხრა, რომ თუ ოდესმე „დორტმუნდს" დავტოვებ, სხვა გერმანულ კლუბში ნაღდად არ გადავალ, ისე კი, დღესდღეობით იმ აზრზე ვარ, რომ კარიერის ბოლომდე „ბორუსიაში" უნდა ვითამაშოო.

„ბორუსია" ყველანაირად იდეალური კლუბია და ზუსტად ვიცი, რომ თუ აქედან წასვლა ოდესმე მომინდა, სხვა გერმანულ კლუბს არ მივაშურებ. თუმცა ამ ეტაპზე საერთოდ „ბორუსიადან" წასვლასაც გამოვრიცხავ, მაგრამ არავინ იცის, რა იქნება წლების შემდეგ," - უთხრა სუბოტიჩმა „ბილდს".

● ინტერი

## ამას ჰქვია MAMMA MIA!

### ინტერში ახლა გაიგეს, ფორლანს ჩემპიონთა ლიგაში რომ ვერ ათამაშებენ!

ასეთი რამ მხოლოდ იტალიაში შეიძლება მოხდეს! მილანის „ინტერი" მადრიდის „ატლეტიკოდან" ნაყიდ და დიდი ზარ-ზეიმით წარდგენილ თავდამსხმელ **დიეგო ფორლანს** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ გამოიყენებს, რაც „ნერაძურის" ხელმძღვანელებმა მხოლოდ მაშინღა შეიტყვეს, როცა უეფაში საჩემპიონთალიგო განაცხადს აგზავნიდნენ. საქმე იმაშია, რომ ურუგვაელმა თავდამსხმელმა ამ სეზონში უკვე ითამაშა ევროტურნირზე – მან „ატლეტიკოს" შემადგენლობაში ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ნორვეგიულ „სტრომსგოდსეტთან" იასპარეზა. „ინტერში" კი 32 წლის ფორლანი აგვისტოს მიწურულს გადავიდა. შესაბამისად, მას წელს „ინტერის" ფორმით ევროტურნირებზე თამაშის უფლება არ აქვს. „ინტერში" კი, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, გუშინდელ დღემდე ეს არავინ იცოდა.



მილანური კლუბის ბოსები ფორლანის წარდგენისას ხშირად საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ რამდენად წაადგებოდათ „ატლეტიკოდან" 5 მილიონ ევროდ შეძენილი თავდამსხმელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, სადაც „ნერაძური" მოსკოვის ცსკა-სთან, „ლილთან" და „ტრაბზონსპორთან" ერთად ითამაშებს, ახლა კი შეიტყვეს, რომ ფორლანს 2012 წლამდე ევროსარბიელზე ვერ გამოიყენებენ.

იოლი წარმოსადგენია, როგორ დასცინებდა იტალიური პრესა „ინტერს" და მისი ბოს **მასიმო მორატის**. ირონიის მიღმა კი, იტალიის ჟურნალისტები გულდაწყვეტილები წერენ, „ინტერის" იმიჯის თვალსაზრისით უდიდესი ზიანი მიადგა, მსოფლიო დონის კლუბს ასეთი შეცდომა არ უნდა გაეპაროსო. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, მორატი ამ ამბის გამო ისეა განრისხებული, რომ თავისი მენეჯერების სასტიკად დასჯას აპირებს და გამორიცხული არაა, რომ უმრავლესობა გაათავისუფლოს.

„ინტერისთვის" კარგი მხოლოდ ისაა, რომ მილანელებს ურუგვაელი თავდამსხმელი მხოლოდ 5 მილიონი ევრო დაუჯდათ და კიდევ ის, რომ ფორლანი ძალიან კარგ ფორმაშია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამბები

## ბენტი და რიჩარდსი დაიმტვრნენ

ინგლისის ნაკრებს ევრო 2012-ის შესარჩევ ტურში ბრიტანული დაპირისპირება ელის, უელსის გუნდს ხვდება. ამ შეხვედრისთვის **ფაბიო კაპელლო** ორ ფეხბურთელს მოისაკლისებს, ტრავმები მიიღეს „ასტონ ვილას" ფორვარდმა **დარენ ბენტმა** და „მანჩესტერ სიტის" მცველმა **მიკა რიჩარდსმა**. რიჩარდსმა ტრავმა შაბათის ვარჯიშზე მიიღო და „სიტის" ექიმების განკარგულებაშია, რაც შეეხება ბენტს - მან ვარჯიში ჯერ კიდევ ბულგარელებთან თამაშამდე ვერ შეძლო, ისიც კლუბს დაუბრუნდა. ინგლისის ნაკრებმა სტუმრად 3:0 დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები და უელსელთა მოულოდნელი გამარჯვების წყალობით, ჩერნოგორია უკან მოიტოვა. კაპელომ გადაწყვიტა, რომ ტრავმირებულების შემცვლელები არ სჭირდება.

## ჰენდერსონი ლივერპულს დაუბრუნეს

ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ჯორდან ჰენდერსონი** „ლივერპულს" დაუბრუნდა. მას ტრავმა არ მიუღია, უბრალოდ, ნაკრებმა კლუბთან მიღწეული სიტყვიერი შეთანხმება შეასრულა. ინგლისელმა ახალგაზრდებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 6:0 მოუგეს აზერბაიჯანელებს, ჰენდერსონმა ერთ-ერთი გოლი გაიტანა. დღეს ინგლისელები ამხანაგურად ებრაელ თანატოლებს გაეჯიბრებიან, თუმცა ჰენდერსონი კლუბში გამოცხადდება „ნორვიჩ სიტისთან" მატჩისთვის უკეთ მოსამზადებლად. ნაკრები დატოვა **ჯოშ მაკიჩრენმაც** (ჩელსი), მან ტრავმა მიიღო. სტიუარტ პირსმა მაკიჩრენის ნაცვლად „ტოტენჰემის" **ადამ სმითი** გამოიძახა.

## დეზერტირი კარვალიო

პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა **პაულუ ბენტუმ** განაცხადა, რომ სანამ ის ნაკრების მწვრთნელია 33 წლის **რიკარდო კარვალიო** ვერასოდეს ითამაშებს ეროვნულ გუნდში. ბენტუ მას დეზერტირად მიიჩნევს და მოითხოვს, უეფამ მას ჩემპიონთა ლიგაზე დისკვალიფიკაცია გამოუწეროს. პრინციპში, „რეალის" მცველმა თავად განაცხადა, რომ საერთაშორისო კარიერას ასრულებს. შეგახსენებთ, რომ რიკარდო კარვალიომ პორტუგალიელთა ბაზა თვითნებურად მიატოვა, მას მერე, რაც ნაკრებში კონფლიქტი მოუვიდა. რიკარდო კარვალიოს ნაკრებში 74 მატჩი აქვს ჩატარებული და 5 გოლი გატანილი.



● ესპანეთი. ფურია როხა

# სესკის ყვავილობა

## მოედანზე მსაჯმა, სასტუმროში ქურდებმა...



„ეროვნული ნაკრების წევრთა შორის კარგი ურთიერთობა ჩვენი წარმატების საწინდარია", - ჯერ კიდევ ჩილეს ნაკრებთან თამაშის წინ ამბობდა „ფურია როხას" თავკაცი **ვისენტე დელ ბოსკე** და მართალიც იყო. სწორედ ამ გუნდურობის წყალობით შემოაბრუნეს ესპანელებმა თამაშის ჩარხი და ჩილეს 3:2 მოუგეს. გუნდში შექმნილ კარგ ატმოსფეროს ისეთი მაღალი დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ნაკრებშიც ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორიც ესპანეთია და ლამის პირველ პლანზე გადმოდის შედარებით სუსტ გუნდებში, თუნდაც საქართველოს ნაკრებში. არადა, ვისენტე დელ ბოსკეს ბევრი ოფლისღვრა უწევს ჰარმონიის მისაღწევად - იქ პოლიტიკური საკითხი, მოგეხსენებათ, კატალონიელებს მაინცდამაინც არ ეხალისებათ ესპანეთის დროშის ქვეშ თამაში, დაპირისპირება „რეალისა" და „ბარსელონას" ფეხბურთელებში, რომელიც ხანდახან საკლუბო დონიდან ნაკრებშიც იჩენს თავს, უდიდესი კონკურენცია თითოეულ პოზიციაზე და შესაბამისად, მომდურებული ფეხბურთელები, კარგი ფეხბურთელები...

ამიტომაც არის ვისენტე დელ ბოსკე კარგი მწვრთნელი, რომ წმინდა საფეხბურთო საკითხების ცოდნასთან ერთად ამ ჰარმონიის შენარჩუნება შეუძლია. ჩილესთან საკონტროლო მატჩი შვეიცარიაში, სენტ გალენის „არენაზე" გაიმართა. დელ ბოსკემ სასტარტო 11-ეულში ერთბაშად 5 რეალელი დააყენა, რაც დიდი იშვიათობაა. დაცვის ცენტრის პრობლემა (პიკე და **პუიოლი** კვლავ დამტვრეულები არიან) დელ ბოსკემ ორიგინალურად გადაწყვიტა - ბასკი **ხავი მარტინესი** დაცვაში დახია და მას მადრიდელი **რაულ ალბიოლი** შეუწყვილა, ფლანგებზე **სერხიო რამოსმა** და **ალვარო არბელოამ** ითამაშეს. შუახაზში **ჩავი**, **სერხიო ბუსკეტსი** და **ჩაბი ალონსო** განლაგდნენ, წინ კი **დავიდ სილვას**, **ალვარო ნეგრედოსა** და **დავიდ ვილიას** ტრიო. თუმცა ის ფეხბურთელები, რომელთაც მატჩის გმირობა ხვდათ წილად, სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ, **ანდრეს ინიესტა** და **სესკ ფაბრეგასი** მეორე ტაიმში შემოვიდნენ, თამაში მოუწიათ **ხოსე რეინას**, **პედროს**, **ფერნანდო ტორესს** და **სანტი კასორლასაც**.

თამაშიდან სამი დღე გავიდა და მომენტების აღწერით აღარ შეგაწყენთ - პირველ ტაიმში **მაურისიო ისლამ** და **ხესუს ვარგასმა** სამხრეთამერიკელები დააწინაურეს, თუმცა ჯერ ინიესტამ, შემდეგ კი სესკ ფაბრეგასმა (დუბლი) გოლებით გამარჯვება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებს მოუტანეს. „ბარსელონას" 24 წლის ახალწვეულ სესკ ფაბრეგასს ოქროს ხანა უდგას, თითქოს, „არსენალი" მის შესაძლებლობებს ბოჭავდა - ჯერ ესპანეთის სუპერთასის მოგებაში მიიღო მონაწილეობა, მერე ევროპისა (აქ გოლიც გაიტანა), ორი ტიტულის მოპოვების შემდეგ სესკმა პრიმერაში დებიუტიც გოლით აღნიშნა („ვილიარეალთან"), ახლა კი ნაკრებში გაიბრწყინა.

ვინ როგორ გაუმართლა დელ ბოსკეს? დავიწყოთ ყველაზე პრობლემატური დაცვის ცენტრით - რაც მალე გამოჯანმრთელდებიან პიკე და პუიოლი, მით უკეთესი „როხასთვის", თორემ ხავი მარტინესით და ალბიოლით შორს ვერ წავლენ. მარტინესი უბრალოდ არ არის მცველი და ყველა კარგი საყრდენი ვერ იქნება კარგი მცველი (მაგალითად, ბუსკეტსი). ფლანგებსაც გაუჭირდათ, არბელოას ისლა ჯაბნიდა ხოლმე (გოლის მომენტში თუნდაც), რამოს კი ერთდროულად **ალექსის სანჩესთან** და **ჟან ბოსეჟურთან** უხდებოდა გამკლავება, რაც მთლად დამაჯერებლად ვერ გამოსდიოდა. შუახაზში ჩავი პირველ ტაიმში მოწყენილ ბელურას ჰგავდა და ის ჩილელთა მუშა ნახევარმცველებმა „შეჭამეს", ინიესტას გამოსვლამ ნაკრებიც და ჩავიც გამოაფხიზლა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, ჩაბი ალონსო და ბუსკეტსიც ხშირად ვერ უგებდნენ მოედანზე ერთმანეთს. შემტევი ტრიოდან ისევ სილვა სჯობდა სხვებს, ვილია მკრთალი იყო, ნეგრედოზე კი საერთოდ არაფერია სალაპარაკო - ესპანეთის ნაკრების დონისა არ არის. მოკლედ, ინიესტამ მატჩის სვლა შემოაბრუნა, ფაბრეგასმა კი ეს გოლებით ტაბლოზე ასახა.

ფაბრეგასი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ინიესტას მიიჩნევს: *„მან ამ შეხვედრაში რევოლუცია მოახდინა. დიდებულად ითამაშა, ჯერ გოლი გაიტანა, მერე მე გამატანინა, ფეხის მირტყმაღა მჭირდებოდა... ასეთი ბედნიერი დრო ცხოვრებაში არ მქონია და მინდა, რომ ის დიდხანს გაგრძელდეს"*. ჩავი კი ორივეს აქებს: *„ანდრესი და სესკი ბიჭები გენიოსები არიან, ბრავო მათ"*.

**ვისენტე დელ ბოსკე:** *„დაცვაში ძალიან გაგვიჭირდა, მეტოქემ კი ამით დიდებულად ისარგებლა. ესპანეთის ნაკრებს იმაზე ცუდად თამაში აღარ შეუძლია, რაც პირველ ტაიმში აჩვენა. ჩილეს ძალიან კარგი ნაკრები ჰყავს, ბრწყინვალე შემსრულებლებით. მეორე ტაიმში ჩვენი ზონები კარგად გადავკეტეთ და წინა ხაზის ფეხბურთელებს თავიანთი მისიის შესრულების საშუალება მივეცით"*.



ჩილელები ბოლო წუთებზე დანიშნულ პენალტს აპროტესტებდნენ, რასაც მოჰყვა კამათი და გაწევ-გამოწევა ფეხბურთელებს შორის. მსაჯმა გააძევა, როგორ მოედანზე მყოფები, ისე სათადარიგოები. შინ, სასტუმროში დაბრუნებულ სამხრეთამერიკელებს კი ნომერი გამოცარიელებული დახვდათ... აი, რა დაწერა „ტვიტერზე" პალმეირასელმა **ხორხე ვალდივიამ**, რომელიც მსაჯმა გააძევა ესპანეთთან მატჩში: *„მოედანზე რეფერიმ გაგვძარცვა, სასტუმროში კი - ქურდებმა. რა ცუდი დღე იყო შვეიცარიაში - ჩემი კომპიუტერი წაიღეს, შვილების ფოტოები მქონდა, რომლებიც სამუდამოდ დავკარგე - ძაღლისშვილები"*.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ? ინიესტას და ფაბრეგასის გარეშე ესპანეთი, ალბათ, ვერ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი. ისევე როგორც სამხრეთ აფრიკაში, სადაც ფინალის 115-ე წუთზე სესკმა მოძებნა ანდრესი და მანაც ესპანური ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი გოლი გაიტანა. პარასკევს ამ დუეტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ეს. დაცვაში ესპანელებს პრობლემები ელით, კი ბატონო, პიკე მალე გამოჯანმრთელდება, მაგრამ პუიოლი უკვე ასაკშია და მას დიდი ხანი აღარ დარჩენია „როხაში", მისი სრულფასოვანი შემცვლელი კი არ ჩანს, იქნებ დელ ბოსკემ გვარდიოლას მაგალითით ბუსკეტსი დახიოს უკან? ხავი მარტინესის ექსპერიმენტმა კი არ გაამართლა.

● ამბები

## მატიონი ისევ ლაზარეთშია

„ესპანიოლის" 22 წლის ბრაზილიელ **ფელიპე მატიონიზე** უილბლო ფეხბურთელს მსოფლიოში ძნელად თუ ნახავთ - ის 2010 წლის ივლისში გადავიდა ბარსელონურ კლუბში და ჯერაც არ ღირსებია დებიუტი. მატიონი ბრწყინვალე, უნივერსალური მცველია, მაგრამ რად გინდა - ტრავმებმა გაანამეს: წინასასეზონო შეკრებაზე მან მუხლი დაიზიანა და მთელი სეზონის გამოტოვება მოუწია. ახლა, ახალი სეზონის წინ მან მეორე მუხლი იტკინა და 6 თვე ისევ უფეხბურთოდ დარჩა. მატიონიმ კვლავ მუხლის ჯვარედინი იოგები დაიზიანა და ოპერაცია ელის.

## ბარსელონა? საიდან მოიტანეთ

ბრაზილიური „სანტოსის" პრეზიდენტმა უარყო, თითქოს **ნეიმარს** „ბარსელონასთან" წინასწარი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. **ლუის ალვარო** კატეგორიულად გამორიცხავს, თითქოს ახალგაზრდა ფეხბურთელი კატალონიელებს შეუთანხმდა: *„ნეიმარის ყიდვა ბევრს სურს და შემოთავაზებებიც იყო, მაგრამ 60 მილიონი ევრო ჯერ არავის შემოუთავაზებია და მეეჭვება, რომ ვინმე შემოგვთავაზებს"*.

## ამატი ქუთაისში დაშავებულა

„ესპანიოლის" ახალგაზრდა მცველი **ხორდი ამატი** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩში, რომელიც ჩვენმა გუნდმა სამარცხვინო ანგარიშით, 2:7 დათმო, დაშავდა და ახლა მისი თამაში ჩემპიონატის მეორე ტურში საეჭვოა. მცველმა კუნთი დაიჭიმა.



გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

EINE KÖNIGIN UNTER DEN BIEREN Warsteiner
რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი
EuroBasket 2011 LITHUANIA FIBA
ეროვნული ბიბლიოთეკა
როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# უკრ... აი, ნახეთ რა შეგვიძლია!



4 სექტემბერი

ლიტვა, კლაიპედა

## საქართველო-უკრაინა 69:53

10-17, 20-16, 21-11, 18-9

1800 მაყურებელი

**მსაჯები:** ფაბიო ფაჩინი (იტალია), ოლეგს ლატისევსი (ლატვია), მურატ ბირიჩიკი (თურქეთი)

| საქართველო | წთ | თ.ბ. | თ.ბ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | ღ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. გამყრელიძე | 10 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *5. ვ. ბოისა | 17 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| *7. ფაჩულია | 27 | 3/10 | 30.0 | 3/10 | 30.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 4 | 6 | 1 | 3 | 1 | 0 | 4 | 6 |
| *8. ცინცაძე | 24 | 6/9 | 66.7 | 4/5 | 80.0 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 14 |
| 9. შერმადინი | 13 | 1/3 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 2/3 | 66.7 | 1 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 4 | 4 |
| *11. მარკოიშვილი | 33 | 6/14 | 42.9 | 5/9 | 55.6 | 1/5 | 20.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 3 | 3 | 5 | 6 | 2 | 0 | 3 | 14 |
| 12. ჰეინსი | 17 | 2/5 | 40.0 | 2/2 | 100.0 | 0/3 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 0 | 1 | 1 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 7 |
| *13. სანიკიძე | 33 | 4/9 | 44.4 | 4/8 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 5 | 7 | 12 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 8 |
| 14. შენგელია | 18 | 6/10 | 60.0 | 6/9 | 66.7 | 0/1 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 3 | 4 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 12 |
| 15. ცქიტიშვილი | 7 | 1/2 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 1 | 3 | | 1 | | | 0 | |
| ჯამი | | 29/64 | 45.3 | 25/48 | 52.1 | 4/16 | 25.0 | 7/13 | 53.8 | 14 | 26 | 40 | 15 | 16 | 5 | 0 | 20 | 69 |

| საქართველო | წთ | თ.ბ. | თ.ბ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | ღ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. პუსტოზვონოვი | 19 | 2/5 | 40.0 | 1/1 | 100.0 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 4 | 1 | 0 | 2 | 5 |
| 5. უშაკოვი | 21 | 1/3 | 33.3 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 2 | 2 | 1 | 4 | 0 | 0 | 1 | 5 |
| *6. ბერტი | 30 | 5/13 | 38.5 | 4/9 | 44.4 | 1/4 | 25.0 | 0/1 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 5 | 2 | 3 | 0 | 2 | 11 |
| 7. კოლჩენკო | 17 | 1/6 | 16.7 | 1/3 | 33.3 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 2 |
| 8. ლიპოვოი | 4 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| *9. ზაბირჩენკო | 29 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 5 | 3 | 1 | 0 | 4 | 3 |
| 10. სალტოვეცი | 4 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 11. პეჩეროვი | 19 | 4/10 | 40.0 | 1/5 | 20.0 | 3/5 | 60.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 11 |
| *12. ლიშჩუკი | 18 | 2/3 | 66.7 | 2/3 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 0 | 3 | 3 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 7 |
| 13. კოზლოვი | 8 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 14. ფესენკო | 14 | 3/4 | 75.0 | 3/4 | 75.0 | 0/0 | 0.0 | 1/5 | 20.0 | 2 | 2 | 4 | 0 | 1 | 1 | 3 | 1 | 7 |
| *15. კრავცოვი | 17 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 2 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 4 | 5 | | 1 | | | 0 | |
| ჯამი | | 20/50 | 40.0 | 13/29 | 44.8 | 7/21 | 33.3 | 6/12 | 50.0 | 6 | 23 | 29 | 14 | 23 | 7 | 4 | 18 | 53 |

- დღეს საქართველოს ნაკრებმა ჩვენთან შედარებით ძალიან, ძალიან კარგად ითამაშა და გამარჯვებაც დაიმსახურა. მეტოქემ გვაჯობა ფარქვეშ, ბევრი შეცდომა დაგვაშვებინა, უფრო აგრესიულად გამოიყურებოდა. საქართველოს წარმატებას, შემდეგ ეტაპზე გასვლას ვუსურვებ, - თქვა უკრაინის ნაკრების გამოცდილმა მწვრთნელმა **მაიკ ფრატელომ**.

მის ნათქვამს ციფრებით შევავსებთ: ქართველებმა მოხსნებში 40:29 იმარჯვეს, რეალიზებულ ორქულიანებში – 25:13, რაც მთავარია, მეტოქეზე გაცილებით ნაკლები შეცდომა დაუშვეს – 16:23. არადა, პირველი პერიოდის შემდეგ სტატისტიკა სასიკეთოს არაფერს გვიქადდა, უკრაინა ყველა კომპონენტში გვჯობდა და ამიტომაც მოიგო პერიოდი ანგარიშით 17:10.

მოკლედ, სწორედ ის დაგვემართა, რაც წინა დღეს სლოვენიას ჩვენთან მოუვიდა – საწყისი წუთები ჩააგდო, თამაშის დალაგება ვერ მოახერხა. მეორე პერიოდიდან კლასში უპირატესობას დაცვაც შეეშველა და ქართველებმა მძიმედ, მაგრამ მაინც მოახერხეს სხვაობის შემცირება, დიდ შესვენებაზე 3-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ.

მესამე პერიოდი **მანუჩარ მარკოიშვილმა** შორეული ორქულიანით გახსნა და ორ მატჩში დაგუბებულმა ემოციებმაც იფეთქა – ჩვენმა გუნდმა 11:0 გაქცევა მოაწყო და თამაშის ბედიც გადაწყვიტა. ამ მომენტში მოედანზე ყველაფერი გამოსდიოდა **გიორგი ცინცაძეს,** რომელსაც თანაგუნდელებმაც შეუწყვეს ხელი და "ბუმ" ტურნირზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მისი მონაგარი ასე გამოიყურება: 14 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი. ასევე 14 ქულა მოუგროვდა მარკოიშვილს, რომელიც ცინცაძესთან ერთად მატჩის ბომბარდირი გახდა. შემთხვევითი როდია, მანუმ ქართველთაგან მოედანზე ყველაზე მეტი დრო რომ გაატარა. **ვიქტორ სანიკიძე** ქულებში ვერა, მაგრამ მოხსნებში კი ასცდა 10-იან ნიშნულს (12 მოხსნა). თორნიკე შენგელიამ სულ რაღაც 18 წუთში 9-დან 6 ორქულიანი გამოიყენა, 12 ქულა და 7 მოხსნა გაიფორმა. მისი სწრაფი გარღვევების წინააღმდეგ უკრაინელები ვერას გახდნენ. **ზაზა ფაჩულიას** 6-6 ქულა-მოხსნა ჰქონდა, თუმცა მის ღირებულებაზე უკრაინელი ჟურნალისტის სიტყვებიდანაც ნათელი წარმოდგენა გვექმნება:

- ფაჩულიამ დღეს მთლიანად გუნდზე ითამაშა, ბევრი იშრომა, თანაგუნდელებს ფარქვეშაც ეხმარებოდა, პერიმეტრზეც ადიოდა და გამარჯვება დაიმსახურა. ძლიერი გუნდი გყოლიათ.

სლოვენიელმა კოლეგამ კი ხელი ჩამომართვა და მითხრა – ერთად მივდივართ ვილნიუსშიო... ვუპასუხე: ჯერ არ ვიცი, წინ ბულგარეთთან ურთულესი მატჩია-მეთქი. თუმცა იქვე გამახსენა, თუ 5 სექტემბერს უკრაინამ ბელგიას მოუგო, ხოლო თქვენ ბულგარეთთან 23-ზე ნაკლები ქულით დამარცხდებით, სამ გუნდს (საქართველო, ბულგარეთი, უკრაინა) ქულათა თანაბარი რაოდენობა მოუგროვდება. ასეთ შემთხვევაში კი ბურთების უკეთესი შეფარდებით მომდევნო ეტაპზე ქართველები გახვალთო.

ცხადია, ეს ვარიანტი უკვე განხილული მქონდა, მანმადე ამ საკითხზე ნაკრების მეორე მწვრთნელ **დავით უსტიაშვილს** ველაპარაკე. შევთანხმდით, რომ ბულგარეთთან წაგება არც ერთ ვარიანტში არ შეიძლება - ბურთების შეფარდებაზე მსჯელობა აბსურდია, როცა ბელგია-უკრაინის დაპირისპირება საქართველო-ბულგარეთის მერე დაიწყება და არავინ იცის, მოიგებს თუ არა უკრაინა.

- დაგვრჩა ერთი მატჩი, რომელიც ახლა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. ბულგარეთს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, მსროლელი უკანახაზელები, მებრძოლი წინახაზელები. ასე რომ, იოლი ბრძოლა არ გველის, მაგრამ უკრაინასთან გამარჯვებამ ჩვენზე ფსიქოლოგიურადაც დადებითად იმოქმედა და მომდევნო ეტაპისკენ ბოლო ნაბიჯი თამამად უნდა გადავდგათ, - თქვა ზაზა ფაჩულიამ და უკრაინასთან მატჩს დაუბრუნდა:

- უმნიშვნელოვანესი შეხვედრა იყო. აუცილებლად უნდა მოგვეგო. სწორად ვითამაშეთ დაცვაში. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრით ისტორიის ერთი ფურცელი უკვე გადავშალეთ. ახლა მეორე ფურცელი უნდა დავწეროთ.

### იგორ კოკოშკოვი

- ძლიერ გუნდთან ვითამაშეთ, რომელსაც მაღალი დონის მწვრთნელი ჰყავს. დღეს მართლაც უმნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა მომდევნო თამაში მნიშვნელოვანია. ბულგარეთს აქამდე 2-ჯერ ვეთამაშეთ და კარგად ვიცნობთ. ბოლო თამაშს მაქსიმალურად მობილიზებულნი უნდა შევხვდეთ. ევროპის ჩემპიონატმა ერთ რამეში დამარწმუნა: იოლი გასეირნება არ არსებობს. შეიძლება გუნდი დიდი უპირატესობით იგებდეს და საბოლოოდ დამარცხდეს. ბულგარეთთან ურთულესი ბრძოლა გველის, ვეცდებით, მოედანზე მაქსიმუმი გავიღოთ და ჩვენი შანსი გამოვიყენოთ.

ვაჟა სიმონიშვილი
კლაიპედიდან



**I პერიოდი**

08:37 ცინცაძე 2ქ (2:0)
08:20 კრავცოვი 2ქ (2:2)
07:55 ბერტი 2ქ (4:4)
04:37 ლიშჩუკი 2ქ (4:6)
03:19 ბერტი 3ქ (4:9)
03:03 შერმადინი 2ქ (6:9)
02:40 ჰეინსი 2ქ (8:9)
00:55 პეჩეროვი 3ქ (8:12)
00:41 შერმადინი 2/2 (10:12)
00:27 პეჩეროვი 3ქ (10:15)
00:00 ფესენკო 2ქ (10:17)

**II პერიოდი**

09:24 ცქიტიშვილი 3ქ (13:17)
09:10 პეჩეროვი 3ქ (13:20)
08:53 შენგელია 2ქ (15:20)
08:13 პეჩეროვი 2ქ (15:22)
07:57 შენგელია 2ქ (17:22)
07:01 კოლჩენკო 2ქ (17:24)
06:41 ჰეინსი 2ქ (19:24)
06:16 ზაბირჩენკო 3ქ (19:27)
05:10 ფესენკო 2ქ (19:29)
03:55 ჰეინსი 2/2 (21:29)
03:34 ფესენკო 2ქ (21:31)
03:07 ცინცაძე 3ქ (24:31)
02:21 ფაჩულია 2ქ (26:31)
01:58 ბერტი 2ქ (26:33)
01:44 მარკოიშვილი 2ქ (28:33)
00:52 ცინცაძე 2ქ (30:33)

**III პერიოდი**

09:46 მარკოიშვილი 2ქ (32:33)
09:08 პუსტოზვონოვი 2ქ (32:35)
08:21 ფაჩულია 2ქ (34:35)
07:49 ცინცაძე 2ქ (36:35)
07:14 მარკოიშვილი 2ქ (38:35)
06:23 ცინცაძე 2ქ (40:35)
04:53 ლიშჩუკი 2ქ (40:37)
04:20 ლიშჩუკი 2/2 (40:39)
04:08 ცინცაძე 3ქ (43:39)
03:52 ჰეინსი 1/2 (44:39)
03:34 შენგელია 2ქ (46:39)
03:14 შენგელია 2ქ (48:39)
02:41 მარკოიშვილი 3ქ (51:39)
01:45 ბერტი 2ქ (51:41)
00:58 ფესენკო 1/2 (51:42)
00:27 ლუკაშოვი 2/2 (51:44)

**IV პერიოდი**

09:25 ფაჩულია 2ქ (53:44)
07:58 სანიკიძე 2ქ (55:44)
07:15 სანიკიძე 2ქ (57:44)
07:00 ლუკაშოვი 2ქ (57:47)
06:42 ბოისა 1/2 (58:47)
05:45 სანიკიძე 2ქ (60:67)
05:28 შენგელია 2ქ (62:47)
03:52 ლიშჩუკი 1/2 (62:48)
03:20 შენგელია 2ქ (64:48)
02:46 ბერტი 2ქ (64:50)
02:35 მარკოიშვილი 1/2 (65:50)
02:18 მარკოიშვილი 2ქ (67:50)
00:58 პუსტოზვონოვი 3ქ (67:53)
00:08 სანიკიძე 2ქ (69:53)

ევრობასკეტი 2011. ჯგუფური ეტაპი

# სლოოოო... გამოცდილება დაგვაკლდა

3 სექტემბერი

ლიტვა. კლაიპედა

## საქართველო-სლოვენია 75:87

25-15, 15-25, 18-19, 17-28

2500 მაყურებელი

**მსაჯები:** ხუან არტეაგა (ესპანეთი), ოლივერ კრაუსე (გერმანია), სეფი შემეში (თურქეთი)

| საქართველო | წთ | თ.ბ. | თ.ბ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. გამყრელიძე | 17 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 1/3 | 33.3 | 3/4 | 75.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 6 |
| *5. ზ. ბოისა | 19 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 2 | 3 | 5 | 0 | 1 | 1 | 0 | 3 | 3 |
| *7. ფაჩულია | 31 | 9/15 | 60.0 | 9/15 | 60.0 | 0/0 | 0.0 | 4/6 | 66.7 | 1 | 1 | 2 | 0 | 3 | 1 | 1 | 2 | 22 |
| *8. ცინცაძე | 23 | 2/5 | 40.0 | 1/3 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 6 | 6 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 5 |
| 9. შერმადინი | 9 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| *11. მარკოიშვილი | 30 | 7/12 | 58.3 | 5/6 | 83.3 | 2/6 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 | 16 |
| 12. ჰეინსი | 10 | 2/2 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 1 | 6 |
| *13. სანიკიძე | 33 | 4/5 | 80.0 | 3/4 | 75.0 | 1/1 | 100.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 3 | 3 | 0 | 5 | 0 | 1 | 4 | 10 |
| 14. შენგელია | 18 | 2/7 | 28.6 | 2/6 | 33.3 | 0/1 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 4 | 3 | 7 | 3 | 4 | 1 | 1 | 4 | 6 |
| 15. ცქიტიშვილი | 11 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 |
| გუნდი | | | | | | | | | | 4 | 2 | 6 | | 0 | | | 1 | |
| ჯამი | | 28/53 | 52.8 | 21/37 | 56.8 | 7/16 | 43.8 | 12/20 | 60.0 | 13 | 25 | 38 | 14 | 21 | 4 | 3 | 27 | 75 |

| საქართველო | წთ | თ.ბ. | თ.ბ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. სლოკარი | 11 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 4 | 0 |
| *5. ლაკოვიჩი | 31 | 5/9 | 55.6 | 0/0 | 0.0 | 5/9 | 55.6 | 7/8 | 87.5 | 0 | 1 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 2 | 22 |
| 6. რუპნიკი | 1 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7. ოჟბოლტი | 29 | 5/12 | 41.7 | 1/2 | 50.0 | 4/10 | 40.0 | 7/7 | 100.0 | 2 | 2 | 4 | 2 | 1 | 4 | 0 | 2 | 21 |
| *8. სმოდიში | 17 | 1/6 | 16.7 | 0/3 | 0.0 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 |
| 9. ს. უდრიხი | 3 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *10. მურიჩი | 5 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *11. გ. დრაგიჩი | 28 | 1/8 | 12.5 | 1/5 | 20.0 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 5 | 2 | 2 | 0 | 2 | 2 |
| 12. იაგოდნიკი | 13 | 4/8 | 50.0 | 2/5 | 40.0 | 2/3 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 10 |
| *13. ზ. დრაგიჩი | 24 | 5/5 | 100.0 | 4/4 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 4/7 | 57.1 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 4 | 15 |
| *14. ბეგიჩი | 9 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 | 2 |
| 15. ე. ლორბეკი | 29 | 4/12 | 33.3 | 2/9 | 22.2 | 2/3 | 66.7 | 2/2 | 100.0 | 4 | 2 | 6 | 3 | 1 | 0 | 1 | 2 | 12 |
| გუნდი | | | | | | | | | | 4 | 1 | 5 | | 0 | | | 0 | |
| ჯამი | | 26/65 | 40.0 | 11/30 | 36.7 | 15/35 | 42.9 | 20/24 | 83.3 | 15 | 14 | 29 | 19 | 8 | 10 | 1 | 24 | 87 |



სლოვენიასთან მატჩის წინ დარბაზისკენ საქართველოს ნაკრების მაისურით მივიჩქაროდი. ზურგსუკნიდან მომაძახეს: "გუდ ლაქ, ჯორჯია"! მივიხედე, სლოვენიელი ქომაგები აღმოჩნდნენ. საერთოდ, მე სლოვენიას ვქომაგობ, მაგრამ დღეს გამონაკლისი უნდა დავუშვა-მეთქი.

მეტად ორგანიზებული გულშემატკივრობა სცოდნათ სლოვენიელებს, თუმცა დღეს მათი ხმა ქართველთა საყვირებმა გადაფარეს. პირველ მეოთხედში კი ჩვენმა კალათბურთელებმა "გადაფარეს" სლოვენიელი კოლეგები. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ფარქვეშ არ შეუშვეს. საოცარია, მაგრამ საწყის 10 წუთში სლოვენიელებს ერთადერთი ორქულიანი ჰქონდათ ჩაგდებული. სწორედ ამიტომ, ქართველებმა მეოთხედი 25:15 მოიგეს.

როგორც ჩანს, სლოვენიელთა მწვრთნელი მალევე მიხვდა, რომ მისი გუნდის ხსნა მხოლოდ სამქულიანებში იყო: "მწვანეებმა" შორეულ ტყორცნებს მოუხშირეს, ჩვენი ზონური დაცვა კი **ოჟბოლტთან** და **ლაკოვიჩთან** ვერას გახდა. ტანდაბლებს სამქულიანები მალლებმა, **ლორბეკმა** და **იაგოდნიკმაც** შეაშველეს და ასე მოუგროვდა სლოვენიას 15 რეალიზებული სამქულიანი, რაც საოცრად მაღალი მაჩვენებელია. ექსტრა-კლასის გამთამაშებლებმა - იაკა ლაკოვიჩმა და **გორან დრაგიჩმა** ქართველებს 21 შეცდომა დააშვებინეს, რაც წაგების მეორე მიზეზი (პირველზე, სამქულიანებზე უკვე მოგახსენეთ) აღმოჩნდა. შესვენებისას ასაკოვანმა რუსმა ჟურნალისტმა საკუთარი აზრი გამიზიარა: შესანიშნავი გუნდი გყავთ, სლოვენიაზე არანაკლები, მათთან უპირატესობაც გაქვთ, მაგრამ ბევრ შეცდომას უშვებთ. ამის მიზეზი კი ზედმეტი მონდომებაა – თქვენს კალათბურთელებს გამარჯვების წყურვილი და ემოცია იმაზე ორჯერ მეტი აქვთ, რაც მოგებისთვისაა საჭირო. შეცდომებიც ამას მოსდევს.

სამწუხაროდ, ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა ქართველებს გამარჯვებისთვის არ ეყოთ. ისევე, როგორც გამოცდილება, რათა ბოლო მომენტში გადამწყვეტი იერიში მიეტანათ მეტოქის კალათზე. აი, გამოცდილმა ლაკოვიჩმა კი ბოლო წამებზე ერთი საჯარიმო არ ააცილა და გუნდი ნაადრევად გაიყვანა შემდეგ ეტაპზე.

აქვე გეტყვით, რომ ჩვენმა გუნდმა სლოვენიელებს მოხსნებში 38:29 აჯობა, ხოლო ჩაგდებულ ორქულიანებში – 21:11.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კლაიპედიდან



### ნამაჩვევს

#### გორან დრაგიჩი

- რთული მატჩი იყო. საქართველოს ნაკრებთან აქამდე არასდროს მითამაშია. ძალიან ძლიერი და აგრესიული გუნდია. ვფიქრობ, საქართველოს მეორე ეტაპზე გასვლის დიდი შანსი აქვს.

#### ვიქტორ სანიკიძე

- შეხვედრის პირველი ტაიმი კარგად დავიწყეთ, მაგრამ გამარჯვებისთვის გამოცდილება არ გვეყო. სლოვენიის ნაკრები ძალიან ძლიერი და გამოცდილი გუნდია, რომელიც შეხვედრისთვის მაღალ დონეზე იყო მომზადებული. მოგების დიდი შანსი გვქონდა. საწყენია, რომ გამოუცდელობის გამო დავმარცხდით. თუმცა ყველაფერი წინაა, მაქსიმუმს გავაკეთებთ მიზნის მისაღწევად.

**ბოჟიდარ მალკოვიჩი** (სლოვენიელთა თავკაცი):

- რთული და დაძაბული შეხვედრა იყო. პირველ ნახევარში საქართველომ ძალიან აგრესიული და შემტევი კალათბურთი ითამაშა. თუმცაღა შემდეგ გამოვფხიზლდით, დაცვაში კარგად ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ კიდეც.

**იგორ კოკოშკოვი** (ქართველთა მწვრთნელი):

- სლოვენია გამოცდილი, ნიჭიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდია. ჩვენ ძლიერად ვითამაშეთ, მაგრამ სლოვენიამ გვაჯობა. როგორც აღმოჩნდა, "ძლიერი თამაში" მოგებისთვის საკმარისი არ იყო. მეტი უნდა გაგვეკეთებინა.

**I პერიოდი**

09:42 ფაჩულია 2ქ (0:2)
09:42 ფაჩულია 1/2 (0:3)
08:36 დრაჟიცი 2ქ (2:3)
07:34 სმოდიში 3ქ (5:3)
07:12 ფაჩულია 2ქ (5:5)
06:39 სანიკიძე 2ქ (5:7)
06:24 ლაკოვიჩი 1/2(6:7)
05:42 ფაჩულია 2ქ (6:9)
04:34 ოზბოლტი 3 (9:9)
04:34 ოჟბოლტი 1/1 (10:9)
04:20 მარკოიშვილი 3ქ (10:12)
03:59 ლაკოვიჩი 3ქ (13:12)
04:20 მარკოიშვილი 3ქ (13:15)
02:56 სანიკიძე 2ქ (13:17)
01:59 სანიკიძე 2ქ (13:19)
01:15 დრაგიჩი 1/2 (14:19)
00:50 ცინცაძე 3ქ (14:22)
00:46 დრაგიჩი 1/2 (15:22)
00:04 ჰეინსი 3ქ(15:25)

**II პერიოდი**

09:12 შენგელია 2ქ (15:27)
09:12 შენგელია 1/1 (15:28)
08:54 დრაგიჩი 2ქ (17:28)
08:54 დრაგიჩი 1/1 (18:28)
08:19 ლორბეკი 3ქ (21:28)
07:23 ოჟბოლტი 3ქ (24:28)
06:48 სანიკიძე 3ქ (24:31)
05:58 მარკოიშვილი 2ქ (27:33)
05:44 ლაკოვიჩი 3ქ (30:33)
05:29 სანიკიძე 1/2 (30:34)
04:22 ფაჩულია 2ქ (30:36)
03:29 დრაგიჩი 2ქ (32:36)
03:29 გამყრელიძე 1/2 (32:37)
03:18 იაგოდნიკი 3ქ (35:37)
02:57 შენგელია 2ქ (35:39)
02:09 იაგოდნიკი 3ქ (38:39)
00:38 ცქიტიშვილი 1/2 (38:40)
00:16 ოჟბოლტი 2ქ (40:40)

**III პერიოდი**

09:43 ფაჩულია 2ქ (40:42)
09:10 ლორბეკი 2ქ (42:42)
08:38 ბეჟიცი 2ქ (44:42)
08:23 მარკოიშვილი 2ქ (44:44)
07:41 ბოისა 1/2 (44:45)
06:04 დრაგიჩი 2ქ (46:45)
06:32 ლორბეკი 3ქ (49:45)
06:01 ლორბეკი 2ქ (51:45)
05:36 ლაკოვიჩი 3ქ (54:45)
04:57 ფაჩულია 2ქ (54:47)
04:57 დრაგიჩი 1/2 (55:47)
03:12 ფაჩულია 2ქ (55:49)
02:36 ლორბეკი 2/2 (57:51)
01:40 ბოისა 2ქ (57:53)
01:16 დრაგიჩი 2ქ (59:53)
00:56 მარკოიშვილი 2ქ (59:55)
00:00 გამყრელიძე 3ქ (59:58)

**IV პერიოდი**

08:31 ოჟბოლტი 3ქ (62:58)
07:55 ფაჩულია 2ქ (62:60)
07:41 დრაგიჩი 3ქ (65:60)
06:18 იაგოდნიკი 2ქ (67:60)
05:58 მარკოიშვილი 2ქ (67:62)
05:06 ფაჩულია 1/2 (67:63)
04:37 ოჟბოლტი 3ქ (70:63)
04:14 ცინცაძე 2ქ (70:65)
03:18 ლაკოვიჩი 3ქ (73:65)
03:00 მარკოიშვილი 2ქ (73:67)
02:35 იაგოდნიკი 2ქ (75:67)
02:19 შენგელია 1/2 (75:68)
01:04 ლაკოვიჩი 2/2 (77:68)
00:51 ოჟბოლტი 2/2 (79:68)
00:36 ჰეინსი 3ქ (79:71)
00:32 ლაკოვიჩი 2/2 (81:71)
00:29 ფაჩულია 2ქ (81:73)
00:28 ოჟბოლტი 2/2 (83:73)
00:21 ოჟბოლტი 2/2 (85:73)
00:08 ფაჩულია 2/2 (85:75)
00:06 ლაკოვიჩი 2/2 (87:75)

EINE KÖNIGIN UNTER DEN BIEREN Warsteiner
რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი
EuroBasket 2011
როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# დარჩა სამი საგზური

ევროპასკეტის ჯგუფურ ეტაპზე ბოლო ტური დარჩა გასამართი. მეორე ეტაპზე გამსვლელი 12 გუნდიდან ცხრა (ესპანეთი, ლიტვა, საფრანგეთი, სერბეთი, გერმანია, საბერძნეთი, მაკედონია, რუსეთი, სლოვენია) ცნობილია. დარჩენილი სამი საგზურისთვის დღეს დიდი ბრძოლები გაიმართება, მანამდე კი ვნახოთ რა ხდებოდა ლიტვის არენებზე გასულ შაბათ-კვირას.

## საქართველოს ჯგუფი

სანამ გუშინ საქართველოსთან ნაათამაშევდა, უკრაინის ნაკრებმა ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია ბულგარეთის წინააღმდეგ. **მაიკ ფრატელოს** გუნდმა ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველი მატჩი მოიგო ევროპის ჩემპიონატზე. ამაში მას მეტოქე ძალიან დაეხმარა - ბულგარეთმა თამაშიდან 28,4 პროცენტის სიზუსტით ისროლა (67-დან 19). ამ გუნდის ლიდერებმა **როულენდმა** და **ვიდენოვმა** 27-დან მხოლოდ შვიდი ბურთი ჩააგდეს. მართალია, ვერც **ლიშჩუკმა** და **პეჩეროვმა** გამოიჩინეს თავი (17-დან 3), მაგრამ სხვებმა იყოჩაღეს და საბოლოოდ, უკრაინამ საქართველოსთან მატჩისთვის კარგი განწყობა მიიღო, თუმცა ამან არ უშველა.

არადა, პეჩეროვი წინა ორი შესარჩევი ციკლის ლიდერი იყო - 2009 წელს მისი მონაგარი 16.8 ქულა და 9.7 მოხსნა იყო, ორი წლის შემდეგ - 13.8 ქულა და 6.0 მოხსნა. ახლა კი ევრობასკეტის საწყის სამ მატჩში მან თავის გუნდს მხოლოდ 3.7 ქულა და 4.7 მოხსნა შესძინა.

რუსეთის ნაკრებმა ორი დღის განმავლობაში ორი მატჩი მოიგო და დღეს პირველი ადგილისთვის სლოვენიასთან მოუწევს შეხვედრა. ბელგიასთან შეხვედრაში ჩრდილში მოექცა რუსების ლიდერი **კირილენკო**, თუმცა სხვები გამოვიდნენ წინა პლანზე. მაგალითად, **ფრიძონმა** ექვსიდან ხუთი სამქულიანი ჩააგდო და 22 ქულა დააგროვა, 17 ქულა იყო **ვორონცევიჩის** ანგარიშზე. ბელგიელთა რიგებში ერთადერთი კალათბურთელი **ფეისონი** იყო, რომლის მონაგარი ათ ქულას (14 ქულა) გადაცდა.

ბელგიამ პირველი სამი მეოთხედი შეუნარჩუნა შეხვედრას ინტრიგა, მაგრამ ბოლო ათწუთეული 12 ქულით წააგო და კვლავაც მოგების გარეშეა ჯგუფში.

რაც შეეხება ბულგარეთთან შეხვედრას, რუსეთმა აქაც ბოლოსკენ იმძლავრა. ბულგარელებმა მატჩის მიწურულს 12-ქულიანი ჩამორჩენა 5 ქულამდე დაიყვანეს, მაგრამ ისევ კირილენკომ თქვა გადამწყვეტი სიტყვა - ზედიზედ ოთხი ქულით მან კომფორტული სხვაობა აღადგინა და რუსებს ნერვიულობის საბაბი აღარ ჰქონიათ.

კირილენკომ ტურნირზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა - 25 ქულას (თამაშიდან ტყორცნების 53-პროცენტიანი სიზუსტე) ოთხი ჩაჭრა და ხუთი მოხსნა დაუმატა. ასევე აღსანიშნავია **ბლატის** ნაკრების გუნდური თამაში - რუსეთმა 25 შედეგიანი პასი დააგროვა, იმ დროს, როცა ბულგარეთის ანალოგიური მაჩვენებელი 12 გადაცემას უდრიდა.

ბელგიის ნაკრები მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ განადგურდა, დანარჩენ მეტოქეებთან კი თითქმის ბოლომდე ტოლსწორად იბრძოლა. სლოვენიასთან გუშინდელ შეხვედრაში ბელგიელებს ბოლო წუთამდე ჰქონდათ შანსი, მაგრამ მათი მონდომება **ვან დენ შპიგელის** შეცდომამ წყალში ჩაყარა. საპასუხო შეტევაში სლოვენიამ ხუთ ქულამდე გაზარდა ანგარიში და საქმე ამით მოთავებული იყო.

მატჩის გმირი გახდა **ზორან დრაგიჩი**, რომელმაც 18 ქულა და 5 ჩაჭრა დააგროვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კარგი თამაში გადამწყვეტ მომენტში, როცა ბოლო ხუთ წუთში რვა ქულა ჩააგდო. და კიდევ, სლოვენიამ 57 პროცენტის სიზუსტით ესროლა სამქულიანები და შეტევაში 14-ჯერ მოხსნა ბურთი. მოკლედ, **მალკოვიჩის** გუნდმა დამსახურებულად გაიმარჯვა.

## სენსაციები

პირველი სენსაციის ავტორი გახდა ფინეთის ნაკრები. ბოსნიამ, რომელმაც წინა დღეს ჩერნოგორიას მოუგო, სკანდინაველებთან 28 (!) ქულა წააგო. ეს სულაც არ ყოფილა იღბლის ან ერთ-ორი კალათბურთელის გამორჩეული თამაშის დამსახურება. ჩრდილოელებმა იდეალური გუნდური კალათბურთი ითამაშეს და ამ სენსაციაში თავისი წვლილი 12-ივე კალათბურთელმა შეიტანა. საკმარისია იმის თქმა, რომ ფინელებმა მეტოქეზე ორჯერ მეტი შედეგიანი გადაცემა შეასრულეს - 24 12-ის წინააღმდეგ.

მეორე სენსაცია მაკედონიას ეკუთვნის. მან ოთხიდან სამი მეოთხედი მოუგო ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს - საბერძნეთის ნაკრებს. ნატურალიზებული ამერიკელი გამთამაშებლის **მაკალების** მონდომებით მაკედონიელებმა მეოთხე მეოთხედი 11:1 გაქცევით გახსნეს და საბერძნეთი მატჩის ბოლომდე ველარ გამოვიდა შოკიდან.

საერთოდ, მაკედონია ჯგუფური ტურნირის ერთ-ერთ მთავარ მოულოდნელობად უნდა მოვნათლოთ. პირველ ტურში ჩერნოგორიასთან ოვერტაიმში წაგების შემდეგ, ზედიზედ სამი მატჩი მოიგო და მეორე ეტაპზე თამაში გაინაღდა. გუშინ, სწორედ წინა დღის სენსაციის ავტორები - მაკედონია და ფინეთი ხვდებოდნენ ერთმანეთს.

უაღრესად დაძაბული და პრინციპული მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. საფინალო სირენამდე ცხრა წამით ადრე **მიურინენმა** ვერ ჩააგდო და **ანტიჩმა** მოხსნაზე ივარგა. სკანდინაველები შეგნებულად დაჯარიმდნენ მაკალებზე, რომელმაც ორი საჯარიმო გამოიყენა. ფინეთს სამქულიანი სჭირდებოდა ოვერტაიმამდე მისასვლელად, მაგრამ მაკედონიამ კოპონენზე ასევე შეგნებული ჯარიმა აიღო. ფინელმა პირველი ბურთი ჩააგდო, მეორე სპეციალურად ააცილა, მაგრამ ფარქვეშ ისევ ანტიჩმა ივარგა (ამ კალათბურთელმა 14 ქულა და 19 მოხსნა მიითვალა) და ამით მატჩის ბედი გარკვეული იყო.

მესამე სენსაცია არანაკლებ ხმაურიანი იყო - პოლონეთმა თურქეთს მოუგო. საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა თითქოს გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია (75:68), მაგრამ პოლონეთმა შვიდი უპასუხო ქულა ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა - 75:75. ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაში წავიდა და გადამწყვეტი სიტყვა მატჩის ყველაზე შედეგიანმა კალათბურთელმა **ბერიშამ** თქვა - 82:83-ზე მან გამარჯვების ტყორცნა შეასრულა. თამაშის დამთავრებამდე 12 წამი რჩებოდა. საპასუხო იერიშში **თუნჩერიმ** ისროლა სამქულიანი, მაგრამ არაზუსტად და თურქეთი ჯგუფში დარჩენის რეალური კანდიდატი გახდა. მას და პოლონეთს ერთნაირი ქულები აქვთ, ბოლო ტურში კი პოლონეთი ბრიტანეთს ხვდება, თურქეთი - ესპანეთს.

## ფავორიტები

იტალიის ნაკრებმა შემდეგ ეტაპზე გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგა. **პიანიჯანის** გუნდს გუშინ აუცილებლად სჭირდებოდა საფრანგეთის ნაკრების დამარცხება და ახლოს იყო მიზანთან. იტალიას მთავარი შეძლო - გაანეიტრალა ფრანგების ლიდერი **ტონი პარკერი**, რომელსაც სამი ტურის შემდეგ საშუალოდ 28 ქულა ჰქონდა ჩაგდებული და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი იყო. „სპურსის" გამთამაშებელი მხოლოდ რვა ქულით შემოიფარგლა, თუმცა იტალიელებმა NBA-ის სხვა ორი ლეგიონერის - **დიაოსა** და **ბატუმის** შეჩერება ვერ შეძლეს. ამ დუეტმა ჯამში 41 ქულა დააგროვა. განსაკუთრებით კარგი იყო დიაო, რომელმაც თავისი 21 ქულიდან 13 მეორე ტაიმში ჩააგდო.

საფინალო სირენამდე წუთითა და 35 წამით ადრე იტალია **გალინარის** ორი საჯარიმოთი დაწინაურდა - 82:81. შემდეგ დიაოს ჯერი დადგა - მანაც ორი ჯარიმა ჩააგდო და საფრანგეთმა ლიდერობა დაიბრუნა. იქვე **ბარნიანიმ** ააცილა სამქულიანი, რასაც დიაოს ზუსტი ორქულიანი მოჰყვა და 36 წამით ადრე ფრანგები 85:82-ს იგებდნენ. იტალიამ ბოლო ტყორცნა გალინარის მიანდო, მაგრამ მან ზედიზედ მეორე შორეული სამქულიანი ააცილა, მოხსნა საფრანგეთმა მოიგო და ამის შემდეგ აპენინელთა ჯარიმების ტაქტიკამ შედეგი არ გამოიღო.

იტალია აშკარად დაალალატა ბარნიანიმ. მართალია, მან 22 ქულა დააგროვა, მაგრამ მეოთხე მეოთხედში ერთი ქულითაც ვერ შეეწია თავის გუნდს.

საფრანგეთის ნაკრებმა ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და დღეს პირველი ადგილისთვის სერბეთს შეებრძოლება.

სერბებმა გერმანიას მეტ-ნაკლებად იოლად მოუგეს. სტარზე 9:0 გაქცევის შემდეგ **ნოვიცკიმ** და კომპანიამ შვიდი უპასუხო ქულით მეტოქის დაწევა შეძლეს, მაგრამ იქვე სერბეთი 8:0 გაიქცა და გერმანია მატჩის ბოლომდე მდევრის როლში დარჩა. სულ მცირედი დააკლდა სამმაგ დუბლამდე **ტეოდოშიჩს**, რომელმაც 28 წუთში 12 ქულა, 9 პასი და 9 მოხსნა დააგროვა. სერბეთი ფარქვეშ დომინირებდა - მოხსნები 40:31 მოიგო, ხოლო სამწამიანიდან 28 ქულა (გერმანიამ - 18) დააგროვა.

დღისა და შეიძლება ითქვას მთლიანად ჯგუფური ეტაპის ცენტრალურმა მატჩმა არ გაამართლა მაყურებელთა იმედები. ესპანეთმა ლიტვის ნაკრებს საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარა და გაინაღდა A ჯგუფში პირველი ადგილი.

მატჩის წინ გაირკვა, რომ მასპინძლებს ტრავმის გამო გამოაკლდათ ტანმაღალი **მარიონას პეტრავიჩუსი**. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტურნირის წინ ლიტვის ნაკრებმა **დარიუშ ლავრინოვიჩიც** დაკარგა, ბალტიისპირელებს წინა ხაზზე აშკარა დეფიციტი შეექმნათ. ამიტომაც ესპანეთთან მატჩში ახალგაზრდა **ვალანჩუნასის** გააქტიურება იყო მოსალოდნელი. საბოლოოდ, ლიტველთა ვუნდერკინდი თავის გუნდში ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა, მაგრამ ამას მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

პირველ წუთებზე ლიტვა 7:6 დაწინაურდა და როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო მასპინძლების ბოლოჯერ დაწინაურება მატჩში. ესპანეთი 16:0 (!) გაიქცა და შვიდი წუთის შემდეგ 22:7-ს იგებდა. მესამე მეოთხედის შუამდე ეს უპირატესობა მხოლოდ იზრდებოდა და ერთხელ 30 ქულასაც კი მიაღწია. ამის შემდეგ ესპანეთი მოდუნდა, ლიტვას კი დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ თამაში ღირსეული ანგარიშით წაეგო.

ესპანეთმა პირველ ტაიმში 16-დან 10 სამქულიანი ჩააგდო, ნავარომ კი პირველ ათ წუთში 15 (!) ქულის დაგროვება მოახერხა.



პოლონეთი თურქეთს ჯგუფში ტოვებს

### A ჯგუფი

**ბრიტანეთი-პორტუგალია 85:73**

16:16, 28:18, 15:11, 26:28

ბ: დენგი (31+10 მოხსნა+4 პასი), ლენზლი (17), რეინკინგი (9), ჯონსონი (7), ადეგბოიე (6), კლარკი (5+5 მოხსნა), ფრილენდი (4+6 მოხსნა), არჩიბალდი (3+4 მოხსნა), ლოურენსი (3).

პ: ანდრადე (24+10 მოხსნა), მინიავა (18), მირანდა (10+5 მოხსნა), სანტუში (9+10 მოხსნა), ევორა (8+9 მოხსნა), და სილვა (4).

**პოლონეთი-თურქეთი 84:83**

17:14, 22:21, 22:27, 23:21

პ: ბერიშა (21), ჰრიცანიუკი (15+6 მოხსნა), შევჩიკი (12), კელატი (11+4 ჩაჭრა), სკიბნევსკი (9), კოშარეკი (7+4 პასი), ლეონჩიკი (4), პამულა (3), ლაპეტა (2).

თ: კანტერი (19+5 მოხსნა), ილიასოვა (14), თურქოგლუ (13), პრელჯიჩი (11+7 მოხსნა+4 პასი), ონანი (9), თუნჩერი (6), სავაში (5), აშიქი (4), არსლანი (2).

**ლიტვა-ესპანეთი 79:91**

12:31, 24:31, 23:19, 20:10

ლ: ვალანჩუნასი (13), კაუკენასი (11), პოჩიუსი (11), იანკუნასი (8), იავტოკასი (7), კალნიეტისი (7), იასიკიავიჩიუსი (6), იასაიტისი (6+5 მოხსნა), სონგაილა (4), ლავრინოვიჩი (3+8 მოხსნა), დელინინკაიტისი (3).

ე: ნავარო (22+4 პასი), პ. გასოლი (17), იბაკა (15+9 მოხსნა), მ. გასოლი (8+8 მოხსნა+4 პასი), ფერნანდესი (8+5 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), ლიული (5+4 პასი).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 347-299 | 8 |
| 2. ლიტვა | 4 | 3 | 1 | 331-305 | 7 |
| 3. თურქეთი | 4 | 2 | 2 | 320-276 | 6 |
| 4. პოლონეთი | 4 | 2 | 2 | 320-336 | 6 |
| 5. ბრიტანეთი | 4 | 1 | 3 | 284-329 | 5 |
| 6. პორტუგალია | 4 | 0 | 4 | 275-332 | 4 |

**ბოლო ტური:** ბრიტანეთი-პოლონეთი (16:15); ესპანეთი-თურქეთი (18:45); პორტუგალია-ლიტვა (22:00).

### B ჯგუფი

**ისრაელი-ლატვია 91:88**

23:22, 24:23, 19:22, 25:21

ი: ელიაჰუ (26+10 მოხსნა), პნინი (12), ბლუ (11+6 მოხსნა), ნაიმი (9), ჰალპერინი (9+5 მოხსნა), მეკელი (7+4 პასი), ოჰაიონი (7), კადირი (5+5 მოხსნა), ბურშტეინი (3), გრინი (2).

ლ: ბლუმსი (27+6 პასი), სელაკოვსი (14+9 მოხსნა), კუკსიქსი (12), სტრენიექსი (8), დაირ. ბერტანსი (7), დავ. ბერტანსი (7), მეიერსი (5), ფრეიმანისი (4+5 მოხსნა), ბერძინში (2), იურევიჩუსი (2).

**იტალია-საფრანგეთი 84:91**

23:20, 25:21, 19:19, 17:31

ი: ბარნიანი (22+5 მოხსნა), ბელინელი (19), გალინარი (18+5 მოხსნა), ჰაკეტი (10), კარარეტო (7), მორდენტე (4), მანჩინელი (4).

ს: დიაო (21+4 მოხსნა+4 პასი), ბატუმი (20+5 მოხსნა), ტრაორე (11), ნოა (10+7 მოხსნა), ჟელაბალე (8+6 მოხსნა), პარკერი (8), პიეტრუსი (4+5 მოხსნა), დე კოლო (4), ჩიკანბუ (3), ალბისი (2).

**გერმანია-სერბეთი 64:75**

10:17, 18:21, 13:19, 23:18

გ: ნოვიცკი (25+6 მოხსნა), შაფარციკი (11), ჰამანი (10), კამანი (10+11 მოხსნა), ბენცინგი (5), ჰერბერი (3).

ს: სავანოვიჩი(18), კრსტიჩი (15), ტეოდოშიჩი (12+9 მოხსნა+9 პასი), ტეპიჩი (8+6 მოხსნა), კეშელი (6), მაჩვანი (5+9 მოხსნა), რაშიჩი (5), პეროვიჩი (4), მარკოვიჩი (2).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 4 | 4 | 0 | 336-289 | 8 |
| 2. საფრანგეთი | 4 | 4 | 0 | 341-295 | 8 |
| 3. გერმანია | 4 | 2 | 2 | 296-277 | 6 |
| 4. იტალია | 4 | 1 | 3 | 285-309 | 5 |
| 5. ისრაელი | 4 | 1 | 3 | 303-353 | 5 |
| 6. ლატვია | 4 | 0 | 4 | 305-343 | 4 |

**ბოლო ტური:** ისრაელი-იტალია (16:15), ლატვია-გერმანია (18:45), სერბეთი-საფრანგეთი (22:00).

### C ჯგუფი

**ფინეთი-ბოსნია 92:64**

24:20, 18:18, 34:18, 16:8

ფ: კოივისტო (17), კოპონენი (14), ლი (12), კოტი (10), მოტოლა (10), სალინი (9+7 მოხსნა+4 პასი), რანიკო (7+6 პასი), ჰუფი (7+6 მოხსნა), მიურინენი (4), ნიკოლა (2).

ბ: დომერკანტი (25), ბაირამოვიჩი (11), იკონიჩი (8), კიკანოვიჩი (7), ტელეტოვიჩი (6+6 მოხსნა), მილოშევიჩი (2), დედოვიჩი (2), ვასილევიჩი (2+4 პასი), ბავჩიჩი (1).

**საბერძნეთი-მაკედონია 58:72**

18:16, 11:14, 18:20, 11:22

ს: ფოცისი (16), ბურუსისი (10+10 მოხსნა+4 პასი), ცისისი (9+8 მოხსნა+4 პასი), კალატესი (7), კაიმაკოგლუ (6), კუფოსი (3), ვასილიადისი (3), ქსანტოპულოსი (2), პაპანიკოლაუ (1), მავროედისი (1).

მ: მაკალები (27+4 პასი), ანტიჩი (12+8 მოხსნა+2 დაფარება), გეჩევსკი (11+2 დაფარება), ჩეკოვსკი (11), ილიევსკი (6), დ. სტოიანოვსკი (3), ვ. სტოიანოვსკი (2).

**ხორვატია-ჩერნოგორია 87:81**

24:16, 22:26, 21:18, 20:21

ხ: ტომიჩი (26+8 მოხსნა+4 პასი), პოპოვიჩი (23+4 პასი), დრეიპერი (9+12 მოხსნა), სიმონი (8), მარკოტა (8), ბოგდანოვიჩი (6+4 პასი), ანდრიჩი (3), ზორიჩი (3).

ჩ: იერეტინი (18+4 პასი), დრაგიჩევიჩი (17), დაშიჩი (12+6 მოხსნა), პეკოვიჩი (9), ბიელიცა (9), პეკოვიჩი (9), შჩეპანოვიჩი (7), კუკი (5+8 პასი), ვუჩევიჩი (4).

**მაკედონია-ფინეთი 72:70**

20:21, 18:19, 16:18, 18:12

მ: მაკალები (18+5 მოხსნა+4 პასი), ვ. სტოიანოვსკი (16), ანტიჩი (14+19 მოხსნა), გეჩევსკი (8), სოკოლოვი (6), სამარძინსკი (4), ჩეკოვსკი (4), ილიევსკი (2).

ფ: კოპონენი (11), კოივისტო (11), ლი (10), კოტი (9+5 მოხსნა), სალინი (8), მეტელა (8), ჰუფი (6), მიურინენი (6), რანიკო (1+10 პასი).

**ჩერნოგორია-საბერძნეთი 55:71**

18:21, 13:11, 10:26, 14:13

ჩ: პეკოვიჩი (15+7 მოხსნა), ბიელიცა (8), იერეტინი (7), ბორისოვი (6), შჩეპანოვიჩი (5), ვუჩევიჩი (4), დრაგიჩევიჩი (4), დაშიჩი (2+5 მოხსნა).

ს: კუფოსი (19+4 დაფარება), ფოცისი (14+5 მოხსნა), კალატესი (12+6 პასი), ვასილიადისი (11), ბრამოსი (4+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ცისისი (4), პაპანიკოლაუ (3), ბურუსისი (2), ქსანტოპულოსი (2).

**ბოსნია-ხორვატია 92:80**

28:28, 15:8, 21:23, 28:21

ბ: ტელეტოვიჩი (26+9 მოხსნა), დომერკანტი (23+7 მოხსნა), ბაირამოვიჩი (12), იკონიჩი (10), ჯედოვიჩი (9+5 მოხსნა), ბავჩიჩი (7), ვასილევიჩი (3+7 პასი), კიკანოვიჩი (2).

ხ: ტომიჩი (23), ბოგდანოვიჩი (16), სიმონი (11+5 მოხსნა), პოპოვიჩი (10), დრეიპერი (8+9 პასი+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ზორიჩი (6), მარკოტა (4+5 მოხსნა), ანდრიჩი (1), სტიპჩევიჩი (1).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 4 | 3 | 1 | 286-255 | 7 |
| 2. მაკედონია | 4 | 3 | 1 | 287-274 | 7 |
| 3. ხორვატია | 4 | 2 | 2 | 327-330 | 6 |
| 4. ბოსნია | 4 | 2 | 2 | 317-334 | 6 |
| 5. ფინეთი | 4 | 1 | 3 | 302-301 | 5 |
| 6. ჩერნოგორია | 4 | 1 | 3 | 292-317 | 5 |

**ბოლო ტური:** ფინეთი-ჩერნოგორია (16:30), საბერძნეთი-ხორვატია (19:00), მაკედონია-ბოსნია (22:00).

### D ჯგუფი

**უკრაინა-ბულგარეთი 67:56**

16:14, 18:11, 19:13, 14:18

უ: კოლჩენკო (18), ბერტი (17+4 პასი), ზაბირჩენკო (12), კრავცოვი (7+10 მოხსნა+5 დაფარება), ლიშჩუკი (5+7 მოხსნა), ფესენკო (5), პეჩეროვი (3).

ბ: ვიდენოვი (10+8 მოხსნა), კოსტოვი (10), როულენდი (9+5 პასი), დ. ივანოვი (9+5 მოხსნა), კ. ივანოვი (9+5 მოხსნა), ვარბანოვი (4+8 მოხსნა).

**რუსეთი-ბელგია 79:58**

21:16, 16:16, 20:16, 22:10

რ: ფრიძონი (22+3 ჩაჭრა), ვორონცევიჩი (17), კირილენკო (9+7 მოხსნა), ანტონოვი (7+5 მოხსნა), მოზგოვი (7), ხრიაპა (6+10 მოხსნა), პონკრაშოვი (3), ბიკოვი (3+7 პასი), შვედი (2), შაბალკინი (2), ხვოსტოვი (1).

ბ: ფეისონი (14), დე ზეუვი (8+12 მოხსნა), ბეგინი (8), მბენგა (7), მუია (5), ლოუერსი (5), მოორსი (2), ვან როსომი (2), შტაინბახი (2), ტაბუ (1).

**ბულგარეთი-რუსეთი 77:89**

18:23, 20:19, 20:20, 18:22

ბ: დ. ივანოვი (23+5 მოხსნა), ვიდენოვი (17+3 ჩაჭრა), როულენდი (14+4 პასი), კ. ივანოვი (9+8 მოხსნა+3 დაფარება), მარინოვი (4), კოსტოვი (4), ავრამოვი (2), ზ. გეორგიევი (2), ვარბანოვი (2).

რ: კირილენკო (25+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), მოზგოვი (15+5 მოხსნა+2 დაფარება), ფრიძონი (13), ხრიაპა (12+7 პასი+3 ჩაჭრა+2 დაფარება), შვედი (7+5 პასი), ანტონოვი (7), მონია (6+5 მოხსნა), ვორონცევიჩი (2), ბიკოვი (2).

**ბელგია-სლოვენია 61:70**

15:14, 15:15, 17:21, 14:20

ბ: ვან დენ შპიგელი (16+7 მოხსნა), ფეისონი (13), ლოუერსი (9), ბეგინი (9), შტაინბახი (5), მოორსი (4), დე ზეუვი (3), მუია (2).

ს: გ. დრაგიჩი (18+5 ჩაჭრა), ბეგიჩი (14+7 მოხსნა), სლოკარი (7), ლორბეკი (7+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ზ. დრაგიჩი (6+5 მოხსნა), ლაკოვიჩი (5), იაგოდნიკი (5), სმოდიში (4), უდრიხი (2), მურიჩი (2).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 306-257 | 8 |
| 2. სლოვენია | 4 | 4 | 0 | 292-259 | 8 |
| 3. საქართველო | 4 | 2 | 2 | 283-264 | 6 |
| 4. უკრაინა | 4 | 1 | 3 | 248-266 | 5 |
| 5. ბულგარეთი | 4 | 1 | 3 | 260-288 | 5 |
| 6. ბელგია | 4 | 0 | 4 | 243-298 | 4 |

**ბოლო ტური:** საქართველო-ბულგარეთი (16:30), სლოვენია-რუსეთი (19:00), უკრაინა-ბელგია (22:00).

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# აია-დან ლოკომოტივამდე

**3 სექტემბერი. VIII ტური**

**თბილისი. "ავჭალა". 1500 მაყურებელი**

**არმია (თბილისი) - ლოკომოტივი (თბილისი) 23:6 (13:0)**

**არმია:** 15. ბ. კობახიძე, 14. ტუჩაშვილი, 13. გაბროშვილი, 12. მჭედლიძე (გაგოშვილი 24), 11. შკინინი, 10. ელიზბარაშვილი, 9. ზაბახიძე; 1. კაკოვინი (ქორიძე 50), 2. მეკოკიშვილი, 3. დონაძე, 4. ბუჯიაშვილი (კ. კობახიძე 69), 5. ცხადაძე (ბიეაძე 50), 6. თავართქილაძე (თხილაიშვილი 56), 7. კალმახელიძე, 8. უდესიანი.

**2 ლელო:** ელიზბარაშვილი, ტუჩაშვილი

**2 გარდასახვა:** კობახიძე

**3 ჯარიმა:** კობახიძე

**2 სინბინი:** უდესიანი, გაგოშვილი

**ლოკომოტივი:** 15. კობერიძე (კავთიძე 69), 14. ქავთარაძე, 13. გოგიშვილი, 12. ბერძენიშვილი, 11. ჟამუტაშვილი, 10. კვინიხიძე, 9. ლვინჯილია; 1. ელოშვილი, 2. ზარიძე, 3. ვეფხვაძე, 4. ჩიტიძე (ნადირაძე 58), 5. ნიშნიანიძე, 6. გენებაშვილი, 7. შიოშვილი (გუნიავა 60), 8. ახვლედიანი.

**2 ჯარიმა:** კვინიხიძე, გენებაშვილი

**2 სინბინი:** კვინიხიძე, ნიშნიანიძე

კი მაგრამ, „არმია" რა შუაშიაო, იკითხავთ, ალბათ. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო VII ტურის მატჩი არმიელებმა გათამაშების ლიდერ „აიასთან" ჩაატარეს და დაძაბული ბრძოლა მხოლოდ 2 ქულით (15:17) დათმეს. მას შემდეგ ჩემპიონატის განახლებამდე და მომდევნო VIII ტურის მატჩამდე ზუსტად 65 დღე გავიდა. ვინ როგორ გამოიყენა შუალედი, გარკვეულწილად შემოდგომის პირველ უიქენდზე გამოჩნდა.

ტურის ცენტრალურ მატჩს ავჭალის სტადიონმა უმასპინძლა, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „არმია" - მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი და „ლოკომოტივი" - წინა გათამაშების ჩემპიონი. ასე რომ, იყო გაზრდილი ინტერესი და სწორედ ამ ინტერესმა მიიზიდა მატჩზე არმიელთა უამრავი გულშემატკივარი, თუმცა არც „ლოკომოტივი" ყოფილა უგულშემატკივროდ.

თამაში კარგა ხანს „მშრალად" მიმდინარეობდა, ვიდრე მე-17 წუთზე არმიელებმა ჯარიმის შესრულების უფლება არ მოიპოვეს. ეს შანსი **ბახვა კობახიძემ** ზუსტად გამოიყენა და გუნდს პირველი 3 ქულა შესძინა. ამის მერე „არმიას" მეტი სტიმული მიეცა, უკეთ ათამაშდა და ლელოს დადებაც მოახერხა ფლანგიდან, ტაიმის ბოლოს კი კობახიძემ ზუსტად გარდასახა. შესვენების წინ მორიგი ჯარიმის რეალიზაციით ანგარიში 13:0-მდე გაიზარდა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ლოკომოტიველმა **ბობა კვინიხიძემ** ზუსტად გამოიყენა ჯარიმა. მერე თამაში გათანაბრდა. 50-ე წუთზე კაპიტნებს - კვინიხიძეს (ლოკომოტივი) და **უდესიანს** (არმია) ნერვებმა უმტყუნეს. მსაჯმა მოკამათეები „გააყვითლა", თანაც დროებით მოედანი ორივეს დაატოვებინა, „არმია" კი დაჯარიმდა, რაც **გენებაშვილმა** უშეცდომოდ გამოიყენა. არემიელებმა შეძლეს თამაშის დალაგება, 55-ე წუთზე **ტუჩაშვილმა** მეტოქის ხაზი გაჭრა და ლელო დადო, კობახიძემ კი ზუსტად გარდასახა. ტაიმის მიწურულს რკინიგზელთა გამოცოცხლება არმიელთა 22-ში წარმატებულ „ანექსიაში" გადაიზარდა, თუმცა ლელოს გატანა ვერ მოხერხდა. მეტოქემ ჯარიმის წყალობით ბურთი კი მოიპოვა, მაგრამ ფინალურმა სასტვენმა უწია. საბოლოოდ 26:6 არმიელთა სასარგებლოდ. როგორც ჩანს, გუნდს კარგად გამოუყენებია საჩემპიონატო არდადეგები გასაძლიერებლად.

ამ შეხვედრის შემდეგ „არმიამ" ლიდერთა ოთხეულში ადგილის დასამკვიდრებლად პოზიცია საგრძნობლად გაიმყარა, ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს კი მდგომარეობა უფრო დაუმძიმდა.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

# ლიდერობა განიმტკიცა

**ხარები (რუსთავი)-აია (ქუთაისი) 9:27 (6:7)**

**ხარები:** 15. ლაშა შუბითიძე (გიორგი მურადაშვილი), 14. ბექა ბებიაშვილი (ლექსო მელიქიშვილი), 11. გიორგი ბებიაშვილი (მანუჩარ ჭაავა), 36. პალიკო ჯიმშელაძე, 12. რატი ლამბაშიძე, 10. გიორგი ბასილაია, 9. ვაჟა ხუციშვილი, 7. ზვიად ლამბარაშვილი, 8. სესე ქარუხნიშვილი (გიორგი მარტიაშვილი), 6. ლაშა გოგიაშვილი, 33. კახა უჩავა (კაპიტანი), 4. თომა ბალიაშვილი, 3. სერგო მიქია (მიხეილ ნიკლაური), 2. უჩა ალაშვილი, 1. შოთა მაჭარაშვილი (გიგა ქლივიძე), მწვრთნელი: ზაზა ხუციშვილი

**აია:** 15. ბესარიონ ხამაშურიძე, 14. ზურაბ ძნელაძე, 11. გიორგი აბრამიძე, 13. ირაკლი გიორგაძე (ზურაბ ზვიადაძე), 12. გაგა სინაკურიძე, 10. ლევან შარვაშიძე (გია ცნობილაძე), 9. ლევან გოგია, 7. ერეკლე მეტრეველი (ბექა არაბიძე), 8. ლევან თხელიძე, 6. ირაკლი რევიშვილი(კაპიტანი)7 5. თორნიკე ძაგნიძე, 23. გია ცნობილაძე (ბაკურ გოშაძე), 4. გიორგი ჩიტეიშვილი, 3. ტარიელ ჩხიკვაძე (ამირან წაქაძე), 2. გაგა გურეშიძე, 1. თორნიკე ლომიძე (მერაბ მატკავა), მწვრთნელი: კობა გიორგაძე.

**მთავარი მსაჯი: უჩა ნარიმანიძე,** თანამსაჯები **ნიკოლოზ აბაშიძე** და **ნიკოლოზ ბეჟანიშვილი** (სამივე-თბილისი), კომისარი **გია ქერაშვილი** (რუსთავი).

ტრადიციულად, მორაგბეებს უხეირო სტადიონებისა და მინდვრის საფარის გამო წუწუნი მაინცდამაინც არ სჩვევიათ. რუსთავის რაგბის მოედნის საფარს არა უშავს, მაგრამ იქ ტრიბუნები არ არის. მაყურებლები თავიანთი გუნდის საქომაგოდ მავთულის ღობის გარშემო იყვნენ ჩამწკრივებულნი და ფეხზე მდგარნი ადევნებდნენ თვალს მატჩის პერიპეტიებს. თუმცა აქაური მორაგბეები და მაყურებლებიც იმედით და სიხარულით უყურებენ რუსთავის მშენებარე რაგბის კომპლექსს, რომელიც, როგორც ადგილობრივმა მესვეურებმა გვითხრეს, ზუსტად ერთი წლის შემდეგ 2012 წლის სექტემბერში გაიხსნება.

რუსთავის „ხარები" საკუთარ სტადიონზე ყოველთვის დიდი მონდომებით თამაშობს. ასე იყო ჩემპიონატის ლიდერის ქუთაისის „აისთან" მატჩშიც. თუმცა შეხვედრის მეორე ნახევარში ქუთაისელებმა სათამაშო დისციპლინით და კლასით დაჯაბნეს მასპინძლები და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს.

პირველი ტაიმის მთელი 25 წუთის განმავლობაში სათამაშო უპირატესობას რუსთაველები ფლობდნენ. ეს აისახა კიდეც ანგარიშში - მეცხრე ნომერმა **ვაჟა ხუციშვილმა** პირველ 10 წუთში ორი საჯარიმო გაიტანა. ფართო ფრონტით გაშლილად უტევდნენ. რიონისპირელებმა კი ორჯერ გააცუდეს ხელსაყრელის ჯარიმა. 28-ე წუთზე კი ქუთაისელებმა აუტში აგდებული ბურთი მოიგეს, მარცხენა ფრთიდან დაწყებული შეტევა ცენტრში გადაიტანეს. გამოცდილმა **ბესო ხამაშურიძემ** ლელო გაიტანა, **გაგა სინაურიძემ** კი გარდასახა. პირველი ტაიმის მიწურულს „ხარებმა" მძლავრად შეუტიეს ლიდერს. ორჯერ ლელოს ხაზიდან ხუთ მეტრში შერკინებებიც დაინიშნა, მაგრამ თავგანწირვით იცავდნენ თავიანთ ლელოს „აიას" მორკინალები. ამას დაემატა ისიც, რომ **ვაჟა ხუციშვილმა** (№9) ქუთაისელთა კარში ხელსაყრელი ჯარიმა ვერ გაიტანა. 6:7 - ასე დასრულდა შეხვედრის პირველი ტაიმი.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე ქუთაისელთა სწრაფი შეტევა **ლევან თხელიძის** (№8) ლელოთი დამთავრდა, გარდასახა **გაგა სინაურიძემ** - 6:14.

რუსთაველები კიდევ ერთხელ შეეცადნენ, თამაშში გარდატეხა შეეტანათ და ერთი ჯარიმის გატანაც მოახერხეს - 9:14.

ქუთაისელებმა „ხარების" ამ ჯარიმას მრავალჯერადი შეტევები დაუპირისპირეს. მოლიდან გამოსულ ბურთს „აიას" მეთორმეტე ნომერი **სინაურიძე** დაეუფლა და საკმაოდ კარგი არეკნით სამი ქულა შესძინა საკუთარ გუნდს. მანვე გაიტანა კიდევ ერთი ჯარიმა და ანგარიში ოცამდე გაზარდა. მატჩის მიწურულს ხარებს ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია, მაგრამ „აიას" მორაგბეები მედგრად იცავდნენ თავს. როდესაც ქუთათურებმა დაცვისგან სული მოითქვეს, ახლა თვითონ გაშალეს მარჯვენა ფრთიდან თამაში. შეცვლაზე შემოსულმა **ბაკურ გოშაძემ** (№22) მასპინძელთა შეცდომით ისარგებლა და ლელო გაიტანა. გარდასახვა უნაკლოდ შეასრულა გაგა სინაურიძემ. „აიამ" 27:9 დაამარცხა „ხარები" და ამით უფრო განიმტკიცა ლიდერობა.

**გაბრიელ ბარჯაძე**
რუსთავი

**თბილისი. "ვისოლი". 15:30 საათი**

**აკადემია (თბილისი) - ყოჩები (თბილისი) 19:19**

**თბილისი. "შევარდენი". 17:00 საათი**

**არმაზი (თბილისი) - ლელო (თბილისი) 22:17**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 8 | 8 | 0 | 0 | 211-96 | 16 |
| 2. არმია | 8 | 5 | 1 | 2 | 176-140 | 11 |
| 3. აკადემია | 8 | 3 | 3 | 2 | 162-154 | 9 |
| 4. ლელო | 8 | 4 | 0 | 4 | 195-164 | 8 |
| 5. ლოკომოტივი | 8 | 4 | 0 | 4 | 153-148 | 8 |
| 6. არმაზი | 8 | 3 | 1 | 4 | 158-184 | 7 |
| 7. ხარები | 8 | 2 | 0 | 6 | 85-162 | 4 |
| 8. ყოჩები | 8 | 0 | 1 | 7 | 117-209 | 1 |

**მომდევნო ტური**

**10 სექტემბერი:** ხარები - არმია, ლელო - ლოკომოტივი, ყოჩები - არმაზი, აია – აკადემია.


„არმია"-"ლოკომოტივი" ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო


„ხარები"-"აია" გაბრიელ ბარჯაძის ფოტო


„არმაზი"-"ლელო" გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# ნავსი ვერ გატეხა

გასულ უქმეებზე ხანტი-მანსიისკში მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშების მესამე რაუნდის შეხვედრები გაიმართა. ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა** რუს დმიტრი იაკოვენკოს ეთამაშებოდა. სამწუხაროდ, ჩვენებურისთვის, როგორც წინა ორი წლის ტურნირებში, მესამე ბარიერი ამჯერადაც დაუძლეველი აღმოჩნდა. ამ წყვილში ფავორიტად ისედაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი მიიჩნეოდა, რადგან იაკოვენკო (2736) რეიტინგში 23 პუნქტით უსწრებს ჯობავას, მაგრამ ბაადური ასე იოლად (0:2) თუ დათმობდა პაექრობას, ნამდვილად არ გვეგონა. მხოლოდ რეიტინგი რომ არაფერს ნიშნავს, ამ შეჯიბრებაზე ვაჟებში ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა იუდით პოლგარმაც დაამტკიცა. უნგრელმა ქალბატონმა, რომელმაც ეს-ეს არის შეაბიჯა 2700-იანთა კლუბში (2701), მესამე რაუნდის პირველ პარტიაში თეთრი ფიგურებით ასპარეზობის რეიტინგფავორიტ სერგეი კარიაკინს (რუსეთი, 2788) აჯობა. გუშინდელი მეორე კლასიკური პარტია ყაიმით დაამთავრა და მერვედფინალში გავიდა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ემილ სუტოვსკი (ისრაელი)-ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 1:1, შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)-იაროსლავ ჟერებუხი (უკრაინა) 1:1, ზახარ ეფიმენკო (უკრაინა)-რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) 1:1, ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი)-ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი) 1,5:0,5, ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)-ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 0,5:1,5, თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)-ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) 1,5:0,5, იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი)-გატა კამსკი (აშშ) 1:1, პიოტრ სვიდლერი (რუსეთი)-ფაბიანო კარუანა (იტალია) 1:1, ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი)-ვლადიმირ პოტკინი (რუსეთი) 1:1, პეტერ ნიელსენი (დანია)-ემილიან პარლიგრასი (რუმინეთი) 1:1, ბატისტა ბრუზონი (კუბა)-ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი) 1:1, ალექსანდრ მოისეენკო (უკრაინა)-დავიდ ნავარა (ჩეხეთი) 1:1, ბუ სიანძი (ჩინეთი)-აბჰიჯეთ გუფთა (ინდოეთი) 1,5:0,5, იგორ ლისი (რუსეთი)-ლენიერ დომინგესი (კუბა) 1:1.

მეოთხე წრეში გავიდნენ პოლგარი, გაშიმოვი, გრიშჩუკი, რაჯაბოვი, იაკოვენკო, ბუ სიანძი. დანარჩენ მერვედფინალისტთა ვინაობას დღევანდელი ტაიბრეიკები გამოავლენს.

**ვაჟა დანელია**

msy.gov.ge

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

ხუან ანტონიო სამარანჩი

### ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე

## 1980-1988




მოსკოვში ოლიმპიური თამაშებისადმი მთელი რიგი ქვეყნების ბოიკოტს, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო თანამეგობრობისთვის მიუღებელი აგრესიული საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკით, საპასუხო ნაბიჯი მოჰყვა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მხრიდან და მომდევნო XXIII ოლიმპიადამ ლოს-ანჯელესში სსრ კავშირისა და მისი სატელიტი ქვეყნების მონაწილეობის გარეშე ჩაიარა, რამაც, ცხადია, ეს ორი ოლიმპიადა გააუფერულა და უამრავ ათლეტს წაერთვა თამაშებში მონაწილეობის უფლება.

შეუძლებელი იყო ბოიკოტს მოწინავე სპორტული ქვეყნების ოლიმპიურ მემკვიდრეობაზე უარყოფითად არ ემოქმედა. საბჭოთა სპორტსმენებმა, მათ შორის საქართველოს ათლეტებმა, სხვა რა გზა იყო, გულმოდგინედ დაიწყეს მზადება სეულის ოლიმპიადისთვის, თუმცა მიმდინარეობდა თაობათა ცვლაც - 8-წლიანი შუალედი მაინც თავისას ითხოვდა.

გაჩნდა ოლიმპიურ მოძრაობაში განხეთქილების გახანგრძლივებისა და მომდევნო ოლიმპიური თამაშებისადმი ბოიკოტის ახალი საშიშროება. 1988 წლის ოლიმპიადა სამხრეთ კორეაში ტარდებოდა, ქვეყანაში, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონდა საბჭოთა კავშირს. ჩრდილოეთ კორეამ, საბჭოთა პოლიტიკის კარნახით, თამაშების თანამასპინძლობა მოითხოვა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, თამაშების გადარჩენის მიზნით, სამი წელიწადი ემუდარებოდა სამხრეთ კორეას დაეთმო სპორტის რამდენიმე სახეობა თუ არა, პროგრამის ცალკეული დისციპლინა მაინც. შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. საპასუხოდ ჩრდილოეთ კორეამ უარი განაცხადა სეულში ათლეტების გაგზავნაზე. სოლიდარობა კი მას კუბამ და ეთიოპიამ გამოუცხადა. ივარაუდებოდა სსრ კავშირის მხარდაჭერაც, მაგრამ ასე არ მოხდა და აი, 1976 წლის შემდეგ, 1988 წელს ერთმანეთს სპორტულ სარბიელზე კვლავ შეხვდნენ ლიდერი ქვეყნების - საბჭოთა კავშირის, აშშ-ის და გდრ-ის სპორტსმენები. წინა ბოიკოტებმა ყველაზე ცუდად იმოქმედა ამერიკელთა შედეგებზე. პირველად ოლიმპიადების ისტორიაში, სპორტული თვალსაზრისითაც ეს ზემძლავრი ქვეყანა მესამე ადგილზე გავიდა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში.

მაშ ასე, სეული, 1988 წელი. საბჭოთა ოლიმპიურ დელეგაციაში უმკაცრესი მოთხოვნებით შეირჩა ცალკეული სახეობების ნაკრებ გუნდებში სპორტსმენები. ისე როგორც წინა 1980 წლის ოლიმპიადაზე, საქართველოდან თამაშებში მონაწილეობის პატივი 16 ათლეტს ხვდა წილად. ეს იყო სოლიდური რაოდენობა. რაც მთავარია, ხუთი ჩვენი ოლიმპიელი ოქროს მედალს დაეუფლა, რომელთა შორის იყვნენ **ნინო სალუქვაძე,** რომელმაც ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურა ტყვიის სროლაში და **გელა კეტაშვილი,** დღემდე ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან ფეხბურთში.

დაწვრილებით მონაგარს „ლელოს“ ამავე გვერდზე გაეცნობით.

### თქვენთვის, ერუდიტებო!

**ვიქტორინა**

**ეძღვნება XXV ოლიმპიურ თამაშებს**

**1. სად ჩატარდება სეულის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები 1992 წელს?**

ა - ატლანტაში
ბ - ბარსელონაში
გ - არ ჩატარებულა

**2. რამდენი ოქროს მედალი მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - 5
ბ - 6
გ - 8

**3. რომელმა ქვეყანამ მოიპოვა საერთო გამარჯვება XXV ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - გაერთიანებულმა გუნდმა
ბ - აშშ-მა
გ - გერმანიამ

**4. სპორტის რომელ სათამაშო სახეობაში მოიპოვა პირველად მედალი საქართველოს სპორტსმენმა 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - ფეხბურთში
ბ - ჩოგბურთში
გ - ფრენბურთში

**5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - 8
ბ - 10
გ - 12

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

### საერთაშორისო ოლიმპიური ორგანიზაციები

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ასოციაცია**

Association Of The IOC Recognised International Sports Federations ARISF. დაფუძნდა 1983 წელს იმ საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ინიციატივით, რომლებიც ოლიმპიური მოძრაობის წევრები არ არიან, მაგრამ რომელთაც ცნობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. გაერთიანების მიზანია ოლიმპიურ კომიტეტთან უშუალო კონტაქტისა და დიალოგის ხელშეწყობა, საერთო ინტერესების დაცვა, კოორდინაცია და კოოპერაცია. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ურთიერთობისას უპირატესობა ენიჭება ოლიმპიურ ქარტიას და ასოციაციას არა აქვს უფლება, მისი პრინციპების წინააღმდეგ წავიდეს. ასოციაციის წევრები არიან შემდეგი საერთაშორისო ფედერაციები: საავიაციო სპორტის, საავტომობილო სპორტის, ბენდის, ბილიარდის, ბოულზის, ბოულინგის, ბრიჯის, ჭადრაკის, სპორტული ცეკვის, გოლფის, კარატეს, კორფბოლის, ლაიფსეივინგის, მოტოსპორტის, ალპინიზმისა და მეკლდეურობის, ნეტბოლის, სპორტული ორიენტირების, პელოტა ვასკას, პოლოს, რაკეტბურთის, როლერ სპორტის, რაგბის, სქვოშის, სუმოს, ბაგირის გადაძალვის, წყალქვეშ ცურვის, უშუს, წყალზე სრიალის.

### საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე



## ნინო სალუქვაძე

დაიბადა 01.02.1969, თბილისი. ტყვიის სროლა. 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სპორტული პისტოლეტით და მეორე პრიზიორი პნევმატური პისტოლეტით სროლაში. კიდევ ხუთი ოლიმპიადის მონაწილე: 1992, ბარსელონა - სპორტული პისტოლეტით სროლაში - V ადგილი, პნევმატურით - X; 1996, ატლანტა - სპორტულით VII, პნევმატურით - V; 2000, სიდნეი - ფინალში ვერ მოხვდა; 2004, ათენი - სპორტულით VIII, პნევმატურით - X ადგილი; 2008, პეკინი III. მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში (1989), მრავალგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (სპორტული + პნევმატური) და პრიზიორი პირად შეჯიბრებაში. მსოფლიოს სუპერთასის მრავალგზის მფლობელი. ევროპის მრავალგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში, მეორე და მესამე პრიზიორი. დამყარებული აქვს ოცამდე მსოფლიო რეკორდი. საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1988, 99). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.



## გელა კეტაშვილი

დაიბადა 27.09.1965, თბილისი. **ფეხბურთი,** მცველი. თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“ (1981-83), თბილისის „დინამოში“ (1984-90, 1994), ლანჩხუთის „გურიაში“ (1991), თბილისის „თეთრ არწივში“ (1993-94). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 3 მატჩი. 1988 წლის სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი. სსრკ უმაღლეს ლიგაში ითამაშა 164 მატჩი (4 გოლი), საქართველოს უმაღლეს ლიგაში - 9. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.

## წლები და შედეგები

### ოლიმპიადა: XXIV, სეული, 1988 წ.

*I ადგილი:* **ნინო სალუქვაძე** - ტყვიის სროლა; **დავით გობეჯიშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა (130კგ); **ვლადიმერ გოგოლაძე** - ტანვარჯიში, გუნდური; **ვლადიმერ აფციაური** - ფარიკაობა, გუნდური; **გელა კეტაშვილი** - ფეხბურთი.

*II ადგილი:* **ლერი ხაბელოვი** - თავისუფალი ჭიდაობა (100კგ); **ნინო სალუქვაძე** - ტყვიის სროლა;

*III ადგილი:* **გია თენაძე** - ძიუდო (71); **ამირან ტოტიკაშვილი** - ძიუდო (60კგ); **მაია აზარაშვილი** – მძლეოსნობა; **ვახტანგ იაგორაშვილი** – თანამედროვე ხუთჭიდი; **მიხეილ გიორგაძე** - წყალბურთი.

*IV ადგილი* - **გიორგი ჩოგოვაძე** - წყალში ხტომა.

*I – VI ადგილებს მიღმა დარჩნენ:* **ქრისტინა ფალასანიდი** - სინქრონული ცურვა (VII); **გურამ გედეხაური** - ბ\რ ჭიდაობა (VII); **ლეილა მესხი** - ჩოგბურთი (II წრე)); **თამაზ იმნაიშვილი** - სასტენდო სროლა (კვალიფიკაცია).

*მონაწილე* - 16. ოქრო - 5, ვერცხლი - 2 , ბრინჯაო - 5. სულ 12 მედალი.

## დავით გობეჯიშვილი



დაიბადა 03.01.1963, ხურუთი, ონი. თავისუფალი ჭიდაობა (130 კგ). XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1988, სეული), XXV ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (1992, ბარსელონა). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1985, 90) და მეორე პრიზიორი (1986), მსოფლიოს თასის [illegible] გზის მფლობელი (1986, 87, 88), ევროპის ჩემპიონი (1985), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1990), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 86, 88), ორგზის მეორე (1987, 89) და მესამე პრიზიორი (1990), დსთ-ის ჩემპიონი (1992). საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1985, 90). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (1994-2000), საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (2002-04). ამჟამად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

## ვლადიმერ გოგოლაძე

დაიბადა 18. 08. 1966, თბილისი. **სპორტული ტანვარჯიში.** სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1988), ევროპის ჩემპიონატის ორგზის მესამე პრიზიორი (1985 - მრავალჭიდი და ორძელი), ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1984 - თავისუფალი ვარჯიში და ღერძი) და ვერცხლის პრიზიორი (1984 - მრავალჭიდი), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის (1986) ჩემპიონი (ღერძი), მეორე (მრავალჭიდი) და ორგზის მესამე (ტაიჭი, გუნდური ჩათვლა) პრიზიორი, სსრკ ჩემპიონატის სამგზის მეორე (1985, 89) და ორგზის მესამე (1988) პრიზიორი. ), იაპონიის, ინგლისის, მოსკოვისა და რიგის ტურნირებში გამარჯვებული. მსოფლიოში პირველმა შეასრულა სამმაგი მალაყი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.





## ვლადიმერ აფციაური

დაიბადა 04.02.1962, მანგლისი. **ფარიკაობა,** რაპირა. სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1988), მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ პირველობაში (1982), მეორე (1988) და სამგზის მესამე პრიზიორი (1982, 86, 90), ევროპის თასის მფლობელი გუნდურ ასპარეზობაში (1985), საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი პირად და გუნდურ პირველობაში (1984), უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1986), სსრკ ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში (1984). ქუვეითის ნაკრების (რაპირა) მთავარი მწვრთნელი (1998-იდან), მისი ხელმძღვანელობით ქუვეითელებმა ხუთჯერ გაიმარჯვეს არაბული ქვეყნების ჩემპიონატებში. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/



პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# დებიუტანტებით მსოფლიოზე

## დარჩიამ შემადგენლობა გააცხადა

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამაც დაასახელა 12-18 სექტემბერს სტამბოლში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობა: ლაშა გოგიტაძე (55), რევაზ ლაშხი (60), მანუჩარ ცხადაია (66), მანუჩარ კვირკველია (74), ვლადიმერ გეგეშიძე (84), ირაკლი ქაჯაია (96), შოთა გოგისვანიძე (120).

როგორც ვხედავთ, გუნდში ორი დებიუტანტია - ქაჯაია და გოგისვანიძე, ოღონდ ეროვნულ ნაკრებამდე ორივემ განსხვავებული გზა გაიარა. ისინი ერთ თაობას მიეკუთვნებიან და ასპარეზზეც ლამის ერთად გამოჩნდნენ, თუმცა ქუთაისელი გოგისვანიძე ჯერ ისევ რჩება ახალგაზრდული ნაკრების წევრად, წყალტუბოელი ქაჯაია კი 19 წლისაა და უკვე გადავიდა უფროსებში. ახალგაზრდულ ნაკრებში ორივემ განსხვავებული კარიერა მოიწყო - ქაჯაიას იქ გამოსვლა, პრაქტიკულად, არ მოუწია, გოგისვანიძე კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. თან მართლაც რომ ჩინებული, ძალზე ლამაზი და სანახაობრივი ჭიდაობით ყველას მოწონება დაიმსახურა. სტამბოლში მისი წაყვანის შესაძლებლობაზეც პირველად მაშინ ალაპარაკდნენ და უპირველესად, სწორედ ახალგაზრდულის მსოფლიოზე ნაჩვენები ჭიდაობის ხარისხის გამო. სამწუხაროდ, უფროსებში ამ წონაში იმდენად სერიოზული ჩავარდნა გვაქვს, ბაქოში, „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ შეჯიბრებაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების წევრი **გიორგი საკანდელიძეც** კი გამოსცადეს, ეგება და ამან მაინც გაამართლოსო. საბედნიეროდ, რუმინეთში გამართულ ასპარეზობაში ქუთაისელმა ფალავანმა გაიბრწყინა და კაცის თხოვება აღარ დასჭირდათ. აქ საკითხავი მხოლოდ ის იყო, მოასწრებდა თუ ვერა ძალების აღდგენას ახალგაზრდა ჩემპიონი, რომელიც ასეთი მაღალი რანგის ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის. დარჩიამ ის ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე წევრთან ერთად მინსკშიც წაიყვანა „სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე გამართულ ერთობლივ შეკრებაზე. ეტყობა, მწვრთნელები მისი ამჟამინდელი ფორმით კმაყოფილები არიან, თუმცა ესეც რომ არა, მათ სხვა გზა არც აქვთ. საოლიმპიადოდ ნამდვილად აჯობებს, გოგისვანიძემ ახლა იჭიდაოს და გამოცდილება მიიღოს.

იმ დროს, როცა გოგისვანიძე ახალგაზრდულ გუნდში გვაოცებდა, ქაჯაია უფროსთა ტურნირებში წარმატებული გამოსვლით მიიკაფავდა გზას ეროვნული ნაკრებისკენ. ის საქართველოს ახალგაზრდული პირველობის ფინალში **სანდრო დიხამინჯიასთან** დამარცხდა, რომელმაც მერე უფროსებშიც გაიმარჯვა და თითქოს ნაკრების უპირველეს კანდიდატადაც იქცა. საბოლოოდ მისი ვექტორი ძირითადად ახალგაზრდული ნაკრებისკენ გადაიხარა და წარმატებებსაც მიაღწია - ევროპაზე მესამე იყო, მსოფლიოზე კი ვერცხლი მოიპოვა. დიხამინჯიამ რამდენჯერმე უფროსებს შორისაც იჭიდავა, მაგრამ არცთუ წარმატებით, ამასობაში კი ქაჯაიამ გივი კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირი მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობისთვის პირველი სერიოზული განაცხადი გააკეთა. თუმცა მას ჯერ კიდევ რჩებოდა დასაძლევი ერთი ძლიერი კონკურენტის წინააღმდეგობა - ნაკრებში მოხვედრის პრეტენზიას ტრავმამოშუშებული ევროპის პრიზიორი **სოსო ჯაბიძეც** აცხადებდა, რომელიც კარტოზიაზე მერვეზე გავიდა. მეხუთე იყო კიდევ ერთი კონკურენტი, ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **ვასილ იმერლიშვილი.** მოგვიანებით ჯაბიძემ ბურგასში ბრინჯაო კი მოიპოვა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ წონაში კონკურენცია აგვისტოს დასაწყისში პოლონეთში გადაწყდა პეტლიასინსკის ტურნირზე, სადაც დარჩიამ სამივე კანდიდატი წაიყვანა - ქაჯაია, ჯაბიძე და იმერლიშვილი (ამ დროს დიხამინჯია უკვე მთლიანად ახალგაზრდულ გუნდზე იყო გადართული - სულ რამდენიმე დღის ნაჭიდავები ჰქონდა მსოფლიოზე და ეროვნულის კანდიდატებში აღარ მოიაზრებოდა). პოლონეთში ქაჯაიამ კიდევ ერთხელ გაგვაოცა - მხოლოდ ნახევარფინალში დამარცხდა ამჟამად მართლაც ჩინებულ ფორმაში მყოფ მომავალ ჩემპიონთან, რუს **რუსტამ ტოტროვთან** (ამან რუსეთის პირველობაზე ოლიმპიური ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვი** გააცამტვერა) დამარცხდა და მესამეზე გავიდა, ჯაბიძე და იმერლიშვილი კი უმედლოდ დარჩნენ. აღსანიშნავია, რომ ჯაბიძემ ბულგარელთა ალბანელ ნატურალიზებულ ევროპის პრიზიორ **ელის გურთან** წააგო, რომელსაც მერე ქაჯაიამ მოუგო. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ გურთან დიხამინჯიაც დამარცხებულა - ბურგასში.

ერთი სიტყვით, ქაჯაიამ დაიმსახურა ნაკრებში ადგილი, მისი შემთხვევა კი ზუსტად ემთხვევა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრ **ლევან ბერიანიძის** შარშანდელ ამბავს - მაშინ ძლიერი კონკურენციის გამო ახალგაზრდულში ვერც ის ხვდებოდა, მაგრამ საერთაშორისო შეჯიბრებებში ივარგა და მერე მსოფლიოზე ბრინჯაოც მოიპოვა. ღმერთმა ქნას, ქაჯაიას ამბავიც ასე დასრულდეს.

ამ ეტაპზე ახალი თაობის სხვა წარმომადგენლები ნაკრებში ვერ მოხვდნენ. არადა, ამის შანსი თითქოს ახალგაზრდებში მსოფლიოს კიდევ ერთ წლევანდელ გამარჯვებულ **რევაზ ნადარეიშვილსაც** (84) ჰქონდა - ის ოქროც იმსახურებდა ყურადღებას, რასაც კარტოზიას ტურნირზე მოპოვებული ვერცხლიც დაემატა, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ დაბრუნებულ გეგეშიძეს კი ნამდვილად არ ჩაუტარებია საუკეთესო სეზონი. ეტყობა, ნადარეიშვილმა ვერ მოასწრო ძალების აღდგენა. თან მას უფროსებში არც საკმარისად უჭიდავია, ხოლო შემადგენლობის გამოცხადებას წინ საკონტროლო შეხვედრებიც უძლოდა...

ერთი სიტყვით, დარჩია დანარჩენ წონებში ისევ ძველ კადრებს დაეყრდნო. იმათგან გეგეშიძეს და ლაშხს საერთოდ არ უჭიდავიათ კარტოზიაზე - მსოფლიოსთვის მთავარ შესარჩევზე, ევროპის მედალოსანმა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ცხადაიამ კი 74-ში იასპარეზა, სადაც კვირკველიამ მოუგო და მესამეზე გავიდა. მწვრთნელებმა იმხანად ჯერ კიდევ ტრავმირებულ გეგეშიძეს მაინც დაუტოვეს ნაკრებში მოხვედრის შანსი, როგორც ლაშხს, რომელიც ტრიუმფით მოგებული ევროპის პირველობის ხათრით დაასვენეს და მსოფლიოსთვის მშვიდად მომზადების საშუალება მისცეს. მათ ცხადაიასთვისაც დაუშვეს გამონაკლისი, თუ წონას დაიკლებდა და 66-ს დაუბრუნდებოდა. მასაც სხვა გზა არ ჰქონდა და საბოლოოდ ასეც მოიქცა. გოგიტაძემ მოიგო კარტოზიას ტურნირი, კვირკველია კი მეორეზე გავიდა.

ნაკრები დუშეთში გადის ბოლო შეკრებას, რომელსაც 9 აგვისტოს დაამთავრებენ, 10-ში დილით კი სტამბოლში გაფრინდებიან. მსოფლიოს ჩემპიონატსაც ისინი გახსნიან - 12 აგვისტოს 55, 66 და 96-ის ფალავნები იჭიდავებენ, მეორე დღეს - 60, 84 და 120-ის, 14-ში კი 74-ში გაიმართება შეხვედრები. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს პირველობაზე ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება - ყოველ წონაში 6-6 ანუ მას მხოლოდ ისინი მიიღებენ, ვინც მედლისთვის იჭიდავებს.

დასასრულს, ერთ რამესაც დავამატებთ - როგორც უნდა იჭიდაონ ახალგაზრდებმა სტამბოლში, ცხადია, რომ ოლიმპიურ გუნდში ახალი თაობის რამდენიმე წარმომადგენელს ნამდვილად ვიხილავთ. იქამდე ერთი წელიწადია დარჩენილი და ახალგაზრდები კიდევ მოუმატებენ.

**ირაკლი თავაძე**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. გორდა; 6. კანიჯა; 7. ლპოცზე; 9. ლილი; 10. ჯილაური; 11. ბარი; 14. რაპირა; 15. ტაიმი; 17. მარულა; 18. აჭიმვა; 19. რბენა; 20. იდალგო; 24. იუკო; 25. ტანდემი; 27. როგი; 30. ისინდი; 31. იაშინი; 32. ისლა.

**შვეულად:** 1. ტრავმა; 2. ყირა; 3. გარსია; 4. ალვარო; 5. ჩოკო; 6. კოლინა; 8. ევერტი; 12. ბროლინი; 13. სამჭიდი; 14. რომა; 16. ლასო; 19. რაუნდი; 21. გიგანი; 22. ჩანგი; 23. ამელია; 26. დიმასი; 28. დინო; 29. ბაშო.

უცხოური ფეხბურთი

სატრანსფერო სეზონი. შეჯამება



კუნ აგუერო




ხავიერ პასტორე



რადამელ ფალკაო

# ბაზარზე არგენტინელები ფასობენ

## აგუერო და პასტორე ლიდერები არიან

მაშ ასე, რამდენიმე დღეა, რაც დასრულდა სატრანსფერო სეზონი. ევროპაში კლუბი არ დარჩენილა, რომელსაც არ უსარგებლია ამ პერიოდით და შემადგენლობა არ განუახლებია. ბაზარი დაიხურა. მოდი, ვნახოთ როგორი ვაჭრობა იყო ამ ზაფხულს...

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად საინტერესო, ტრანსფერებისა, ეს სეზონი ახლოსაც ვერ მოვა ორ გიჟურ ზაფხულთან - 2001 და 2009 წლებში ბაზარზე ძალიან ჩამოცხა. თითქოს, კლუბებმა ფულის ყაირათიანი ხარჯვა ისწავლეს, თუმცა კარგად რომ დავუკვირდეთ, ის ორი აფეთქება დიდწილად უკავშირება ესპანეთის „სამეფო კლუბში" განხორციელებულ რეორგანიზაციებთან - 2001-ში **ზინედინ ზიდანის** ყიდვით საფუძველი 21-ე საუკუნის პირველ „გალაქტიკოს" ჩაეყარა, ერთი წლის წინათ კი - მეორეს (როცა გუნდში **კრიშტიანო რონალდო, კაკა** და სხვები მივიდნენ).

ახალი სეზონის ლიდერი „მანჩესტერ სიტი" ჯიბეზე ხელისგაკვრის მოყვარულია, თუმცა ჯერჯერობით „სიტის" არაბ მფლობელებს ბევრი უკლიათ ამ საქმიანობის ასებთან. ახალი სატრანსფერო სეზონის რეკორდი 28 ივლისს დამყარდა, როცა 23 წლის არგენტინელ **სერხიო აგუეროს** სანაცვლოდ „ქალაქელებმა" 45 მილიონი ევრო გადაურიცხეს მადრიდის „ატლეტიკოს". ამ ტრანსფერმა სულ 3 მილიონით აჯობა 22 წლის **ხავიერ პასტორეს** ტრანსფერს სიცილიიდან „პარი სენ ჟერმენში". სეზონის პოდიუმზე კიდევ ერთი ტრანსფერი მოხვდა „ატლეტიკოს" მონაწილეობით. ოღონდ, ახლა მადრიდული კლუბი მყიდველის როლში გამოვიდა - „ათლეტებმა" 25 წლის კოლუმბიელის, **რადამელ ფალკაოს** სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო გადაუხადეს „პორტუს". მოკლედ, ტოპ-3 ტრანსფერიდან სამივე სამხრეთ ამერიკელებს შეეხება, ორ არგენტინელსა და კოლუმბიელს.

ყველა დროის ყველაზე ხმაურიან ტრანსფერების ათეულში წლევანდელი სეზონისა ერთიც ვერ მოხვდა - აგუერო მე-12 ადგილზეა, ხავიერ პასტორე - მე-17-ზე. ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე სარფიანად მოთამაშე იყიდა და გაყიდა „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელმაც კრიშტიანო რონალდოს სანაცვლოდ ლისაბონის „სპორტინგს" 17,5 მილიონი ევრო გადაუხადა, 6 სეზონი ლიდერად ჰყავდა და 2009-ში „რეალს" არანორმალურ თანხად, 94 მილიონ ევროდ მიჰყიდა. ფეხბურთის ისტორიიდან ასეთ სარფიან გაყიდვასაც გავიხსენებთ, „სევილიამ" „ვიტორიას" სულ რაღაც 550 ათასი ევრო გადაუხადა **დანი ალვეშში**, რომელიც შემდეგ „ბარსელონას" 35 მილიონზე მეტად მიჰყიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ყველა დროის სატრანსფერო რეკორდები

| ფეხბურთელი | საიდან | სად | სეზონი | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1. კრიშტიანო რონალდო | მანჩესტერი | რეალი | 09/10 | 94 მლნ. ევრო |
| 2. ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | რეალი | 01/02 | 73,5 |
| 3. ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | ბარსელონა | 09/10 | 69,5 |
| 4. კაკა | მილანი | რეალი | 09/10 | 65 |
| 5. ლუიშ ფიგუ | ბარსელონა | რეალი | 00/01 | 60 |
| 6. ფერნანდო ტორესი | ლივერპული | ჩელსი | 10/11 | 58,5 |
| 7. ერნან კრესპო | პარმა | ლაციო | 00/01 | 55 |
| 8. ჯანლუიჯი ბუფონი | პარმა | იუვენტუსი | 01/02 | 54,2 |
| 9. გაისკა მენდიეტა | ვალენსია | ლაციო | 01/02 | 48 |
| 10. ანდრეი შევჩენკო | მილანი | ჩელსი | 06/07 | 46 |
| რიო ფერდინანდი | ლიდსი | მანჩესტერი | 02/03 | 46 |
| 12. სერხიო აგუერო | ატლეტიკო | მან. სიტი | 11/12 | 45 |
| კრისტიან ვიერი | ლაციო | ინტერი | 99/00 | 45 |
| რონალდო | ინტერი | რეალი | 02/03 | 45 |
| 15. რობინიო | რეალი | მან. სიტი | 08/09 | 43 |
| 16. ხუან სებასტიან ვერონი | ლაციო | მანჩესტერი | 01/02 | 42,6 |
| 17. ხავიერ პასტორე | პალერმო | პსჟ | 11/12 | 42 |
| რუი კოშტა | ფიორენტინა | მილანი | 01/02 | 42 |
| 19. პაველ ნედვედი | ლაციო | იუვენტუსი | 01/02 | 41,2 |
| 20. ენდი ქეროლი | ნიუკასლი | ლივერპული | 11/12 | 41 |
| 21. რადამელ ფალკაო | პორტუ | ატლეტიკო | 11/12 | 40 |
| დავიდ ვილია | ვალენსია | ბარსელონა | 10/11 | 40 |
| მარკ ოვერმარსი | არსენალი | ბარსელონა | 00/01 | 40 |
| 24. დიმიტარ ბერბატოვი | ტოტენჰემი | მანჩესტერი | 08/09 | 38 |
| ფერნანდო ტორესი | ატლეტიკო | ლივერპული | 07/08 | 38 |
| მიკაელ ესიენი | ლიონი | ჩელსი | 05/06 | 38 |
| 27. დევიდ ბექჰემი | მანჩესტერი | რეალი | 03/04 | 37,5 |
| 28. ედინ ჯეკო | ვოლფსბურგი | მან. სიტი | 10/11 | 37 |
| უეინ რუნი | ევერტონი | მანჩესტერი | 04/05 | 37 |
| დიდიე დროგბა | მარსელი | ჩელსი | 04/05 | 37 |
| ფილიპო ინძაგი | იუვენტუსი | მილანი | 01/02 | 37 |

2011/12 წლების სეზონის სატრანსფერო რეკორდები

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|
| 1. სერხიო აგუერო | ატლეტიკო | მან. სიტი | 45 მლნ. ევრო |
| 2. ხავიერ პასტორე | პალერმო | პსჟ | 42 |
| 3. რადამელ ფალკაო | პორტუ | ატლეტიკო | 40 |
| 4. ფაბიო კოენტრაო | ბენფიკა | რეალი | 30 |
| 5. სესკ ფაბრეგასი | არსენალი | ბარსელონა | 29 |
| 6. სამირ ნასრი | არსენალი | მან. სიტი | 27,5 |
| 7. სამუელ ეტოო | ინტერი | ანჟი | 27 |
| 8. ხუან მატა | ვალენსია | ჩელსი | 26,7 |
| 9. ალექსის სანჩესი | უდინეზე | ბარსელონა | 26 |
| 10. ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ბარსელონა | მილანი | 24 |
| 11. სტიუარტ დაუნინგი | ასტონ ვილა | ლივერპული | 22,8 |
| 12. მანუელ ნოიერი | შალკე | ბაიერნი | 22 |
| 13. რომელუ ლუკაკუ | ანდერლეხტი | ჩელსი | 22 |
| 14. სანტი კასორლა | ვილიარეალი | მალაგა | 21 |
| 15. დავიდ დე ხეა | ატლეტიკო | მანჩესტერი | 20 |
| 16. ფილ ჯონსი | ბლექბერნი | მანჩესტერი | 19,3 |
| 17. ეშლი იანგი | ასტონ ვილა | მანჩესტერი | 18 |
| 18. ჯორდან ჰენდერსონი | სანდერლენდი | ლივერპული | 18 |
| 19. გიოკჰან ინლერი | უდინეზე | ნაპოლი | 17,5 |
| 20. ედინსონ კავანი | პალერმო | ნაპოლი | 16 |
| 21. ალესანდრო მატრი | კალიარი | იუვენტუსი | 15,5 |
| 22. ერიკ ლამელა | რივერ პლეიტი | რომა | 15,1 |
| 23. მარკო ვუჩინიჩი | რომა | იუვენტუსი | 15 |
| 24. პაბლო ოსვალდო | ესპანიოლი | რომა | 15 |
| 25. იური ჟირკოვი | ჩელსი | ანჟი | 15 |
| 26. ბალაჟ ძუძაკი | ეინდჰოვენი | ანჟი | 14 |
| 27. ალექს ჩემბერლენი | საუთჰემპტონი | არსენალი | 13,8 |
| 28. ჟერომ ბოატენგი | მან. სიტი | ბაიერნი | 13,5 |
| 29. რაულ მეირელეში | ლივერპული | ჩელსი | 13,5 |
| 30. დანილო | სანტოსი | პორტუ | 13 |

ყველაზე სარფიანად გაყიდული ფეხბურთელები

| ფეხბურთელი | კლუბი | იყიდეს | გაყიდეს | მოგება |
|---|---|---|---|---|
| 1. კრიშტიანო რონალდო | მანჩესტერი | 17,5 მლნ. | 94 მლნ. | 76,5 მლნ. |
| 2. ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | 3,5 | 73,5 | 70 |
| 3. ლუიშ ფიგუ | ბარსელონა | 2,5 | 60 | 57,5 |
| 4. კაკა | მილანი | 8,3 | 65 | 56,7 |
| 5. ერნან კრესპო | პარმა | 4 | 55 | 51 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ტრავმა

# უილშირის მინიმუმი

"არსენალს" მორიგი სერიოზული პრობლემა აქვს. თითქოს წამყვანი შუახაზელების გაყიდვა არ ეყოფოდა, რომ კიდევ ერთი ნახევარმცველი გამოაკლდა. ლაპარაკია **ჯეკ უილშირზე**, ვინც კოჭის სერიოზული ტრავმის გამო ფეხბურთს მიღმა მინიმუმ სამ თვეს გაატარებს, - გვამცნობს "დეილი მირორი". შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრების 19 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა მარჯვენა კოჭი სეზონის დაწყებამდე დაიზიანა. თავდაპირველად ექიმებმა ძალზე ოპტიმისტური პროგნოზი გააკეთეს. მათი მტკიცებით, ჯეკი სულ რამდენიმე დღეს გამოტოვებდა. თუმცა ყველაფერი პროგნოზის საწინააღმდეგოდ წარიმართა - აღდგენითი პროცესი გაიწელა. შემდეგ კი ტრავმის რეციდივმა სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა. ამჟამად ექიმები ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელს მინიმუმ 3 თვე მოუწევს სპეციალური მაღალყელიანი დამცავი ფეხსაცმლით მოძრაობა. რაც შეეხება ვარჯიშს, უილშირს საუკეთესო შემთხვევაში ოქტომბრის შუა რიცხვებში თუ მიეცემა ძუნძულის უფლება. თუკი ამ დროისთვის კოჭი მთლიანად მოშუშებული იქნება, ნახევარმცველს მსუბუქი დატვირთვების უფლებასაც მისცემენ. აქედან გამომდინარე იოლი სავარაუდოა, რომ "მეთოფეები" ლიდერს დეკემბრამდე ვერ დაიხმარენ.

"არსენალის" ექიმებმა კონსულტაციისთვის უკვე მიმართეს ევროპის წამყვანი სამედიცინო ცენტრების სპეციალისტებს. მკურნალობა მათი მეთვალყურეობის ქვეშ წარიმართება.

ერთადერთი სასიამოვნო ინფორმაცია "არსენალის" ბანაკში ის არის, რომ სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყო ახალგაზრდა **კირან გიბსმა**, მაგრამ მას რთული ამოცანა ექნება გადასაჭრელი - ძირითადში მოსახვედრად 21 წლის ფეხბურთელმა "ფენერბაჰჩედან" გადაბირებული **ანდრე სანტოსის** კონკურენცია უნდა დაძლიოს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ჯეკ უილშირი დეკემბრამდე ვერ ითამაშებს

● მარსელის ოლიმპიკი

# უხერხულობა ველოდრომზე



**ანდრე-პიერ ჟინიაკსა** და "მარსელის" ხელმძღვანელებს შორის გამწვავებული ურთიერთობების შესახებ ფრანგულმა "მაქსიფუტმა" თავისი ვერსია წარმოგვიდგინა. მაშ ასე, აღნიშნული გამოცემის ვერსია, თუ რა მოხდა 31 აგვისტოს ველოდრომელთა ბანაკში, საინტერესოდ გვეჩვენა და ამიტომაც მცირე შემოკლებით მას აქვე გთავაზობთ:

"მარსელში" **ანდრე-პიერ ჟინიაკის** თამაშით ძალზე უკმაყოფილოები იყვნენ. ეს კიდევ არაფერი... ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით თავდამსხმელს მისი პიროვნების შესახებ არა ერთი და ორი შეურაცხმყოფელი სიტყვა მოუსმენია. "ოლიმპიკის" კულუარებიდან გამოდიოდა ხმები ფეხბურთელის განსაკუთრებული "ღორმუცელობის" შესახებ, რომ თითქოს ამის წყალობით ანდრე-პიერი ნელ-ნელა კარგავდა მოქმედი ფეხბურთელის შესახედაობას. თუმცა სიმსუქნე და ჟინიაკის ცუდი ფორმა ცალკე მოსაყოლი ამბავია. კლუბის ხელმძღვანელობა ხმამაღლა ყოველთვის ფეხბურთელის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებდა. **დიდიე დეშამი** ამბობდა, ფეხბურთელს კიდევ ერთ სეზონს მივცემთ თავისი შესაძლებლობების დასამტკიცებლადო. თუმცა დადგა 31 აგვისტოს დილა, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღე და ვებგვერდებმა დაწერეს, რომ პროვანსელებს სასწრაფოდ სურდათ ბრაზილიელი **ამაურის** გადაბირება. ბუნებრივია, თუკი ეს ტრანსფერი შედგებოდა, ჟინიაკის ბედი იმ წუთასვე გადაწყდებოდა.

მარსელელები სიმართლეს მალავენ, თუმცა საიდუმლო გზით მაინც მოხერხდა ანონიმური წყაროს მოძებნა, რომელმაც დაადასტურა, რომ ბრაზილიელი თავდამსხმელი იმყოფებოდა კლუბის ბაზაზე, სადაც მოლაპარაკებებს აწარმოებდა. მხარეებმა სამხრეთამერიკელის სახელფასო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვეს. პარალელურად კი ჟინიაკს ლამის ძალით აუღეს ბილეთი ლონდონის ავიარეისზე, რათა ამ უკანასკნელს "ფულჰემთან" კონტრაქტი გაეფორმებინა. საბოლოოდ გარიგება ჩაიფუშა. კლუბი კიდევ ერთ ვარიანტს განიხილავდა, რომელიც ასევე არ გამოვიდა, "სანდერლენდმა" ჟინიაკისა და **ასამოა გიანის** გაცვლაზე უარი თქვა. პროვანსელების საქციელით პიერ-ანდრე ჟინიაკი აღშფოთებულია. ამჟამად ის უარს აცხადებს პრესასთან ურთიერთობაზე. უხერხულ მდგომარეობაშია დიდიე დეშამიც, ჟინიაკის გასხვისების ინიციატივა ხომ სწორედ მას ეკუთვნოდა. მე არც ბურთი ვარ და არც მონა, რომ სხვა კლუბში გაყიდვა ჩემივე თანხმობის გარეშე შეიძლებოდესო, უთქვამს ფეხბურთელს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

## მიზანი? - მხოლოდ გადარჩენა

"ბორდოს" ახალი მთავარი მწვრთნელი **ფრანსის ჟიიო** სეზონის წინ თავის გუნდზე დიდ იმედებს ამყარებდა. მისი თქმით, გუნდი ჩემპიონთა ლიგის თუ არა, ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებას მაინც შეძლებდა. თუმცა ოთხი ტურის შემდეგ ის ძალზე იმედგაცრუებულია გუნდის წამყვანი ფეხბურთელების დაბალი მოტივაციით. გუნდს 5 ქულა აქვს და ცხრილში მე-13 ადგილზეა. ამას გარდა ჟირონდელებმა უკვე "მოახერხეს" თასიდან გამოვარდნაც, სადაც "სენტ ეტიენთან" 1:3 დამარცხდნენ. ჟიიოც და პრეზიდენტი **ჟან-ლუი ტრიოც** აცხადებენ, რომ თუკი პირველ წრეში სიტუაცია რადიკალურად არ გამოსწორდება, ისინი იძულებულნი გახდებიან, რომ მართლა მოტივირებული ფეხბურთელები მონახონ. "სენტ ეტიენთან" ისე დავმარცხდით, რომ დარჩა შთაბეჭდილება, თითქოს ამ შეხვედრაში გამარჯვება სულ 3 ან 4 ფეხბურთელს სურდა. რამდენიმე მათგანმა იმედები უკვე გაგვიცრუა. ამჟამინდელი გუნდის პოტენციალი ალბათ მხოლოდ დასარჩენად ბრძოლისთვის არის საკმარისი. ამის მიუხედავად დანებებას არ ვაპირებთ. აშკარაა, რომ ფეხბურთელებს უნდა დაველაპარაკოთ და საქმისადმი უფრო პროფესიული მიდგომა მოვთხოვოთ," - განუცხადა ჟიიომ "ეკიპს".

## მათეუსმა მუშტი დააბრახუნა

"როიტერის" ინფორმაციით, ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ლოთარ მათეუსი** აღშფოთებულია ნაკრების ფეხბურთელების უდისციპლინობით. ლეგენდარულმა გერმანელმა გადაწყვიტა, გარკვეული დროით მაინც ნაკრებიდან დაითხოვოს ამ მხრივ "ყველასგან გამორჩეული" ფეხბურთელი, სოფიის ცსკა-ს თავდამსხმელი **სპას დელევი**. "დელევი მართლა ნიჭიერი ფეხბურთელია. ნაკრების კარი მისთვის სამუდამოდ დახურული არ არის, მაგრამ ჯობია გარკვეული პერიოდი ეროვნულ გუნდს მიღმა გაატაროს, რათა მიხვდეს, რომ ეს მისი ქვეყნის უმთავრესი გუნდია. სპასის დისკვალიფიკაცია სხვებისთვისაც მაგალითი უნდა გახდეს," - განაცხადა მათეუსმა.

შეგახსენებთ, რომ აგვისტოს დასაწყისში ანალოგიური პრობლემის გამო რუმინეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვიქტორ პიცურკამ** ნაკრებიდან სამუდამოდ მოკვეთა ორი ფეხბურთელი, მათ შორის სკანდალებით სახელგანთქმული **ადრიან მუტუ**.



სტიდ მალბრანკი

## ფენერბაჰჩე სასამართლოში ჩივის

თურქეთის ჩემპიონმა "ფენერბაჰჩემ" თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას ჩემპიონთა ლიგიდან მისი მოხსნის გადაწყვეტილების გამო ლოზანის უმაღლეს სპორტულ-საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლა. ეს ინფორმაცია კლუბმა საკუთარი ვებგვერდითვე გაავრცელა, სადაც გამოთქმულია იმედი, რომ სასამართლო ფედერაციის მიერ მიღებულ დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას გააუქმებს. "ყვითელ-ცისფრები" ამტკიცებენ, რომ ამის გამო მათ 45 მილიონი ევროს ზარალი უკვე მიიღეს.

შეგახსენებთ, რომ თფფ-ის გადაწყვეტილებით "ფენერბაჰჩეს" ნაცვლად წელს თურქეთს ლიგის გათამაშებაში ტრაბზონსფორი წარმოადგენს. მიზეზი გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით სტამბოლური გრანდის პრეზიდენტის **აზიზ ილდირიმის** დაპატიმრება გახდა. ალდირიმი ამჟამადაც ციხეშია. ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში მას ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## მალბრანკის დიდი პრობლემა

"ფულჰემის", "ტოტენჰემისა" და "სანდერლენდის" ყოფილი ნახევარმცველი, 31 წლის **სტიდ მალბრანკი** ფეხბურთიდან წავიდა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა "სენტ ეტიენთან" 2-წლიანი კონტრაქტი სულ რაღაც თვე-ნახევრის წინა გააფორმა, მაგრამ... მალბრანკის ოჯახში ახლა ფეხბურთისთვის აღარავის სცხელა – რამდენიმე დღის წინ სტიდის შვილს ექიმებმა ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს. სწორედ ამიტომ ფეხბურთელს შვილთან მაქსიმალურად დიდი დროის გატარება სურს.

პროფესიული კარიერა მალბრანკმა 1997 წელს "ლიონში" დაიწყო. 2001 წლიდან ის ინგლისში ასპარეზობდა. რომელი კლუბების ღირსებას იცავდა ის ნისლიან ალბიონზე, თავშივე მოგახსენეთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

● იუვენტუსი

# ციგლერი ფენერში

### დელნერის მოყვანილი რეტო კონტემ გაუშვა

„იუვენტუსმა" **რეტო ციგლერი** ახლახან გადაიბირა და ყველასათვის მოულოდნელად, ისევ გაუშვა. ივნისში გენუის „სამპდორიადან" ნაყიდი მარცხენა მცველი ტურინელებმა ერთი წლით თურქულ „ფენერბაჰჩეში" გაანათხოვრეს.

ამ, ერთი შეხედვით სასაცილო ამბავის მიზეზი ის არის, რომ როცა ციგლერის „იუვეში" გადასვლა გადაწყდა, ტურინული კლუბის მთავარი მწვრთნელი მაშინ **ლუიჯი დელნერი** იყო. როგორც იცით, ეს უკანასკნელი ადრე „სამპდორიას" წვრთნიდა და ციგლერის დიდად ეიმედებოდა. თუმცა „ბებერი ქალბატონის" შეფებმა დელნერი მალე დაიფრინეს, ახლა კი გუნდის თავკაცი **ანტონიო კონტეა**, რომელიც „იუვენტუსში" ციგლერის ადგილს ვერ ხედავს. ამრიგად, ისე, რომ „იუვეს" მაისურით მოედანზე ოფიციალურ მატჩში ერთი წუთიც არ გაუტარებია, რეტო ციგლერი ტურინიდან მიდის.

„ფენერბაჰჩეში" 22 წლის მარცხენა მცველმა გამოცდილება უნდა შეიძინოს. ჯერჯერობით უცნობია, უტოვებს თუ არა „იუვენტუსი" „ფენერს" ციგლერის უპირატესი შესყიდვის უფლებას. „ფენერის" ბოსები ადასტურებენ, რომ „იუვენტუსს" რეტოს არენდისთვის 600 000 ევრო გადაუხადეს.

**გოტფრიდ ლენცი**



● სერია A

# სკანდალი დამთავრდა!

### იტალიის ჩემპიონატი მომდევნო უქმეებზე დაიწყება

ახლა უკვე ოფიციალურად დადასტურებულია: იტალიაში ყველაფერზე შეთანხმდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სერია A სტარტს მომავალ უქმეებზე აიღებს. იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციამ საფეხბურთო ლიგასთან საბოლოო შეთანხმებას მიაღწია, რაც გუშინ ასოციაციის პრეზიდენტმა **დამიანო ტომაზიმ** დაადასტურა.

*„ყველა სადავო საკითხზე შევთანხმდით, კონტრაქტს კი ორშაბათს გავაფორმებთ. მანამდე ხელშეკრულებას იურისტები გადახედავენ და შეისწავლიან,"* - განაცხადა ტომაზიმ. ხელშეკრულება ერთწლიანია. ამრიგად, იტალიის ჩემპიონატი სტარტს პარასკევს, მოქმედი ჩემპიონის, „მილანისა" და რომის „ლაციოს" მატჩით აიღებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი




ოქროს ოთხეული

# ბოლტმა რეკორდით დაასრულა

მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ორ დღეს **უსაინ ბოლტმა** დაამტკიცა, რომ კვლავაც მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერია და ტეგუში 100 მეტრზე მარცხი შემთხვევითობა იყო. რომ არა ის ფალსტარტი, იამაიკელი კვლავაც სამ დისციპლინაში იზეიმებდა პირველობას.

„გრძელი სპრინტის" ფინალში ბოლტმა აშკარად დაიზღვია თავი და სტარტი სხვებზე გვიან აიღო, თუმცა ამას მის ტემპსა და საბოლოო გამარჯვებაზე არ უმოქმედია. იამაიკელმა დამაჯერებელ ტრიუმფს მიაღწია. მართალია, მსოფლიოს რეკორდი არ დამყარებულა, მაგრამ უსაინის მიერ ნაჩვენები დრო შთამბეჭდავი იყო - 9,40 წამი, რაც ისტორიაში მეოთხე შედეგი გახლავთ. ბოლტის მიერ განვითარებული ტემპის წყალობით კიდევ სამმა მძლეოსანმა შეძლო 20 წამიდან გამოსვლა. **უოლტერ დიქსმა** 19,70 წამით ვერცხლი აიღო, ევროპული სპრინტის ლიდერმა **კრისტოფ ლემეტრმა** კი 19,80 წამი აჩვენა და ბრინჯაოსთან ერთად საფრანგეთის რეკორდის ავტორი გახდა. სხვათა შორის აქამდე ფრანგს არასოდეს ურბენია 200 მეტრი 20 წამზე ნაკლებ დროში.

მსოფლიოს ჩემპიონატი კი ბოლტმა მსოფლიოს რეკორდით დაასრულა. წლევანდელ პირველობაზე ეს იყო ერთადერთი რეკორდი და ის ბოლო სახეობაში დამყარდა - მამაკაცებს შორის 4x100 მეტრზე ესტაფეტაში. არადა, წინასწარ იყო ცნობილი, რომ იამაიკის ნაკრებში არ გაირბენდა ტრავმირებული **ასაფა პაუელი.** მიუხედავად ამისა, კუნძულელთა ნაკრებს მაინც მთავარ ფავორიტად მოიხსენიებდნენ, მაგრამ მისგან რეკორდს არავინ ელოდა.

ესტაფეტაში მოვლენები დრამატულად განვითარდა. მესამე ეტაპზე ამერიკელი **პეტონი** ბრიტანელ მეტოქეს დაეჯახა. შედეგად ორივე სპრინტერი დაეცა და მათმა გუნდებმა ესტაფეტა ვერ დაასრულეს. მძლეოსნობის მოყვარულებს ემახსოვრებათ: პეკინის ოლიმპიადაზე იამაიკის ნაკრების ტრიუმფალური გამოსვლისას ბოლტი მესამე ეტაპზე მირბოდა და მან ჯოხი ასაფა პაუელს ჩააბარა, რომელმაც დაასრულა ის სარეკორდო გამოსვლა. ახლა მესამე ეტაპზე „მოკლე სპრინტში" მსოფლიოს ჩემპიონი **იოჰან ბლეიკი** მირბოდა, ბოლო 100 მეტრი კი ბოლტს ერგო, რომელმაც ფანტასტიკური ტემპი განავითარა და საბოლოო დრო - 37,04 წამი მსოფლიოს რეკორდი გახლდათ! იამაიკელებმა წინა რეკორდს სამი მეასედი წამი ჩამოაკლეს.

ფინიშის შემდეგ უსაინი თანაგუნდელებთან ერთად ცეკვავდა, თუმცა ამ საქმეშიც ის ყველაზე კარგი იყო. ლემეტრმა საფრანგეთის ნაკრებს ვერცხლი მოუტანა, მესამე ადგილი კი მოულოდნელად სენტ-კიტსის ოთხეულს ერგო.

ნაკლებად დრამატულად განვითარდა მოვლენები ქალებს შორის ანალოგიურ დისციპლინაში. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება ამერიკამ მოიპოვა, რომლის რიგებში მირბოდა **ელისონ ფელიქსი.** ამ მძლეოსანმა მსოფლიოს ჩემპიონატების მერვე ოქრო მოიგო, რაც საერთო რეკორდი გახლდავთ. არადა, ფელიქსი მხოლოდ 25 წლისაა.

### კაცები

#### 200 მ

1. **უსაინ ბოლტი** (იამ) - 19,40; 2. **უოლტერ დიქსი** (აშშ) - 19,70; 3. **კრისტოფ ლემეტრი** (საფ) - 19,80...

#### 1500 მ

1. **ასბელ კიპროპი** (კენ) - 3.35,69; 2. **სილას კიპლაგატი** (კენ) - 3.35,92; 3. **მეტიუ ცენტროვიჩი** (აშშ) - 3.36,08...

#### 5000 მ

1. **მო ფარა** (ბრიტ) - 13.23,36; 2. **ბერნარდ ლაგატი** (აშშ) - 13.23,64; 3. **იმანე მერგა** (ეთი) - 13.23,78...

#### 4x100 მ

1. იამაიკა (ნესტა კარტერი, მაიკლ ფრეიტერი, იოჰან ბლეიკი, უსაინ ბოლტი) - 37,04 (მსოფლიოს რეკორდი); 2. საფრანგეთი - 38,2; 3. სენტ კიტსი - 38,49...

#### მარათონი

1. აბელ კირუი (კენ) - 2:07:38; 2. ვინსენტ კიპრუტო (კენ) - 2:10:06; 3. ფეიისა ლილესა (ეთი) - 2:10:32...

#### 50 კმ სიარული

1. სერგეი ბაკულინი (რუს) - 3:41:24; 2. დენის ნიჟეგოროდოვი (რუს) - 3:42:45; 3. ჯარედ ტალენტი (ავსტრა) - 3:43:36...

#### სამხტომი

1. კრისტიან ტეილორი (აშშ) - 17,96; 2. ფილიპს აიდოვუ (ბრიტ) - 17,77; 3. უილ კლეიე (აშშ) - 17,50...

#### შუბი

1. მატიას დე ზორდო (გერ) - 86,27; 2. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 84,78; 3. გილერმო მარტინესი (კუბ) - 84,30...

### ქალები

#### 800 მ

1. მარია სავინოვა (რუს) - 1.55,87; 2. კასტერ სემენია (ს. აფრ) - 1.56,35; 3. ჯანეტ ჯეპკოსგეი (კენ) - 1.57,42...

#### 100 მ/ბარიერებით

1. სალი პირსონი (ავსტრა) - 12,28; 2. დანიელა კარატერსი (აშშ) - 12,47; 3. დოუნ ჰარპერი (აშშ) - 12,47...

#### 4x100 მ

1. **აშშ** (ბიანკა ნაითი, ელისონ ფელიქსი, მარშავეტ მაიერსი, კარმელიტა ჯეტერი) - 41,56; 2. **იამაიკა** - 41,70; 3. **უკრაინა** - 42,51...

#### 4x400 მ

1. **აშშ** (სანია რიჩარდსი, ელისონ ფელიქსი, ჯესიკა ბერდი, ფრანჩესკა მაკორორი) - 3.18,09; 2. **იამაიკა** - 3.18,71; 3. **რუსეთი** - 3.19,36...

#### სიმაღლე

1. ანა ჩიჩეროვა (რუს) - 2,03; 2. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 2,03; 3. ანტუანეტა დი მარტინო (იტა) - 2,00...

#### ურო

1. ტატიანა ლისენკო (რუს) - 77,13; 2. ბეტი ჰაიდლერი (გერ) - 76,06; 3. ჟან ვენსიუ (ჩინ) - 75,03...

#### მედლების ჩათვლა

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 12 | 8 | 5 | 25 |
| 2. რუსეთი | 9 | 4 | 6 | 19 |
| 3. კენია | 7 | 6 | 4 | 17 |
| 4. იამაიკა | 4 | 4 | 1 | 9 |
| 5. გერმანია | 3 | 3 | 1 | 7 |
| 6. ბრიტანეთი | 2 | 4 | 1 | 7 |
| 7. ჩინეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 8. ავსტრალია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 9. ეთიოპია | 1 | 0 | 4 | 5 |
| 10. უკრაინა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 11-16. ბოტსვანა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 11-16. ბრაზილია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 11-16. გრენადა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 11-16. იაპონია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 11-16. ზელანდია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 11-16. პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 17. ს. აფრიკა | 0 | 2 | 2 | 4 |
| 18-19. კუბა | 0 | 1 | 3 | 4 |
| 18-19. საფრანგეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| 20. ბელარუსი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 21-30. კანადა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21-30. ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21-30. ჩეხეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21-30. ესტონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21-30. უნგრეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21-30. ყაზახეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21-30. ნორვეგია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21-30. პუერტო რიკო | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21-30. სუდანი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21-30. ტუნისი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 31-32. კოლუმბია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 31-32. სტ. კიტსი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 33-41. ბაჰამის კ-ები | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33-41. ბელგია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33-41. ირანი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33-41. იტალია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33-41. ლატვია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33-41. სლოვენია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33-41. ესპანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33-41. ტრინიდადი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33-41. ზიმბაბვე | 0 | 0 | 1 | 1 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| კარლაილი-მილტონი | 1:3 |
| ჩესტერფილდი-ლეიტონი | 0:0 |
| ჰარტლპული-ექსეტერი | 2:0 |
| ნოტსი-ბორნმუთი | 3:1 |
| ოლდჰემი-ჰადერსფილდი | 1:1 |
| სკანთორპი-კოლჩესტერი | 1:1 |
| შეფილდი-ბერი | 4:0 |
| სტევენეიჯი-როჩდეილი | 4:2 |
| ტრანმერი-იეოვილი | 0:0 |
| უოლსოლი-ბრენტფორდი | 0:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| სუინდონი-როტერჰემი | 3:2 |
| უიმბლდონი-პორტ ვეილი | 3:2 |
| ალდერშოტი-ჩელტენემი | 1:0 |
| ბარნეტი-აკრინგტონი | 0:0 |
| ბარტონი-პლიმუტი | 2:1 |
| ქროული-ბრ. როვერსი | 4:1 |
| ქრიუ-ოქსფორდი | 3:1 |
| ჯილინგემი-შრიუსბერი | 0:1 |
| ჰერეფორდი-დაგენჰემი | 1:0 |
| მორეკამბი-ბრედფორდი | 1:1 |
| საუთენდი-ნორთჰემპტონი | 2:2 |
| ტორკი-მაკლსფილდი | 3:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| დარლინგტონი-მენსფილდი | 0:2 |
| ებსფლიტი-ბაროუ | 1:2 |
| ფორესტ გრინი-გრიმსბი | 0:1 |
| გეიტსჰედი-ელფრტონი | 2:0 |
| კეტერინგი-ფლიტვუდი | 2:3 |
| ნიუპორტი-კემბრიჯი | 0:1 |
| საუთპორტი-ტელფორდი | 3:2 |
| რექსჰემი-კიდერმინსტერი | 2:0 |
| ბრენტრი-ლინკოლნი | 1:0 |
| ჰეიესი-ტამუორტი | 1:0 |

#### იტალია

**სერია B**

| | |
|---|---|
| რეჯინა-გროსეტო | 1:1 |
| ბრეშა-ემპოლი | 2:1 |
| ასკოლი-ვიჩენცა | 1:1 |
| ბარი-ალბინოლეფე | 2:3 |
| ჩიტადელა-პადოვა | 1:4 |
| კროტონე-იუვე სტაბია | 0:0 |
| ლივორნო-ნოჩერინა | 0:2 |
| მოდენა-პესკარა | 3:2 |
| სამპდორია-გუბიო | 6:0 |
| ვერონა-სასუოლო | 1:0 |
| ტორინო-ვარეზე | 2:0 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| კაპრი-ტრიტიუმი | 4:0 |
| კომო-პრო ვერჩელი | 2:1 შეწყდა |
| ფოჯა-ბენევენტო | 1:2 |
| მონცა-სორენტო | 0:3 |
| პავია-რეჯინა | 1:1 |
| სპალ-პიზა | 1:1 |
| ტერნანა-ვიარეჯო | 1:0 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| სპეცია-ანდრია | 0:0 |
| ბარლეტა-ფროსინონე | 1:0 |
| ბასანო-ლანჩანო | 0:1 |
| ლატინა-სირაკუზა | 1:1 |
| პორტოგრუარო-პერგოკრემა | 0:1 |
| სუდტიროლი-პიაჩენცა | 1:2 |
| ტრაპანი-პრატო | 2:1 |
| ტრიესტინა-ფერალპიზალი | 1:0 |

#### ესპანეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერია-ხირონა | 2:2 |
| ელჩე-მურსია | 1:0 |
| უესკა-ალკორკონი | 0:3 |
| ვილიარეალი B-საბადელი | 3:4 |
| ხერესი-გვადალახარა | 0:2 |
| ლას პალმასი-ალკოიანო | 1:0 |
| ვალიადოლიდი-კორდობა | 2:0 |
| ნუმანსია-ხიმნასტიკი | 0:0 |
| კარტახენა-ბარსელონა B | 0:4 |
| დეპორტივო-ერკულესი | 0:1 |
| რეკრეატივო-სელტა | 1:2 |

#### გერმანია

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| სტ. პაული II-ჰაველსე | 2:1 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი II-ზონენჰოფი | 2:3 |
| კასელი-ფიურტი II | 4:0 |
| ინგოლშტადტი II-ფრანქფურტი II | 3:1 |
| შტ. კიკერსი-ბაიერნი (ა) | 4:0 |
| ვორმატია-მიუნხენი II | 5:0 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ელვერსბერგი-კაიზერი II | 1:1 |
| მაინცი II-ლოტე | 0:3 |
| კობლენცი-ვუპერტალი | 1:1 |
| დორტმუნდი II-ობერჰაუზენი | 1:1 |
| ფორტუნა (კ)-ტრირი | 1:3 |
| გლადბახი II-ესენი | 4:0 |
| ფერლი-ბოხუმი II | 0:1 |

#### ბელგია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| შარლერუა-ოსტენდე | 2:2 |
| ეუპენი-დენდერი | 3:2 |
| ლომელი-ტუბეკე | 2:0 |
| სტანდარდი (ვ)-ტინენი | 0:1 |
| ვიზე-ანტვერპენი | 1:0 |
| აალსტი-რუზელარე | 3:1 |
| ბორინაჟი-ვაასლანდი | 0:2 |
| სტ. ნიკლაასი-ვოლუვე | 3:2 |

#### პორტუგალია

**გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| ნასიონალი-გიმარაეში | 1:4 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეშტორილი-პორტიმონენსე | 1:0 |
| ტროფენსე-ოლივეირენსე | 0:0 |
| ბელენენსეში-ავეში | 0:0 |
| მორეირენსე-ფრეამუნდე | 0:0 |
| მადეირა-პენაფიელი | 2:3 |
| არუკა-ლეიქსოეში | 1:1 |
| ნავალი-კოვილია | 2:1 |
| სანტა კლარა-ატლეტიკო | 1:2 |

#### დანია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| როსკილდე-ფრედერისია | 3:2 |
| სკივე-ვიბორგი | 0:0 |
| რანდერსი-ჰობრო | 2:0 |
| ჰიორინგი-ვესტსიელანდი | 1:0 |
| ნაესტვედი-ბრონსჰოი | 0:2 |
| აკადემისკი-ესბერგი | 0:2 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| სლიგო-დერი | 1:1 |
| დანდალკი-შემროკი | 1:2 |
| ბოჰემიანსი-ბრეი | 2:1 |
| სტ. პატრიკსი-გალვეი | 6:1 |
| უნივერსიტი-დროგედა | 5:4 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კორკი-ლიმერიკი | 3:3 |
| სოლტჰილი-ეთლონი | 1:3 |
| ლონგფორდი-მერვუ | 2:2 |
| ფინ ჰარპსი-მონეგანი | 0:0 |
| შელბურნი-უექსფორდი | 3:0 |

#### ნორვეგია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ასკერი-რანჰაიმი | 2:1 |
| ბოდო გლიმტი-ლოვ ჰამი | 0:2 |
| ჰიოდი-რანდაბერგი | 2:1 |
| მიონდალენი-ალტა | 3:0 |
| სანდეფიორდი-ნილი | 2:0 |

#### შვედეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლიუნგსკილე-ატვიდაბერგი | 1:2 |
| ასირისკა-ანგელჰოლმი | 2:2 |
| დეგერფორსი-ჰამარბიუ | 3:2 |

#### უელსი

| | |
|---|---|
| ებერისტვითი-ბალა | 0:4 |
| ბანგორი-აფან ლიდო | 4:1 |
| პორტ ტელბოტი-ნიუთაუნი | 3:1 |
| პრესტატინი-კარმარტენი | 6:1 |
| ლანელი-ნიუ სეინტსი | 0:1 |
| ნითი-ეირბასი | 3:0 |

#### ჩეხეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-ჩასლავი | 0:0 |
| სოკოლოვი-უსტი | 3:2 |
| კარვინა-ვლაშიმი | 3:1 |
| სეზიმოვო-ბრნო | 1:2 |
| ოპავა-სპარტა II | 1:0 |
| მოსტი-ტრშინეცი | 1:4 |
| იუღლავა-ზნოიმო | 2:0 |

#### ჩრ. ირლანდია

| | |
|---|---|
| გლენტორანი-კლიფტონვილი | 0:1 |
| ბალიმენა-ლინფილდი | 1:2 |
| კერიკი-ლისბურნი | 0:0 |
| კოლრეინი-პორტდაუნი | 4:3 |
| დუნგანონი-კრუზეიდერსი | 0:2 |
| გლენავონი-დონეგალი | 0:1 |

#### არგენტინა

| | |
|---|---|
| არსენალი-გოდოი | 1:2 |
| ოლ ბოისი-რასინგი | 0:0 |
| ლანუსი-ესტუდიანტესი | 2:1 |
| სან მარტინი-არგ. ხუნიორსი | 0:0 |
| უნიონი-ატ. რაფაელა | 0:1 |
| ინდეპენდიენტე-ბოკა | გვ. დასრულდა |

#### ბრაზილია

| | |
|---|---|
| ატ. მინეირო-ავაი | 2:0 |
| ფიგეირენსე-სან პაულუ | 1:2 |
| ფლუმინენსე-ატ. გოიანენშე | 3:2 |
| ამერიკა-ვასკო | 4:1 |
| კურიტიბა-კორინთიანსი | 1:0 |
| ფლამენგო-ბაია | 1:3 |
| გრემიო-ატ. პარანაენსე | 4:0 |
| პალმეირასი-კრუზეირო | 1:1 |

#### ურუგვაი

| | |
|---|---|
| სერიტო-ელ ტანკე | 0:1 |
| ფენიქსი-სერო | 1:1 |
| პენიაროლი-დეფენსორი | 1:0 |
| რენტისტასი-სერო | 1:0 |
| ლივერპული-ბელა ვისტა | 2:0 |
| მონტევიდეო-რივერი | 0:3 |
| ნასიონალი-რასინგი | 3:2 |
| რამპლა-დანუბიო | 0:0 |

#### მექსიკა

| | |
|---|---|
| სან ლუისი-მორელია | 2:3 |

#### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| მექსიკა-ჩილე | 1:0 |

#### ევრო 2013

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ანდორა-სომხეთი | 0:1 |

### კალათბურთი

#### ევრობასკეტი

| | |
|---|---|
| ბრიტანეთი-პორტუგალია | 85:73 |
| პოლონეთი-თურქეთი | 84:83 |
| ლიტვა-ესპანეთი | 79:91 |
| ისრაელი-ლატვია | 91:88 |
| იტალია-საფრანგეთი | 84:91 |
| გერმანია-სერბეთი | 64:75 |
| მაკედონია-ფინეთი | 72:70 |
| ჩერნოგორია-საბერძნეთი | 55:71 |
| ბოსნია-ხორვატია | 92:80 |
| ბულგარეთი-რუსეთი | 77:89 |
| ბელგია-სლოვენია | 61:70 |

### ჩოგბურთი

#### აშშ-ის ღია

**კაცები**

| | |
|---|---|
| ნადალი-ნალბანდიანი | 7:6, 6:1, 7:5 |
| ჟ. მიულერი-კუნიცინი | 6:1, 6:4, 6:4 |
| ფერერი-ფ. მაიერი | 6:1, 6:2, 7:6 |
| როდიკი-ბენეტო | 6:1, 6:4, 7:6 |
| იანგი-ჩელა | 7:5, 6:4, 6:3 |
| დელ პოტრო-სიმონი | 6:4, 6:7, 2:6, 6:7 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| პენგი-პენეტა | 4:6, 6:7 |
| კერბერი-ნიკულესკუ | 6:4, 6:3 |

## TV პროგრამა

### 5 სექტემბერი. ორშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტური. ინდეპენდიენტე-ბოკა ხუნიორსი.
12:00 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-ავსტრია.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. ალკმაარი-ეინდჰოვენი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტური. ოსერი-მარსელი.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXI ტური. კურიტიბა-კორინთიანთსი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტური. ინდეპენდიენტე-ბოკა ხუნიორსი.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. III ტური. მანჩესტერ იუნ-არსენალი.

#### GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. XXI ტური. ფიგუერენსე-სან პაულუ.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ლეიკერსი.
14:25 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
14:50 მხატვრული ტანვარჯიში.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
18:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტური. ვალანსიენი-ბორდო.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. სუპერმატჩი. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი.
21:45 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულუზა-კლერმონი.
23:25 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ლეიკერსი.

#### I არხი

16:20 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. საქართველო-ბულგარეთი. ლიტვა (LIVE).

#### НТВ-პლუსი (სპორტი)

18:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. საბერძნეთი-ხორვატია. ლიტვა (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ონლაინი)

18:40 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სლოვენია-რუსეთი. ლიტვა (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

19:00 ამერიკის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

16:10 ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ისრაელი-იტალია. ლიტვა (LIVE).
18:40 ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლატვია-გერმანია. ლიტვა (LIVE).
21:55 ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სერბეთი-საფრანგეთი. ლიტვა (LIVE).

#### SPORT+

18:40 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რუსეთი-ბულგარეთი. ლიტვა (LIVE).

#### EUROSPORT

07:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
11:00 სნუკერი. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
05:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).

#### EUROSPORT-2

17:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ირანი-სენეგალი. იტალია (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
21:45 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
02:15 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა



სერენა უილიამსი

# სერენა სრული სვლით

ქალთა ტურნირზე კვლავაც სენსაციები კანონზომიერ შედეგებს ენაცვლება. კიდევ ერთხელ დაამტკიცა მთავარი ფავორიტის სტატუსი ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**. მისი მატჩი ბელარუს **ვიქტორია აზარენკასთან** დღის ცენტრალური დაპირისპირება იყო და ბევრმა მას ნაადრევი ფინალიც კი უწოდა, რადგან წინ დღეს ბრძოლას ჩამოშორდა სერენას ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი - **მარია შარაპოვა**.

უმცროსი უილიამსი და აზარენკა აქამდე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს „დიდი სლემის" სხვა ტურნირზე - ავსტრალიის ღიაზე და ყოველ ჯერზე ბელარუსი სულ უფრო ახლოს იყო გამარჯვებასთან. ბოლო შეხვედრაში კი 6:4, 4:0-დან წააგო ამერიკელთან.

ვიქტორიამ ვერც ამჯერად გატეხა ნავსი. პირველ სეტში უილიამსის უპირატესობა ულაპარაკო იყო - თამაშითაც და ანგარიშითაც. მასპინძელი შესანიშნავად აწოდებდა, ბრწყინვალე დარტყმებს ასრულებდა და მეტოქეს გასაქანს არ აძლევდა: აზარენკამ მხოლოდ სეტის ბოლოსკენ გაქვითა ანგარიში.

მეორე პარტიაში ბელარუსმა გაცილებით უკეთესი თამაში აჩვენა. მას ძალიან კარგი კონტრშეტევები გამოსდიოდა და მისი დარტყმების შემდეგ ბურთები პირდაპირ ხაზზე „ჯდებოდა". მაგრამ სერენამაც შეინარჩუნა ის თამაში, რომლითაც პირველ სეტში წარმატებას მიაღწია.

მოვლენები დრამატულად განვითარდა. უილიამსმა მეშვიდე გეიმში ბრეიკი გააკეთა და შემდეგ მიღებაზე სამმაგი მატჩბოლი მოიპოვა. ვიქტორიამ სამივე მოიგერია, თანაც მესამე შემთხვევაში ის მხოლოდ Hawk-eye-ის სისტემამ გადაარჩინა. შემდეგ სერენას კიდევ ერთი მატჩბოლი ჰქონდა (ამჯერად საკუთარ მოწოდებაზე), მაგრამ ბელარუსმა აქაც იყოჩაღა და სეტი ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ იქ მცირე უპირატესობა მაინც ამერიკელს ჰქონდა - 7:5.

რაც შეეხება ბოლო ორი დღის მთავარ სენსაციას, ის მარია შარაპოვასა და იტალიელი **ფლავია პენეტას** მატჩში მოხდა. აპენინელს წელს ცუდი სეზონი აქვს - მან სეზონის სტარტზე ტრავმა მიილო და დიდი ხანი ვერ ახერხებდა ფორმის დაბრუნებას. თუმცა ამერიკის ღიაზე მოხერხებულმა ბადემ მას საკუთარ ძალებში დამაჯერებლობა დაუბრუნა. თანაც იტალიელისთვის „დიდი სლემის" ეს ტურნირი ყველაზე წარმატებულია, რადგან ფლავია აქ ორჯერ იყო მეოთხედფინალში.

ისევე, როგორც პირველი წრის მატჩში, მარიამ ამჯერადაც ჩააგდო შეხვედრის სტარტი. მან მხოლოდ 0:4-ის შემდეგ იპოვა თავისი თამაში, მეტოქეც დაეხმარა შეცდომებით და შარაპოვამ ორივე ბრეიკი დაიბრუნა. თუმცა შემდეგ რუსმა ცუდად წარმართა გეიმი საკუთარ მოედანზე და პენეტამ სეტზე წარმატებით ჩააწოდა.

მეორე სეტში უკვე შარაპოვამ წაიყვანა ანგარიში ბრეიკით. პენეტა არ დანებდა და ამას ორი ბრეიკით უპასუხა, თუმცა იქვე ისევ წააგო საკუთარი მოწოდებები. თუ პირველ სეტში შარაპოვას მხოლოდ ხუთი „ვინერსი" ჰქონდა, ამჯერად 13-ჯერ მოიგო ქულა საკუთარი დარტყმით, რაც მესამე სეტში წარმატების იმედს უტოვებდა.

ასევე მარიას სასარგებლოდ ლაპარაკობდა ერთი სტატისტიკური მაჩვენებელი - რუსისთვის ეს იყო მე-13 სამსეტიანი მატჩი სეზონში და მას წინა 12 შეხვედრა მოგებული ჰქონდა. გადამწყვეტ პარტიაში დიდი ბრძოლა გაიმართა. პირველ სამ გეიმს მეტოქეებმა 26 წუთი მოანდომეს და სამივე იტალიელს დარჩა. ისევე, როგორც პირველ პარტიაში, შარაპოვამ ამჯერადაც გაათანაბრა ანგარიში. პენეტა არ გატყდა და აგრძელებდა აქტიურ თამაშს, თუმცა ქულათა დიდ ნაწილს ის მეტოქის შეცდომების ხარჯზე აგროვებდა. ფლავიამ დროულად შეაჩერა რუსი ჩოგბურთელი, როცა საკუთარ მოწოდებაზე გეიმი აიღო. შემდეგ კი მარიამ ორი ორმაგი გააკეთა და თავისი გეიმი „მშრალი" ანგარიშით დათმო - 3:6, 6:3, 4:6.

### 1/16 ფინალი

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან,1)**-ვანია კინგი (აშშ) 6:2, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 15)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:4, 6:2; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 10)**-რობერტა ვინჩი (იტა, 18) 6:4, 6:0; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ) 6:0, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 28)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4) 6:1, 7:6(5); **ანა ივანოვიჩი (სერ, 16)**-სლოუნ სტივენსი (აშშ) 6:3, 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 11) 6:4, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 7)**-შანელ სხეპერსი (ს.აფრ) 5:7, 7:6(5), 6:3; **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 27) 6:0, 6:1; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:3, 6:1; **შუაი პენგი (ჩინ, 13)**-ჯულია გორჯესი (გერ, 9) 6:4, 7:6(1); **ფლავია პენეტა (იტა, 26)**-მარია შარაპოვა (რუს, 3) 6:3, 3:6, 6:4; **მარია კირილენკო (რუს, 25)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:2, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 9)**-ნადია პეტროვა (რუს, 24) 7:6(5), 6:7(5), 7:5; **საბინ ლისიცკი (გერ, 22)**-ირინა ფალკონი (აშშ) 6:0, 6:1; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 30) 6:4, 7:5.

### 1/8 ფინალი

ვოზნიაცკი (1)-კუზნეცოვა (15); პეტკოვიჩი (10)-სუარეს ნავარო; ს. უილიამსი (28)-ივანოვიჩი (16); პავლიუჩენკოვა (17)-სკიავონე (7); ნიკულესკუ-კერბერი; პენგი (13)-პენეტა (26); კირილენკო (25)-სტოსური (9); ლისიცკი (22)-ზვონარევა (2).

# ტრავმების ჩემპიონატი

ამერიკის ღია პირველობა თანდათან გადამწყვეტ ფაზაში შედის. ქალებმა უკვე დაასრულეს მერვედფინალისტების გამოვლენა, მამაკაცებს შორის სანახევროდ ჩატარდა მესამე წრე.

პირველი სეტი წააგო ტურნირზე შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. 22 წლის ხორვატმა **მარინ ჩილიჩმა** მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, რომელთაგანაც ერთი მეორე სეტის მეათე გეიმში გამოიყენა და სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა. შემდეგ კი შვეიცარიელი ისევე დომინირებდა მომდევნო სეტებში, როგორც პირველში. მესამე პარტიაში 4:4-ზე ხორვატმა მეტოქის ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და კიდევ ერთი საკუთარი გეიმი აჩუქა ფედერერს, მეოთხე პარტიაში კი როჯერმა ორი ბრეიკის გაკეთება შეძლო და უპრობლემოდ გავიდა მერვედფინალში.

ფედერერმა 31 „ვინერსი" და ექვსი ეისი შეასრულა და ბადესთან 32-დან 23 ქულა მიითვალა. ახლა შვეიცარიელს ამერიკის ღიაზე 56 მოგება და 6 წაგება აქვს. როჯერის შემდეგი მეტოქე არგენტინელი **ხუან მონაკო** იქნება, რომელმაც ასევე სამ სეტში მოუგო მსოფლიოს ყოფილ მეორე ჩოგანს **ტომი ჰაასს** - 6:7(3), 6:3, 6:2, 6:2. გერმანელმა 71 უნებლიე შეცდომა დაუშვა და შვიდჯერ დათმო საკუთარი მოწოდება. მონაკო კარიერაში მესამედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირის მერვედფინალში.

აგრძელებს კარგი ფორმის დემონსტრირებას ამერიკელი **მარდი ფიში**, რომელმაც მესამე მატჩი მოიგო სეტის წაუგებლად. მსოფლიოს მერვე ჩოგანს დიდი წინააღმდეგობა გაუწია სამხრეთაფრიკელმა **კევინ ანდერსონმა**. ორი სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც ამერიკელი მეტოქეზე ოდნავ უფრო აქტიური და იღბლიანი იყო. ამ აქტიურობის წყალობით ფიშს მთელი მატჩის განმავლობაში 41 „ვინერსი" დაუგროვდა.

29 წლის მარდის ბოლო 20 მატჩიდან 17 მოგება აქვს. ის ამერიკული სერიის ტურნირების გამარჯვებული გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიერ აშშ-ის ღიაზე გამომუშავებული ჰონორარი გაორმაგდება. მაგალითად, თუ ფიში „ფლეშინგ მედოუს" კორტებზე მთავარ პრიზს მოიპოვებს, სეზონის ამერიკულ ნაწილში მისი მონაგარი 2.8 მილიონი დოლარი იქნება.

შემდეგ წრეში ფიში ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეხვდება. გამარჯვების შემთხვევაში ამერიკელი გაიმეორებს „დიდი სლემის" ტურნირებზე თავის საუკეთესო შედეგს. აქამდე მარდის ოთხჯერ უთამაშია ამ სერიის ჩემპიონატების მეოთხედფინალში: 2008 წელს ამერიკის ღიაზე (წააგო **ნადალთან**), 2007 წელს ავსტრალიის ღიაზე (წააგო **როდიკთან**) და ორი თვის წინ უიმბლდონზე (წააგო **მიურეისთან**).

თავად ცონგამ ასევე სამ სეტში მოუგო **ფერნანდო ვერდასკოს**, რაშიც ბრეიკ-პოინტების გამოყენების მაღალი პროცენტი დაეხმარა - რვიდან ხუთი. ამას ფრანგმა 33 „ვინერსიც" დაუმატა. 26 წლის ჟოსთვის ეს არის ამერიკის ღია პირველობის მერვედფინალში მეორე გასვლა.

გუშინდელი სათამაშო დღის შემდეგ „დიდი სლემის" ტურნირების ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა. მიმდინარე ჩემპიონატზე პირველი სამი წრის განმავლობაში 14-მა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო მატჩის დასრულება. აქამდე რეკორდი 2008 წლის უიმბლდონს ეკუთვნოდა, როცა საწყის სამ ეტაპზე 12-მა ჩოგბურთელმა ვერ ჩაამთავრა მატჩი. 11 ასეთი შემთხვევა იყო 2003 წელს ავსტრალიის ღიაზე და 2006 წელს - როლან გაროსზე.

ამჯერად ტრავმების გამო ვადაზე ადრე შეწყვიტეს ბრძოლა ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა** და ესპანელმა **მარსელ გრანოლერსმა**. ბერდიხი მაშინ დანებდა სერბ **იანკო ტიპსარევიჩს**, როცა ანგარიში 4:6, 0:5 იყო. გრანოლერსი კი ასევე ორ სეტს აგებდა (1:6, 3:4) ესპანელ ვეტერან **ხუან-კარლოს ფერეროსთან**.

აღსანიშნავია ტიპსარევიჩის მიღწევა. ის წელს საუკეთესო სეზონს ატარებს და უკვე „დიდი სლემის" მესამე ტურნირის მერვედფინალში გავიდა. ამ ეტაპზე ის სწორედ ფერეროს შეხვდება.

წინა დღეს ჩოგბურთელები მეორე წრეს ასრულებდნენ და აქ კინაღამ სენსაცია მოხდა. ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** 0:2-დან შემოატრიალა ჰოლანდიელ **რობინ ჰაასესთან** მატჩის ბედი და დიდი გაჭირვებით გადავიდა შემდეგ ეტაპზე.

24 წლის ჰაასე ერთ დროს ძალიან პერსპექტიულ ჩოგბურთელად მიიჩნეოდა, მაგრამ ტრავმების გამო თანდათან ჩრდილში მოექცა. ჰოლანდიელმა შარშან შეგვახსენა თავი, როცა 151-ე ჩოგანის რანგში უიმბლდონის მეორე წრეში ორი სეტი მოუგო რაფა ნადალს, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

რობინმა რეიტინგში თანდათან წინსვლა დაიწყო და წელს კიტცბუელში კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა. ახლა კი ამერიკულ ჰარდზე სერიოზული გამოცდა მოუწყო მიურეის. ჰაასემ პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო, მეორეში კიდევ უფრო დამაჯერებლად გაიმარჯვა. და აქ ისევ ტრავმამ შეახსენა თავი. მესამე სეტის წაგების შემდეგ ჰოლანდიელს კორტზე ექიმის გამოძახება მოუხდა. მაგრამ ამან არ უშველა - მიურეიმ ზედიზედ 12 გეიმი აიღო, რის ხარჯზეც მეოთხე სეტი „მშრალი" ანგარიშით მოიგო და მეხუთეში 4:0 დაწინაურდა. და აქ მოხდა სასწაული. ჰოლანდიელმა იპოვა საკუთარ თავში ძალა ბრძოლის გასაგრძელებად და ბრწყინვალე თამაშით ანგარიში გაათანაბრა - 4:4! იქვე ენდიმ თითქმის ყველა შანსი გადაუწურა მეტოქეს, როცა მეცხრე გეიმში ბრეიკი გააკეთა. ჰაასემ ისევ გაიბრძოლა, მაგრამ სამიდან მხოლოდ ორი მატჩბოლი მოიგერია - 7:6(5), 6:2, 2:6, 0:6, 4:6.

### II წრე

**ალექს ბოგომოლოვი (აშშ)**-როჟერიო დუტრა და სილვა (ბრა) 6:4, 6:3, 7:5; **ჯონ ისნერი (აშშ, 28)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 6:3, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 18)**-დიეგო ხუნკეირა (არგ) 6:2, 6:1, 7:5; **ჟილ სიმონი (საფ, 12)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:4, 6:7(4), 7:5, 6:3; **დონალდ იანგი (აშშ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14) 7:6(7), 3:6, 2:6, 6:3, 7:6(1); **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 24)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:2, 6:4, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 25)**-ვასეკ პოსპიშილი (კან) 5:7, 6:4, 7:6(3), 7:6(5); **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:7(5), 2:6, 6:2, 6:0, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 6:3, 6:4; **ფლორიან მაიერი (გერ, 26)**-ჟან-რენე ლისნარი (მონ) 6:2, 7:5, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 21)**-ჯეკ სოკი (აშშ) 6:3, 6:3, 6:4; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:4, 6:4, 6:4; **ჟილ მიულერი (ლუქ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 3:6, 7:6(4), 6:4, 7:6(5); **იგორ კუნიცინი (რუს)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 17) 3:6, 6:3, 1:6, 6:2, 7:6(5); **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 30) 6:4, 1:6, 6:3, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ნიკოლას მაუ (საფ) 6:2, 6:2 მაუს უარი.

### 1/16 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:3, 6:4, ; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:7(4), 6:2, 6:4, 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 20)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 9) 6:4, 5:0 ბერდიხის უარი; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ, 31) 6:1, 4:3 გრანოლერსის უარი; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 27) 6:3, 4:6, 6:4, 6:2; **ხუან მონაკო (არგ)**-ტომი ჰაასი (გერ) 6:7(3), 6:3, 6:2, 6:3; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 11)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 19) 6:3, 7:5, 6:4; **მარდი ფიში (აშშ, 8)**-კევინ ანდერსონი (ს.აფრ) 6:4, 7:6(4), 7:6(3).



როჯერ ფედერერი

# ფედერერი ლონდონშია

**მარინ ჩილიჩის** დამარცხების შემდეგ **როჯერ ფედერერი** მეოთხე ჩოგბურთელი გახდა, ვინც წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაში გაინაღდა. შვეიცარიელი ჩოგბურთელი ზედიზედ მეათედ გავიდა სეზონის ფინალში.

როგორც იცით, 20-27 ნოემბერს ლონდონის „O2-არენაზე" იმ მომენტისთვის რეიტინგის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი გაარკვევს ურთიერთობას. ფედერერამდე ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლება მოიპოვეს: სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ**.

30 წლის ფედერერს ათჯერ მიუღია მონაწილეობა სეზონის დასკვნით ტურნირში და აქედან ხუთჯერ მთავარი პრიზი მოიპოვა. წლის მთავარ ტურნირში ზედიზედ მონაწილეობის მიხედვით რეკორდსმენი **ივან ლენდლია** (12-ჯერ), მეორეზეა **პიტ სამპრასი** (11-ჯერ).

ფედერერმა წლევანდელი სეზონი კარიერაში 67-ე ტიტულის მოგებით დაიწყო - ეს დოჰაში მოხდა. გარდა ამისა, შვეიცარიელმა ითამაშა დუბაისა და როლან გაროსის ფინალში, ავსტრალიის ღიას ნახევარფინალსა და უიმბლდონის მეოთხედფინალში.

წლის შემაჯამებელი ტურნირის კიდევ ოთხი მონაწილე სეზონის მეორე ნახევარში გაირკვევა. ჯერჯერობით ამ რბოლის საუკეთესო ათეულში ასეთი მდგომარეობაა:

| | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 295 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 7 785 |
| 3. ენდი მიურეი (ბრიტ) | 4 730 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 4 450 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 3 420 |
| 6. მარდი ფიში (აშშ) | 2 505 |
| 7. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 270 |
| 8. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 2 260 |
| 9. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 2 080 |
| 10. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 2 080 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**